

**ნინი
ბიბირაშვილი**



ნამსხვრევები

ნინი
ბიბილაშვილი

ცაცხლებები

თბილისი
2023 წ.

რედაქტორი

სალომე აბრამიშვილი

წიგნში “ნამსხვრევები” მოთხრობილია თანა-
მედროვე, სტანდარტული და ცხოვრებისეული ის-
ტორია ქალზე, რომელიც არის იდეალური მეულლე,
დედა, მეგობარი და შვილი, თუმცა, ყველაფრის მი-
უხედავად მის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა
გარშემომყოფი ადამიანები ნაღმებივით დაიწყებენ
აფეთქებას და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებენ.

ჩემმა გმირმა პრობლემებს ხელი ჩასჭიდა და
დაამტკიცა, რომ ქალს ყველაფერი შეუძლია.



წიგნი მომზადდა და ღაკაბადონდა
<https://www.facebook.com/designcentreKB>



©ნინი ბიბილაშვილი, ნამსხვრევები, თბილისი, 2023 წ.
ISBN 978-9941-8-5232-9



პროლოგი

დაფიქრებულხართ? ხშირად, ადამიანები შური-სძიებას ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე მადლობის გადახდას?

რატომ? რატომ ხდება ასე? მოდიან, გეჩვევიან, ცხოვრების ნაწილი ხდებიან და შემდეგ უკანმოუხე-დავად მიდიან, თითქოს, მათ ცხოვრებაში არც არას-დროს გამოჩენილხარ...

უაზრო მიზეზებით შენიღბულნი, გამარჯვებას ზეიმობენ, და – გილოცავთ! მორიგი შურისძიების მსხვერპლი გახდით... პირველს მეორე მოჰყვება, შემდეგ მესამე და ასე, დაუსრულებლად გრძელ-დება...

თუმცა, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ღი-მილით გეტყვი:

სამყარო განუწყვეტლივ ბრუნავს, საათის ის-რები კი ყოველთვის საწყის ეტაპს უბრუნდებიან, ბოროტება წრეზე ტრიალებს და ყოველთვის მიაღწ-ევს ადრესატამდე...



I ნაწილი

საღამო იყო...

ძალიან უცნაურად წვიმდა.

როგორც მჩვევია, ამ დროს ყოველთვის ფანჯარაში ვიყურები და გარემოს ვაკვირდები. ცარიელ ქუჩებში შავი წყალი მიედინება და მიხარია, რადგან მგონია, რომ ამ დროს ადამიანები ბოროტი სულებისგან თავისუფლდებიან, ყველაფერ ნეგატიურს წყალს ატანენ. წყალი შავდება, კანალიზაციაში ჩაედინება. ისინი კი მომდევნო დღეს ნაკლებად აგრესიულები იღვიძებენ. რაც უფრო ძლიერად წვიმს, თავს უფრო კარგად ვგრძნობ, შემდეგ დასაძინებლად ვწვები. აქაც განსაკუთრებული თვისება მაქვს: ძილის წინ ყოველთვის ერთ წერტილს ამოვიჩემებ და საათობით ვუყურებ, მანამ, სანამ არ ჩამეძინება. არაა გამორიცხული, საერთოდ ვერ დავიძინო. ლამით თავს იდეალურად და დაცულად ვგრძნობ. მენანება ლამის დათმობა, თუმცა, ჩემი სურვილები ყოველთვის უკან იხევს, როცა მასსენდება, რომ აღარ ვარ თავისუფალი ადამიანი.

ქმარი და ორი შვილი მყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი სურვილები მუდამ სურვილებად რჩება. ბოლო ორი წინადადება კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ დილით პირველმა უნდა გავიღვიძო, ბავშვები გავაღვიძო, ვაჭამო, ჩავაცვა, ბალში წავიყვანო და ისევ მოვუსმინო მასწავლებლის პრეტენზიებს „ზოგადსაკ-



აცობრიო“ საკითხებზე. შემდეგ სახლში დავბრუნდე, ქმარი სამსახურში გავისტუმრო, სადილის გაკეთება დავიწყო, ძირითადად, რამდენიმეს ვაკეთებ ხოლმე, რადგან სხვადასხვა გემოვნების სამ ადამიანს სხვადასხვა სურვილები აქვთ. ძალი გავასეირნო და სახლის დაღაგებაც მოვასწრო, სანამ ბავშვებს ჩემი ქმარი ბალიდან მოიყვანს. ამასობაში, ჩემი რომელიმე მეგობარი დამირეკავს და მეტყვის, რომ უქმებზე რამე დავგეგმოთ და მეც სიხარულით ვთანხმდები. ბავშვების სახლში მოსვლიდან დაძინებამდე ოთხი საათია. ამ ოთხი საათის განმავლობაში, არაამქვეყნიური ძალით ახერხებენ სახლის თავდაყირა დაყენებას, ჭამას, სირბილს, რამის გატეხვას, მულტფილმების ყურებას, ძალის წვალებას და დაბანას. სასტიკად მშურს ხოლმე მათი, მინდა, რომ მეც არასდროს არ ვიღლებოდე, მაგრამ სწორი ნათქვამია – „ასაკი თავისას შვრებაო“. ძალაგამოცლილი ბავშვებს აბაზანიდან გამოვიყვან, ვაცმევ და საწოლში ვაწვენ. ერთადერთი მიზეზი დღის ბოლოს, რის გამოც ჭკუიდან არ ვიშლები, ძილისწინ კოცნა და იმის შეხსენებაა, რომ ჩემს შვილებს ძალიან ვუყვარვარ. მათ ოთახში ყოველთვის პატარა სინათლეს ვტოვებ, შემდეგ ჩაის ვაკეთებ და სერიალს ვუყურებ. გადამწვარი და განადგურებული ვზივარ. ამასობაში, ჩემი ქმარი ოთახიდან გამოდის, ჩემს გვერდით ჯდება და მიღიმის. ამ დროს, ყოველთვის მინდა, გავლანდლო, რადგან მისი ყოველდღე მშურს. სამსახურში მიდის, თავის საქმეს აკეთებს, ხალხს ეხმარება, მკურნალობს, ყოველდღე ვიღაცას სიცოცხლეს უნარჩუნებს... მოკლედ, საუკეთესოა. მისგან განსხვავებით, მე ყოველდღე ერთი და იმავეს ვაკეთებ და მაინც, ვერავინ ხედავს. შურის მიუხედა-



ვად, მისით ვამაყობ, ამიტომ ღიმილზე ღიმილითვე ვპასუხობ და სერიალსაც ერთად ვუყურებთ. ყველა-ფრის მიუხედავად, ნებისმიერი მისი თბილი ქმედება ან სიტყვა ყოველთვის მიქრობს გაბრაზებას. თითქოს, არც ყოფილა და არც მიფიქრია მსგავსი რამ. ძილის წინ კი ყოველთვის ვაყოლებ სამსახურის ამბებს, შემდეგ ვუყვები დაგეგმილ უქმებს (დეტალებში) და ბოლოს, პასუხის მომლოდინე შევცეკერი, თუმცა, მას უკვე სძინავს. მეც ჩავთვლი ხოლმე, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია, რადგან ჩემს ქმარს ძალიან უყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა, ამიტომ თვითკმაყოფილს მეძინება. ასე მთავრდება ჩემი დღე, რომელიც ქალების უმეტესობისთვის ერთნაირია, სადაც ყოველთვის გვგონია, რომ მსხვერპლი ვართ, თუმცა, რეალურად ღერძი გამოვდივართ...

* * *

დაახლოებით 8 წლის წინ, ვინმეს რომ ეკითხა, დარწმუნებით ვუპასუხებდი, რომ არასდროს ვიცხოვრებდი ყოველდღიურობით. თითქოს ყველაფერი დაგეგმილი მქონდა, ბევრი უნდა მემოგზაურა და წიგნები დამენერა. დღეს როგორც ვცხოვრობ, ეს ყველაფერი წარმოდგენილიც არ მქონდა, არც კი განიხილებოდა. მხოლოდ ერთი წიგნის დაბჭჭვდა მოვასწარი. შემდეგ რატი გავიცანი. აღფრთოვანებული ვიყავი, რადგან ნებისმიერ დროს შეეძლო ისეთი რამის თქმა, რაც თან გამაბრაზებდა და თან მომენტონებოდა. ერთი წელი იყო გასული გაცნობიდან, როცა ოფიციალურად მისი ცოლი გავხდი. საუცხოო გრძნობა იყო და ვიცოდი, არა, დარწ-



მუნებული ვიყავი, რომ დიდი ხნით მომიწევდა ჩემი სურვილების გადადება, მაგრამ რატომდაც, იმ მომენტში, ეს არ მანუხებდა. სანამ მივეჩვეოდი ცოლის ამპლუაში ცხოვრებას, მანამდე ევა დაიბადა. შიშის და სიხარულის მომენტი ერთად მქონდა... ძალიან პატარა იყო და ძალიან მეშინოდა ხელში აყვანა. ამ ყველაფერს შეჩვეული არ ვიყავი, თუმცა, ძალიან მომწონდა. სამი წლის შემდეგ მაშო დაიბადა და ისევ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ჩემს შვილებს განსაკუთრებული დრო სჭირდებოდათ. რეალურად, მე უფრო გავხდი საკუთარ შვილებზე დამოკიდებული. ვერსად ვერ მივდიოდი მარტო, რადგან ფიქრები არ მასვენებდა. პირველი დღე ბალში მე უფრო მძიმედ გადავიტანე, ვიდრე ბავშვებმა, რადგან მახსოვს, სამჯერ მოვბრუნდი და დანაშაულის გრძნობა მანუხებდა, რადგან იქ დავტოვე. ყველაფერს თანდათან შევეჩვიე, რატის მაისურებს ალარ ვურევდი ერთმანეთში და სარეცხის მანქანაში ღიას და მუქს ერთად ალარ ვყრიდი. ლამაზად დაკეცვა, გაუთოვება და რაც მთავარია, ამ ყველაფერის ხალისიანად კეთება ვისწავლე. თითქოს, შევეჩვიე იმ ცხოვრებას, რომელიც დარწმუნებით ვიცოდი, რომ არ მინდოდა. როცა ყველა სახლშია, ხანდახან გაუცხოების გრძნობა მაქვს, ვუყურებ და მგონია, რომ ამნიეს და უცხო გარემოში გადამსვეს. მომენტალურად ვერ ვხვდები, ამდენი რამ ჩემს ცხოვრებაში როდის მოხდა, შემდეგ რომელიმე დამიძახებს და გაუცხოების შეგრძნებაც ქრება. ვეღარც ვიხსენებ იმ დროს, როცა მათ გარეშე ვცხოვრობდი, ალარ მახსოვს ის შეგრძნება, როცა ჩემს თავზე მეტად არავინ მიყვარდა...



შაბათი დილა გათენდა და უცხო სურნელ-მა გამალვიძა. სანამ თვალს გავახელდი, მანამდე ვცდილობდი მიმემსგავსებინა რამესთვის, მაგრამ გიუივით წამოვხტი. დამწვრის სუნი იყო... სამზა-რეულოში შევედი და გამეცინა. რატიმ გადაწყვიტა დაეფასებინა ჩემი მთელი კვირის შრომა და იფიქრა, რომ ჩემს მაგივრად გააკეთებდა საჭმელს, თუმცა, ტაფაზე ზეთის მოსხმა დაავიწყდა და ყველაფერი დაწვა... შემპირდა ახალ ტაფას გიყიდიო და ისევ გა-მეცინა. დღეს მეგობრების და ბანქოს დღე იყო, ამ-იტომ რამე განსაკუთრებული უნდა მომემზადებინა. ტრადიციულად, ჩემ მიერ დაწერილი რეცეპტების წიგნი გადმოვიდე და არჩევა დავიწყე. სალამომ-დე ყველაფერი უნდა მომესწრო, ამიტომ რატის შევუთანხმდი, რომ ბავშვებს და ძალლს მთელი დღით სასეირნოთ წაიყვანდა, სანაცვლოდ კი მაღა-ზიაში მის მაგივრად, მე წავიდოდი. ბავშვებს ვაჭამე, ჩავაცვი და გავისტუმრე. შემდეგ მაღაზიაში ჩავე-დი, ყველაფერი ვიყიდე და სახლში დავბრუნდი. ჯერ წვენების გაკეთება დავიწყე და მაცივარში შევაწყე, რომ გაციებულიყო, შემდეგ სალათების, და ბოლოს, ცხელი კერძების. პარალელურად სამზარეულო დავ-ალაგე, ჭურჭელი გავრეცხე, სტუმრებისთვის გან-კუთვნილი სერვიზი გავამზადე, ყველა კერძს მოვუ-ძებნე შესაფერისი ჭურჭელი, ღვინისთვის ბაკლები გავამზადე და მაგიდაზე დავაწყე. ყველაფერი მზად მქონდა, მხოლოდ სახლის და ეზოს დალაგება დამრ-ჩა. სავარძელზე დავჯექი, ვიფიქრე, ცოტახნით და-ვისვენებ-მეთქი და ამასობაში რატიმ დარეკა, აინტ-



ერესებდა მოვრჩი თუ არა ყველაფერს და შეეძლო თუ არა ბავშვები სახლში მოეყვანა. ინსტიქტურად ტელეფონი გავთიშე. გავბრაზდი, არა გაბრაზებაზე მეტი დამემართა, მაგრამ გადავურეკე და ვთხოვე, მხოლოდ ორი საათი დაეცადა. ისევ ავდექი და სახლის დალაგება დავიწყე...

* * *

მთელი კვირის ნანატრ დრომდე სულ რაღაც ერთი საათი იყო დარჩენილი. რატომ ბავშვები და ძალლი მოიყვანა. მეგობარმაც დამირეკა. ბავშვებს სასწრაფოდ ჩავაცვი და ყველაფრის გამზადება დავიწყე. მშვენიერი ამინდი იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ ყველაფრის ეზოში გაკეთება. სანამ მე ჭურჭელს ვალაგებდი, რატომ ეზოს განათებები და დინამიკები გაამზადა. შესამონმებლად ჩვენი საყვარელი სიმღერა, Tom Odell-ის „Another Love“ ჩავრთეთ და ზარიც გაისმა. ტრადიციულად, კარი ერთად გავაღეთ, რადგან ეს ის განსაკუთრებული დღე იყო, როცა ჩემი და რატის საერთო მეგობრები ჩვენთან მოდიოდნენ. ყველაფერი უბრალო იდეით დაიბადა, როცა წუნუნი დავიწყე ქორნილის წინა დღეებში, რომ ჩემს მეგობრებს ხშირად ვეღარ ვნახავდი. მაშინ მოვიფიქრეთ ბანქოს დღე. შევუთანხმდით ყველა ახლო მეგობარს, რომ ყოველ შაბათ დღეს გვექნებოდა საღამო, სადაც ყველა ერთად ვიქნებოდით. თავიდან მართლა ბანქოს ვთამაშობდით, მერე ნელ-ნელა დაემატა სასმელი, საჭმელი, ბევრი ბავშვი და უამრავი სალაპარაკო თემა. თითქოს, რაც დრო გადიოდა მით მეტი სალაპარა-



კო გროვდებოდა. საოცრება იყო მთელი კვირის ამ-ბების მოსმენა და გაზიარება ჩემი გოგონებისთვის. განსაკუთრებული სიყვარულით მომზადებული ჩემი საფირმო დესერტიც ბოლოს მომქონდა ხოლმე. რა-ტის ტორტი, რომელიც ყველას უყვარდა. გამოსა-ტანად სახლში შევედი, მაცივრიდან მთლიანი ტორ-ტი გამოვიღე და გასატანად მოვამზადე. ძალიან მონდომებით მიმქონდა, თუმცა, აივანზე გავჩერ-დი, გაცინებული სახე შემეცვალა და დავფიქრდი. არ ვიცი რატომ, მაგრამ აქაც გაუცხოების შეგ-რძნება მქონდა. წამიერად თავი უცხო ადამიანებში ვიგრძენი. ამდენმა ხალხმა, ბავშვების სირბილმა, მუსიკამ, განათებებმა დამაბნია. ჩემს მეგობრებს გავხედე და ჩემთვის უცხოდ მომეჩვენა. ეს ყვე-ლაფერი წამიერად ხდებოდა, რადგან რატი ამოვი-და და არაფერი შევიმჩნიე. ისევ გავიღიმე და ჩემი ტორტიც დანიშნულების ადგილამდე უვნებელი მი-ვიტანე...

სალამომ კარგად ჩაიარა, უფრო სწორედ, მთე-ლმა ლამემ. ძალიან მომწონდა ასე რომ ხდებოდა, ბავშვები იძინებდნენ და ჩვენი შეხვედრა მთელი ლამე გრძელდებოდა. მთელი კვირის უნახავ მეგო-ბრებთან ერთად დრო მალე გადიოდა. ბევრ ისეთ რამეს ვისსენებდით, რაც დაოჯახებამდე გადაგვხ-დენია. ბევრჯერ უთქვამთ: „ნეტავ ისევ ისე ვიყო-თო“, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, არავის წარ-მოედგინა ის ძველი ცხოვრება, დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე. წასვლის წინ სურვილი



გამოთქვეს, რომ შემდეგ შაბათს სადმე ქალაქებარეთ წავსულიყავით. დროსა და ადგილმდებარეობაზე ყველაფერს გაარკვევდნენ და ჩათში მოგვწერდნენ. ყველას საერთო ჩათი გვქონდა, სადაც მსგავსი ამბები იგეგმებოდა... დილით მე და რატიმ ყველაფერი ავალაგეთ. ბევრ რამეზე ვპრაზდებოდი ხოლმე, მაგრამ მსგავს მომენტებში ყოველთვის მეხმარებოდა. სანამ მე ჭურჭელს ვრეცხავდი, რატიმ ეზო დაალაგა, მადლობის ნიშნად კი დასაძინებლად გავუშვი...

კვირა დღე წამდვილად დასვენების დღეა. სერიალის ყურების თავიც არ მაქვს ხოლმე, ამ დროს ვერც ძილის წინ ვფიქრობ, უპრალოდ ვიძინებ...

* * *

ორშაბათი დილა გათენდა და, როგორც ყოველთვის, ისევ ისე დაიწყო ყველაფერი. ბავშვები ბალში წავიყვანე, რატი სამსახურში წავიდა და როგორც იქნა, ტელევიზორთან დავჯექი. სერიალი გადავახვივ და ყურება დავიწყე. ჩამეძინა, მაგრამ მალევე, ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა. ტურისტული კომპანიის მენეჯერი მირეკავდა, რომ გასაუბრების დრო ჩაენიშნა. გახარებული წამოვხტი და დროზე შევუთანხმდი. ოთხშაბათს 3 საათზე შევჯერდით და დავემშვიდობე. რამდენიმე დღის წინ ვაკანსიებს ვათვალიერებდი და ძალიან პრესტიული ტურისტული კომპანია ვიპოვე, სადაც გიდი სჭირდებოდათ. მოგატყუებთ, რომ გითხრათ, ფინანსების გამო მინდოდა სამსახური. ვიფიქრე, საკუთარი თავის რეალიზებაში ძალიან წამადგებოდა ხალხთან კომუნიკაცია და თან სხვადასხვა ადგილზე სიარუ-



ლი. ყოველდღიურობას გავერიდებოდი და იქნებ, ამ საქმიანობით მაინც მომეხერხებინა საკუთარი უცნაური შეგრძნებების დათრგუნვა. დავიწყე ფიქრი, რამდენი რამის გაკეთება შემეძლო, ბევრი რამ წინასწარ დავგეგმე, ახალი იდეები მაწვებოდა და ჩაწერას ვერ ვასწრებდი. თავი უკვე წარმოდგენილი მქონდა ერთ-ერთ საუკეთესო გიდად, რომელთან ერთადაც მოგზაურობა ყველას უნდოდა. ჩემს თავში სრული ქაოსი იყო, აზრები ერთმანეთს ეჯახებოდა და ვერ ვასწრებდი გაცნობიერებას, ტვინი გაჭედილი მქონდა და ჩემი ფიქრები წარმატების გზას ხატავდა, როცა შავი ბინდი გადაიჭიმა. პრობლემა №1. რატისთვის არ მითქვამს და ზუსტად ვიცოდი, არ სურდა, მემუშავა. №2. ყველაზე რთული პრობლემა, რატის დედა. ქალი, რომელსაც, ალბათ, არსებობის დღიდან ვძულვარ. რატომ ვძულვარ? ამაზე მოგვიანებით. ჯერ №1. პრობლემა უნდა მოვაგვარო. ამ დროს იდეაც დაიბადა: საუკეთესო ვახშამი და ჩუმად შეპარება.

* * *

რატის დავურეკე, როგორც ყოველთვის, მუშაობის დროს ტელეფონი გამორთული ჰქონდა. შეტყობინება დავუტოვე, რომ ბავშვებს მე გამოყიყვანდი და დედაჩემთან წავიყვანდი. გზაში სულელური სმაილი მომწერა და მივხვდი, რომ იდეალურ ხასიათზე იყო. ნელ-ნელა იმედი მომეცა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა. ბავშვები დედაჩემთან დავტოვე და მაღაზიაში შევიარე. ყველა საჭირო პროდუქტი ვიყიდე და სახლში მივედი. იდეალური ვახშამი გა-



ვაკეთე, ჩემი საყვარელი შავი კაბა ჩავიცვი და დი-ვანზე დავჯექი. ვიჯექი და იმედებით აღსავსე, ვე-ლოდებოდი, როდის გადატრიალდებოდა საკეტში გასაღები, როდის ჩამოიწეოდა კარის სახელური და როდის შემოვიდოდა ჩემი ქმარი. 20 წუთის განმავ-ლობაში ვფიქრობდი, შემდეგ ტელევიზორი ჩავრთე, გადაცემას ბოლომდე ვუყურე. დაღამდა... დარეკვას ვაპირებდი, როცა ტელეფონზე შეტყობინება მომი-ვიდა:

„მძიმე პაციენტი შემოვიდა სასწრაფოდ გადა-უდებელი დახმარება სჭრდება, არ დამელოდო, გვი-ან მოვალ“

პასუხი აღარ მიმიწერია, კაბა გავიხადე და აბა-ზანაში შევედი. გაყინული წყლის ქვეშ ვიდექი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „რა ვიგრძენი? მეწყ-ინა? გავბრაზდი? – იქნებ უბრალოდ არ იყო საჭ-რო ამდენი რამ გამეცებინა და პირდაპირ მეთქვა, რომ სამსახურის დაწყებას ვაპირებდი? რა არის ამა-ში განსაკუთრებული და მოსარიდებელი? პირიქით, კარგია, რომ მინდა საკუთარი საქმე და კარიერა მქონდეს“. ამასობაში სიტყვა „ქმარზე“ ჩავფიქრდი. სულ მეგონა, რომ ეს სიტყვა მხოლოდ სტატუსი იყო და რეალურად ურთიერთობები ისევ ისე მიმდინ-არეობდა, როგორც მანამდე. თუმცა, ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ჩვენ ყოველ საღამოს ერ-თად ვატარებდით. შევცდი. არ ვიყავი მომთხოვნი, თუმცა, ის მთელ დღეებს სამსახურში ატარებდა, ყურადღება საგრძნობლად მოკლებული იყო და ჩემი პრეტენზიების მიუხედავად, ვცდილობდი, მის სიტუ-აციას მოვრგებოდი. ვერ ვიტყვი, რომ კომფორტუ-ლია, თუმცა, იმედიანად ვიყავი, რადგან რთული



სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მაინც ცდილობდა ყურადღების ნაკლებობა არ მეგრძნო. შეიძლება არ გამოსდიოდა, მაგრამ ხომ ცდილობდა....

— მძინავს? კი, აშკარად, მძინავს.

მაგრამ უცებ მომესმა როგორ დადიოდა რატი აქეთ-იქით და თან ვიღაცას ელაპარაკებოდა.

— ალბათ, უკვე გათენდა.

უნდა მეკივლა და გამეჩუმებინა. მომენტალურად თვალები გავახილე, ფანჯარას გავხედე, ჯერ კიდევ ბნელოდა, შემდეგ საათს დავხედე. ოთხის ნახევარი იყო. გაოგნებულმა ვიკითხე:

— ახლა მოხვედი?

რაზეც პასუხი არ გამცა და საწოლზე ჩამოჯდა. აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა და ვერ ვძედავდი კითხვის დასმას. ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— რატი რა მოხდა?

ისევ სიჩუმეა, რამდენიმე წამში, როგორც იქნა, ხმა ამოილო და მითხრა პაციენტი გარდაიცვალაო. საშინელება ხდებოდა მის თავში მაშინ, როცა პაციენტი კვდებოდა, ყოველ ჯერზე თვლიდა, რომ მაქსიმუმი არ გააკეთა და საკუთარ თავს ადანაშაულებდა.

— ვინ იყო?

სიფრთხილით ვკითხე. არაფერი მიპასუხა. უბრალოდ მთხოვა, ყავა გამეკეთებინა. უსიტყვოდ წამოვდექი საწოლიდან და ყავა გავაკეთე. ჩავთვალე, რომ მარტო ყოფნა უკეთესი იქნებოდა მისთვის, ამიტომ დასაძინებლად წასვლა გადავწყვიტე. შუა გზაში გამაჩერა, მკითხა, რამის თქმა ხომ არ მინდოდა. მომერიდა, არ მსურდა სიტუაციის გამწვავება და არაფერი-მეთქი, ვუპასუხე, თუმცა არ მომეშვა,



ალბათ, თავადაც მიხვდა, რომ რაღაც მაწუხებდა. ბოლოს პირდაპირ ვუთხარი, რომ გასაუბრებაზე ვა-პირებდი წასვლას. სიტუაცია ავუხსენი და კითხვების გარეშე, თანხმობა განაცხადა. გაკვირვებული წავე-დი, წინ მივდიოდი და უკან ვიყურებოდი. სანოლში დავწექი, ორმა გრძნობამ ერთდროულად შემაწუხა: სიხარულმა და ეჭვმა. მიხაროდა, რადგან ჩემს ცხ-ოვრებაში შანსი მქონდა ახალი ეტაპი დამეწყო. ეჭვი იმის შესახებ, რომ ასე მარტივად დათანხმდა იმ სიტუაციას, რაზეც არასდროს მისმენდა და ნათქვა-მი ჰქონდა, რომ არც კი განიხილებოდა.

* * *

სამშაბათი დილა გათენდა. ნახევრად უძილო ვიყავი, თუმცა, ენერგიულად ვგრძნობდი თავს. რო-გორც ყოველთვის, დილამ ისევ ისე ჩაიარა, ამჯერად, ბავშვების გარეშე. რატი სამსახურში წავიდა. დილით დედაჩემმა დამირეკა, დეტალურად აღმინერა რო-გორ გაატარა დრო შვილიშვილებთან ერთად, რო-გორ აბანავა, როგორ აჭამა, როგორ ჩააცვა დილით და როგორ წაიყვანა ბალში. ბალის მასწავლებლისთ-ვის შენიშვნა მიუცია და მე, რა თქმა უნდა, ვერ მი-ვხვდი, რაზე. ბოლოს ორი სიტყვის თქმა მოვასწარი ჩემს ახალ სამსახურთან დაკავშირებით და დავემშ-ვიდობე. ნაკლებად აინტერესებდა დედაჩემს ჩემი პირადი ცხოვრებისეული სიახლეები. სულ ბავშვე-ბზე იყო გადართული და ფიქრობდა, რომ მის ცხ-ოვრებას მხოლოდ ისინი აფერადებდნენ. ასეც იყო, ბრაზდებოდა, როცა მის დაუკითხავად ბავშვები ექიმთან მიმყავდა. ყოველთვის მიმახვილებდა ყურ-



ადღებას ჩატმაზე, ყოველთვის იმას აკეთებინებდა, რასაც მე ვუშლიდი. ევა განსაკუთრებულად უყვარდა, რადგან ევას დაბადების შემდეგ საშინელი დეპრესია დამეწყო, რამდენიმე თვის მანძილზე და დედაჩემმა აიღო სრული პასუხისმგებლობა მასზე. მაშინ არ დამმართნია ასეთი რამ, მხოლოდ რამდენიმე დღე ვიყავი გაურკვევლობაში და შემდეგ მივეჩვიე არსებულ ცვლილებას. ალბათ, მართლა განსაკუთრებული გრძნობაა შვილიშვილების ყოლა. ოდესმე მეც ვიქწები ბებია, თუმცა, ჯერჯერობით წარმოუდგენლად მიმაჩნია ჩემს შვილებზე მეტად ვინე მიყვარდეს. არა, ეს არასწორი ნათქვამი გამომივიდა, უბრალოდ შვილიშვილის დაბადების შემდეგ გულში ახალი სიყვარულის ნაპერწკალი გაჩნდება.

სამსახურთან დაკავშირებით მინდოდა სხვა-დასხვა ინფორმაცია მომეძიებინა და თვალსაწირი გამეფართოვებინა ამ საქმესთან დაკავშრებით. ყავა გავაკეთე, დავჯექი, ლეპტოპი ავიღე და მოვემზადე ახალი ინფორმაციის მისაღებად, თუმცა, ჩემი მზერა ძალმა მიიტყუა. იჯდა და მიყურებდა. დილით არავის გაუსეირნებია და ცოტა არ იყოს შეწუხებული სახე ჰქონდა. მზერამ კვლავ ლეპტოპის ეკრანისკენ გადაინაცვლა. ალბათ, სინდისმა შემანუხა, ლეპტოპი გვერდით გადავდე და ძალლი სასეირნოდ გავიყვანე.

ჩვენს სახლთან ახლოს დიდი სკვერი იყო. ხშირად ვხედავდი ნაცნობ სახეებს. ისე ვესალმებოდით ყველა ერთმანეთს, რომ სახელებიც კი არ ვიცოდით. ჩვენი დიალოგის მთავარი ფიგურანტე-



ბი მხოლოდ ძალლები იყვნენ. ამოჩემებული მქონდა ერთი ადგილი, პატარა და მყუდრო, სადაც სულ მე ვიჯექი. დაახლოებით, ერთი საათი ვადევნებდი თვალს გამვლელ-გამომვლელებს და შემდეგ სახლში დავბრუნდი. ახლა თამამად ავიღე ლეპტოპი და ინფორმაციების მოძიება დავიწყე. ვკითხულობდი ყველაფერს და ვგრძნობდი როგორ ეიფორიას ინვევდა ჩემში იმედი, რომ უკეთესობისკენ შეიცვლებოდა ყველაფერი. სანამ ბავშვებს ბალიდან წამოვყვანდი, გადავწყვიტე, რატის დედაზე მოგიყვეთ. ყოველთვის არსებულ პრობლემაზე, რადგან იმ დღიდან ამითვალნუნა, როცა ჩემი არსებობის შესახებ გაიგო. ჯერ არც კი ვიცნობდით ერთმანეთს, რომ შორიდან ხშირად მესმოდა ხმები, რომ მე არ ვიყავი მისი შვილის შესაფერისი, რადგან ის გაცილებით უკეთესს იმსახურებდა. ვფიქრობ, ეს სტანდარტული მდგომარეობაა მშობლის მხრიდან, რადგან, ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელზეც იფიქრებ, რომ შენი შვილისთვის იდეალურია. თუმცა, დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება, როცა ხედავ, რომ შენი შვილი მის გვერდით ბედნიერია. ჩვენს შემთხვევაში მისი უარყოფითი დამოკიდებულება ჩემდამი უკვე რვა წელია დაუსრულებლად გრძელდება. პირდაპირი კონფლიქტი არასდროს გვქონია, რადგან მის ყველა უხეშად ნათქვამ სიტყვას ყოველთვის გაგებით ვეკიდები, თუმცა, რეალურად ნამდვილად არაფერი მესმის. ყოველთვის ცდილობს, ნებისმიერ ჩემს ქმედებას ან სიტყვას შეენინაალმდეგოს და რაც მთავარია, რატის შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მე არასწორ ნაბიჯებს ვდგამ და ჩვენ შორის მხოლოდ ის არის მართალი. დედაჩემი ხშირად მეუბნება, რომ



ჩვენს ოჯახში ყველა ქალს, ზუსტად ასეთი დედამთილი ჰყავდა. რაც არ უნდა, იყოს ქალბატონი ნანა მაინც ჩემი ოჯახის წევრია მომწონს ეს თუ არა. მთავარია, ბავშვებზე გიუდება და მე ნამდვილად არ მაქვს პრობლემა თუ ანალოგიური დამოკიდებულება არ აქვს ჩემ მიმართ.

ვერც კი შევნიშნე როგორ მოვიდა 5 საათი. ბავშვები ბალიდან გამოვიყვანე. გზაში რატის მივწერე, მოვიკითხე, ვიცოდი, რომ შეიძლებოდა არ ეპასუხა, მაგრამ მაინც მოვიკითხე. ჩემდა გასაკვირად მაშინვე მიპასუხა და მითხრა, უკეთესად ვარო. მეორე შეტყობინებაც გამოგზავნა, საღამოს სალაპარაკო მაქვსო. დავიძაბე, ვიფიქრე, რომ გუშინ გაუაზრებლად წამოსცდა სამსახურთან დაკავშირებული დადებითი პასუხი და ახლა ყველაფრის გავლა თავიდან მომიწევს-მეთქი. ავლელდი, ხვალ გასაუბრებაზე მივდიოდი და ვიგრძენი ემოციების ანთებული ჩირალდანი, თანდათან როგორ ალდებოდა ჩემში. ბავშვები სახლში მივიყვანე, ვაჭამე, დავბანე და ტელევიზორთან დავსვი. მეც ჩამოვჯექი, სანამ რატი მოვიდოდა, ანიმაციური ფილმი ჩავრთე და ყველაზე ცუდი სიუჟეტისთვის მოვემზადე....

კარი გაილო, რატი შემოვიდა, ბავშვებს მოეფერა და გვერდით დამიჯდა. სერიოზული სახე ჰქონდა და მეც ჩავთვალე, რომ არსებული სიტუაცია სრულიად შეესაბამებოდა ჩემს ფიქრებს. ბავშვები კვლავ



ტელევიზორს უყურებდნენ. რატიმ მთხოვა აივანზე გავსულიყავით და იქ გვესაუბრა. კვლავ დავიძაბე, ისევ გაუცხოების გრძნობა დამეუფლა, ოღონდ ოდნავ სხვანაირი. თითქოს არ მინდოდა ამ ადგილას საერთოდ ყოფნა. გაქცევა მინდოდა, ფრთხილად წამოვდექი და გავყევი. ბოლო პერიოდში ჩვენი დიალოგის ხანგრძლივობა საკმაოდ შემცირდა. შესაძლოა, სამსახურში ჰქონდა პრობლემები, ან მის თავში ხდებოდა აურზაური, არ ვიცი, მაგრამ ამ ფაქტმა სწორედ ახლა, ამ მომენტში, შემაწუხა, როცა აივანზე ვიდექით და შიშით ველოდებოდი, როდის დაინუებდა რატი საუბარს. როგორც იქნა, ხმა ამოიღო და მკითხა:

– ხვალ გასაუბრებაზე მიდიხარ ხო?

თანხმობის ნიშნათ თავი დავუქნიე.

– კარგი, ხუთშაბათს ჩემი ახალი მდივანი დავპატიჟე სტუმრად თავის ქმართან ერთად, რამე პრობლემა ხომ არა?

წარმოდგენაც არ გაქვთ რამხელა შვება ვიგრძენი ამ წინადადების მოსმენის შემდეგ, ამ ემოციას ვერ ავლნერ, შეგრძნება მქონდა, რომ მძიმე ტვირთი მოვიხსენი მხრებიდან და წელში გავსწორდი. პასუხი არ დამიყოვნებია და ენერგიულად ვუპასუხე.

– არა, რა თქმა უნდა. ძალიან კარგია, არ ვიცოდი ახალი მდივანი თუ გყავდა, მაიკო გაუშვი ?

– არა, ოჯახური პრობლემებიდან გამომდინარე, თავად წავიდა და ახლის აყვანა მომიწია, ლანა ჰქვია, კარგი გოგოა. უბრალოდ კარგად გაცნობის მიზნით შევთავაზე ჩვენთან სტუმრად მოსულიყო.

– მშვენიერია, ყველაფერს გავამზადებ.

რატიმ გამიღიმა და სახლში შევიდა. მოწყვეტით



დავკეუქი აიგნის სავარძელზე. ფიქრებში წავედი. გაუცხოების გრძნობა აღარ მქონდა, თუმცა, ეჭვმა შიგნიდან გამომჭამა. ყოველთვის, როცა ვცდილობდი, სამსახური მქონოდა, რატის ეს თემა დახურული ჰქონდა. სულ მეუბნებოდა სახლში ყოფნა ჯობია, სამსახურში ვერავინ დაგიფასებს რასაც აკეთებო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა რატიმ კითხვებიც კი არ დასვა ისე თამამად, დადებითად დაეთანხმა. ფიქრები და ეჭვი მაინც არ მასვენებდა. ამასობაში, ევა გამოვიდა და მითხრა:

– დე, მეძინება, რამე წამიკითხე.

კვლავ გვერდით გადავდე ჩემი ფიქრები, ეჭვები, ეს დაუსრულებელი, შემანუხებელი შეგრძნებები და რუტინული საღამო წესისამებრ განვაგრძე.

* * *

ოთხშაბათი დილაა. შვიდ საათზე ენერგიულად წამოვდექი. სამარადისო სიჩუმე იყო, ყველას ეძინა. ძალი სასეირნოდ გავიყვანე. სკვერში, ისევ ჩემს ადგილას ჩამოვჯექი და ხარბად ჩავისუნთე დილის სუფთა ჰაერი. წამიერად ჩავფიქრდი, რა კარგი იქნებოდა თავისუფალი ქალი რომ ვიყო, საკუთარი საქმე მექნებოდა. რატი რომ არ გამეცნო ახლა შეიძლება სულ სხვა კარიერულ საფეხურზე ვყოფილიყავი და მთელი დრო საკუთარი თავისთვის დამეთმო. წარმოვიდგინე, რამდენ რამეს შევძლებდი და როგორი წარმატებული ვიქნებოდი, თუმცა, დანაშაულის გრძნობამ მალევე შემანუხა. ჩემი შვილები. ევა და მაშო არ მეყოლებოდა, ამიტომ ფიქრებს თავი დავანებე და კვლავ გავნაგრძე სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა. შემცივდა, ასე სასიამოვ-



ნოდ ჯერ არასდროს შემციებია. ვნერვიულობდი ? – საერთოდ არა. ერთადერთი მხოლოდ ის მანალვლებდა, რომ ვერ შევძლებდი თავის გართმევას. ოჯახის და სამსახურის ერთმანეთთან შეწყობას. უეცრად, ფიქრებში დაკარგულს, 50 წლამდე ქალი მომესალმა. ვერც კი შეგამჩნიო როდის მომიახლოვდა და გვერდით დამიჯდა. მეც თავაზიანად მივესალმე და დიალოგიც დაიწყო. ჯერ დაინტერესდა იმ ფაქტით, თუ რატომ ვიჯეტი ასე ჩაფიქრებული ეულად, მერე თავისი ისტორიაც მომიყვა. ნუნუ ერქვა. ორი შვილი ჰყავდა, ორივე დაოჯახებული იყო, მეუღლე გარდაცვლილი და მხოლოდ ამ ასაკში მოახერხა ეცხოვრა ისე, როგორც მას სურდა.

– ყველაფერი კარგია შვილო, ოჯახიც, შვილებიც, მაგრამ ყველას თავიზი გზა აქვს. ბოლოს მაინც მარტო რჩები და მერე ხვდები, თურმე რამდენი რამ მოგკლებია ცხოვრებაში. რამდენჯერ მინატრია, ნეტა ასაკით პატარა ვიყო, დავფიქრდებოდი და დავაფასებდი საკუთარ თავს.

შემეშინდა, არა მარტოობის, არამედ იმის, რომ დადგებოდა დღე და მეც შესაძლოა ასე მელაპარაკა საკუთარ განვლილ ცხოვრებაზე. ნუნუს დავემშვიდობე და სახლში წამოვედი. ბავშვებს უკვე ეღვიძათ, ვასაუზმე, ჩავაცვი, ბალში წავიყვანე, შემდეგ სახლში დავბრუნდი და მომზადება დავიწყე.

* * *

ჯერ 12 საათია. რატი იმ დროს წავიდა სამსახურში, როცა მე ბავშვები ბალში წავიყვანე. არ მესი-ამოვნა ეს ფაქტი, თუმცა, დიდად არ გავამახვილე



ყურადღება. ყოველთვის მელოდებოდა ხოლმე, სანამ სახლში დავბრუნდებოდი და შემდეგ მიდიოდა. აივანზე ვიჯექი და ალბათ, მეათე სიგარეტის ღერს გავუკიდე. ზოგადად იშვიათად ვეწეოდი, თუმცა, დღეს დილიდან, როგორც კი სახლში მარტო აღმოვჩნდი, არ მომრიცებია.

ადამიანი რომ დაფიქრდე, ისეთი არაფერი, გასაუბრებაზე მიდიხარ, რაც ჩვეულებრივი მომენტია, მაგრამ ჩემი სხეული შინაგანად მაინც ნერვიულობდა. შესაძლოა, თავდაჯერებულობა მაკლდა ან გადაჩვეული ვიყავი ამ რეჟიმში ყოფნას. დანაშაულის შეგრძნება მანუხებდა, ჩემს შვილებს რომ რამე დასჭირდეს და მე აქ არ ვიყო? – არა, მთელი დღე ბაღში არიან, და თუ გამოუვალი მდგომარეობა იქნება დედაჩემი მომეხმარება.

– თანამშრომლებს რომ ვერ შევეწყო? მე ხომ კონფლიქტური არ ვარ, დაძაბულ სიტუაციებს მარტივად გავუმკლავდები. ჩემი არ ყოფნის დროს რამე სერიოზული რომ მოხდეს? არა, ყველაფერი კარგად იქნება.

ვფიქრობდი და საკუთარ თავსაც, შეძლებისდაგვარად, ვამშვიდებდი.

– სახლს დილით და საღამოს დავალაგებ ხოლმე, მეორე დღის საჭმელს წინა საღამოს გავაკეთებ, მუშაობაში დრო მაღე გავა, ჩემი შვილები წამოიზრდებიან და მიეჩვევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას, ერთმანეთის და ძალლის მოვლას. რატიც არ შენუხდება დიდად ჩემი სამსახურით, პირიქით, შეიძლება იამაყოს კიდეც, ამიტომ ყველაფერი იდეალურად იქნება.

დავმშვიდდი, ყველა შესაძლო კითხვას, რო-



მელსაც ტვინი მიგზავნიდა, წარმატებით გავეცი პასუხი. სწორედ ეს სიმშვიდე მჭირდებოდა. წასვლის დრო მოვიდა და მანქანის გასაღები ავილე. კარებში დავდექი, ნაბიჯი წინ თუ ნაბიჯი უკან? კვლავ ვყოყმანობდი. კიდევ ერთხელ გავეცი საკუთარ თავს კითხვებზე პასუხი და სიამაყით გავედი სახლიდან.

* * *

მანქანა მოშორებით გავაჩერე და შუაგულ თბილისში ფეხით მივაბიჯებდი. რაც უფრო ვუახლოვ-დებოდი დანიშნულების ადგილს, მით უფრო ვგრძნობდი ნელ-ნელა როგორ ტოვებდა ჩემი სული სხეულს. ის იყო ცოტახანში სულის გარეშე უნდა დავრჩენილიყავი, რომ დანიშნულების ადგილის წინ გავშემდი. დიახ, ეს ის კომპანია იყო, სადაც მე შესაძლებლობა მქონდა რუტინული ცხოვრება შემეცვალა და საკუთარი თავის ძიება დამეწყო. ხალხი ერთმანეთში ირეოდა, საშინელი დისკომფორტი ვიგრძენი ხალხ-მრავლობის გამო, ამიტომ დაუფიქრებლად გავაღე კომპანიის კარები და შევედი.

კართან ვიდექი და ვაკვირდებოდი ყველაფერს. დიდი ოთახი იყო, კედლებზე დიდი სარეკლამო პლაკატები ეკიდა, სადაც მომხმარებლებს სხვადასხვა ტურს სთავაზობდნენ. ოთახის ბოლოს, კუთხეში, სასიამოვნო გარეგნობის ქერა გოგო იჯდა, კლასიკური ტანსაცმლით. რამდენიმე კარი დავინახე და მივუახლოვდი. ამასობაში ის გოგონა წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა. მომიახლოვდა და დავინახე მის მკერდთან პატარა ასოებით



დაწერილი სახელი: თათია. მივესალმე და ვუთხარი, რომ გასაუბრებაზე ვიყავი მოსული. გამომელაპარაკა, სივის ასლი გააკეთა და შუა კარებში შემიძლვა. ოთახში არავინ იყო, თათიამ მთხოვა, დავლოდებოდი უფროსის მოსვლას. სკამზე ჩამოვჯექი და გონებაში ყველაფერს ვიმეორებდი, რომ არაფერი დამვიწყებოდა. ცოტახანში, კარები გაიღო და მაღალი, ჩემი ასაკის (ან ცოტა მეტის), საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა. მომესალმა, ხელი ჩამომართვა და გამოკითხვა დამიწყო. ჯერ სამუშაო გამოცდილება მკითხა, შემდეგ ოჯახური მდგომარეობა, შემდეგ სურვილები, იდეები და ბოლოს, მკაცრად ჩაიცინა. მითხრა, რომ ჯერჯერობით ერთადერთი მისაღები კადრი ვიყავი, ამიტომ ორი დღის ვადაში დამიკავშირდებოდნენ და დეტალებს გამაგებინებდნენ. მადლობა გადავუხადე, კმაყოფილი კაბინეტიდან გამოვედი, თათიას დავემშვიდობე და გარეთ გავიქეცი. რას ვგრძნობდი? აღელვებული და ზედმეტად თავდაჯერებული ვიყავი. 100 თუ არა 99%-ით მაინც ვიცოდი, რომ აუცილებლად ეს სამსახური ჩემი იქნებოდა და საბოლოოდ შევძლებდი იმის კეთებას, რისი საშუალებაც აქამდე არ მქონდა. მანქანასთან მივედი, შუშის ანარეკლში დავინახე ქალი, რომლითაც ძალიან ვამაყობდი, მიმზიდველი, სექსუალური, იდეალური ვიზუალის – დიახ, ეს მე ვიყავი. მანქანის კარი ამაყად გავაღე და დედაჩემთან წავედი.

ყველაფერი მოვუყევი, თუმცა, დიდად კმაყოფილება ვერ შევატყე, თითქოს ეს თემა, რაზეც



ველაპარაკებოდი მისთვის სულერთი იყო, ამიტომ აღარც მე შემიწუხებია ჩემი ემოციებით და სხვა თემაზე გადავიტანე ყურადღება.

ბავშვები წამოვიყვანე და სახლში დავბრუნდით. მოუთმენლად ველოდი რატის მოსვლას. მინდოდა, ყველაფერი დეტალურად მომეყოლა და ზღვა ემოციებისგან დაცულილიყავი, თუმცა, სულ სხვანაირად წარიმართა მოვლენები. რატი სახლში არც მოსულა, მხოლოდ შეტყობინება გამომიგზავნა, რომ დილით მოვიდოდა. ამიტომ ისევ ჩემს მეგობარს დავურეკე. ვთხოვე, ჩემთან გამოსულიყო და დარჩენილიყო. სწორედ ამ საღამოს, მასთან საუბრის დროს, ჩემმა რატისადმი ეჭვებმა კიდევ ერთხელ შემახსენა თავი, თუმცა, ამჯერად, ყველაფრის მიზეზი ჩემი მეგობრის მიერ მოყოლილი ამბავი გახლდათ, რომელიც სულ რაღაც ორი დღის წინ მოხდა, იმ ღამით, როცა რატის პაციენტი გარდაიცვალა...

* * *

მე და ელენე, დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. მისი მეჯვარეობა მე მხვდა წილად, რადგან ყველაზე ადრე გათხოვდა და მახსოვს, იმ დღეს ისე დავიღალე, რომ ალბათ, კიდევ რომ ეთხოვა ვინწეს მეჯვარეობა უარს ვეტყოდი. ყველა მეგობართან იდეალურად ვიყავი, თუმცა, ელენე, ის განსაკუთრებული იყო, ის-ევე როგორც მე ვიყავი განსაკუთრებული მისთვის. იმ საღამოს, როცა ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი სახლში არ მოვიდოდა, ელენეს დავუკავშირდი და ვთხოვე, ჩემთან გამოსულიყო. ბავშვებს უკვე ეძინათ, ჩვენ კი აივანზე ვიჯექით და ტრადიციულად ჭიქა ღვინოს



ვსვამდით. ჩემი წარმატებული გასაუბრების შესახებ ელენეს მოვუყევი, ემოციებისგან გავთავისუფლდი და ამოვისუნთქე. საუბარში რატის მიმართ ეჭვებიც გავუმხილე, ისიც ვუთხარი, რომ ჩვენს შორის თითქოს ძალიან პატარა, მცირე ზომის ბზარი გაჩნდა და მჭირდებოდა რჩევა, რომლითაც შევძლებდი ამ მცირე სიცარიელის ამოშენებას. იმის მიუხედავად, რომ ხშირი შემთხვევა იყო, მისი პროფესიდან გამომდინარე, მთელი ღამით კლინიკაში დარჩენა და მუშაობა, მაინც ვერ ვისვენებდი. უცნაური გრძნობა მანუქებდა, თითქოს, რაღაცის მოლოდინში ვიყავი. ელენემ კი სრულიად შემთხვევით, გაკვრით მომიყვა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შემთხვევა. იმ ღამით, როცა, რატიმ მითხრა, რომ პაციენტი, ფაქტობრივად, ხელებში ჩააკვდა, ელენესთან ასეთი რამ მომხდარა: ის თავის ბიძაშვილთან ერთად ერთ-ერთ ბარში ყოფილა. წამოსვლის დროს დაინახა კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა რატის. ეს მამაკაცი ვიღაც ლამაზ გოგოსთან ერთად იყო. თავიდან ჩვენ ვეგონეთ, თუმცა, იმ გოგოს ქერა თმა ჰქონდა და საკმაოდ ლამაზად გამოიყურებოდა. არ ვიცი, რატომ არ მივაქციე ყურადღება, ალბათ, იმ მომენტში, ეს ინფორმაცია ჩემმა ტვინმა თავდაცვითი ფუნქციის გამო არ მიიღო ან იმდენად ვენდობოდი რატის, რომ არც კი დამიშვია გონებაში, მსგავსი რამ მეფიქრა კაცზე, რომელიც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემზე გიუდებოდა. თუმცა, იმ ღამით ვეღარ დავიძინე. მომენტებში, ისევ უცნაური გრძნობა მანუქებდა. აი, ის უცნაური გრძნობა, კინაღამ ტორტი რომ გამაგდებინა ხელიდან, მეგობრების შეკრების დღეს. თითქოს, გული მიჩქარდებოდა და აივანზე გასვლით საკუთარ



თავს ვაწყნარებდი. არ ვიცი, ზუსტად რამდენჯერ გავედი, თუმცა, ერთ სული მქონდა გათენებულიყო. ვერ ვიტყვი იმას, რომ ჩემი ქმარი ამის გამკეთებელი იყო, თუმცა, ბოლო დროს ჩემში დაბადებული ეჭვები არ მასვენებდა. დილით, სანამ ელენეს გავაცილებდი, ერთად ყავა დავლიეთ. შემატყო, რომ უძილო ვიყავი და ჩამეკითხა. როგორც იქნა, მიმიყვანა იმ მომენტამდე, სადაც ვაღიარე, რომ მთელი ლამე მის ნათქვამზე ვფიქრობდი. გაეცინა, კიდევ ერთხელ შემახსენა, რომ იმ დროს ნასვამი იყო და რატის ვიღაც მიასვავსა. მეც დავმშვიდი და ამასობაში, კვლავ გიუივით წამოვხტი. ტელეფონს დავხედე. ხუთშაბათი იყო და რატის ახალი თანამშრომელი უნდა მოსულიყო სტუმრად. ელენეს ვთხოვე, ბავშვები ბალში გაეყოლებინა და დედაჩემთან დავრეკე. შევთავაზე, შაბათამდე ბავშვები დაეტოვებინა, შაბათს კი მათ რატი თავად წამოიყვანდა. მე, როგორც ყოველთვის, კვლავ მოვინდომე იდეალური საღამო მომენტი და პროდუქტების საყიდლად სუპერმარკეტში წავედი.

* * *

სახლში დაბრუნებულს, რატი უკვე მოსული დამხვდა. ზედმეტად თბილად ჩამეხუტა და აბაზანაში შევიდა. კარგ ხასიათზე იყო და მეც ამ თბილი ჩახუტების შემდეგ არ მაწუხებდა არაფერი. ხალისიანად შევუდექი ვახშმის მომზადებას, ამასობაში, ისიც გამოვიდა აბაზანიდან და ჩემდა გასაკვირად, ამ სასიამოვნო პროცესში მეხმარებოდა. თინეიჯერი წყვილივით ვიგიუეთ სამზარეულოში, მართალია, შემდეგ ყველაფრის ალაგება თავად მომინია, თუმ-



ცა, საერთო ჯამში მივხვდი, რომ ასეთი მომენტები ნამდვილად საჭირო იყო ჩვენი ურთიერთობის კიდევ უფრო გასამყარებლად. ყველაფერი, როგორც ყოველთვის, იდეალურად გავამზადე. საღამოს 7 საათს მოუთმენლად ველოდით. ორივე დივანზე ვიჯექით და ამასობაში, გამახსენდა ჩემი სამსახურის ამბები. კომფორტულად მოვკალათდი და დეტალებში მოვუყევი რა და როგორ მოხდა. მიყურებდა და სახეზე არც ერთი ნაოჭი, არც მიმიკა, არ შეცვლია. გაქვავებული მისმენდა და ბოლოს, ერთი გაცრეცილი ფრაზა მომიგდო – „კარგია“. ადგა და ოთახიდან გავიდა. ჩემ მიერ გაულერებულ სიტყვებს ჩავულმავდი, იქნებ რაიმე არასწორად ვთქვი, ეწყინა და არ უნდოდა საუბრის გაგრძელება, მაგრამ ის ვუთხარი, რაც რეალურად მოხდა და ამაში ცუდი და საწყინი ნამდვილად არაფერი ყოფილა. მარტობის განცდა დამეუფლა, მისი ყოველი წარმატება, ახალი გადადგმული ნაბიჯი, მიღწევა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგივეს არ გრძნობდა, როცა მე მეხებოდა საქმე. საღამოს 7 საათამდე მე და რატის კომუნიკაცია ალარ გვქონია, ის ოთახში იყო, მე კი მისაღებში დივანზე ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი. შუალედში დედაჩემს დავურეკე, ვკითხე რაიმე ხომ არ სჭირდებოდა, დამამშვიდა და დამემშვიდობა. ამასობაში ჩემმა დედამთილმა, ქალბატონმა ნანამ მოასწრო დარეკვა და კვირას მაღაზიებში გაყოლა მთხოვა. არა, მთხოვა ხმამაღალი ნათქვამია. ამას უფრო შეეფერება „დამავალდებულა“. არადა, რომ ეთქვა უბრალოდ მაღაზიებში მინდა წასვლა და იქნებ გამყვეო, აუცილებლად, სიხარულით დავთანხმდებოდი,



იმის მიუხედავად, რომ ერთმანეთი ისე არ გვიყვარდა, როგორც „ახლანდელ“ რძალ-დედამთილებს შეეფერებათ. მეგობრების ჩათში სასწრაფოდ დავწერე, რომ ამ შაბათ-კვირას კატეგორიულად მქონდა გამოწერილი მხოლოდ ოჯახში ყოფნა. გონებაში დავგეგმე: ხვალიდან ველოდები სამსახურიდან ზარს, ასევე, შაბათს ბავშვები მომყავს სახლში და კვირას ქალბატონ ნანას მივყვები მაღაზიაში. სამივე დღე დაკავებული მაქვს, თუმცა, ემოციურად, ყველაზე რთული და დატვირთული მაინც კვირა დღე იქნება. ფიქრებში გართულს, ვერც კი მივხვდი ისე გამეპარა დრო, საათს დავხედე. 6 საათი იყო. წამოვხტი და სუფრის გაშლა დავიწყე. ჩემს ხმაურზე რატი ოთახიდან გამოვიდა და ყველაფერში პატიოსნად მომებმარა. იდეალურად დავაწყეთ, დავალაგეთ, გავამზადეთ და შემდეგ თავის მოწესრიგებას დავუთმეთ დრო. აღარ ვიცოდი, კაბა აჯობებდა თუ შარვალი, ამიტომ აქაც რჩევა ქმარს ვკითხე, რომელიც ყოველთვის იდეალურ არჩევან აკეთებდა, თუმცა, ამჯერად ცივად მიპასუხა:

— რომელიც გინდა, ის ჩაიცვი.

ამ პასუხმა მეც საშინლად უკმაყოფილო ხასიათზე დამაყენა, საბოლოოდ ის ჩავიცვი, რაც მე მომწონდა ყველაზე მეტად.

რა ცოტა სჭირდება ქალს ბედნიერებისთვის და იმაზე ცოტა უბედურებისთვის. ბედნიერებაც და უბედურებაც წვრილმან, ვითომ უმნიშვნელო დეტალებს მოაქვს, მაგრამ შეუძლებელია, ყოველთვის, ყველა დეტალმა ან ბედნიერება მოგიტანოს ან უბედურება. ორივე საჭიროა, რადგან „კანონზომიერება“ დაბალანსდეს. თუმცა, მე, ქალს, რომელიც



შეჩერებული ვიყავი, ამდენი წლის განმავლობაში, მხოლოდ წვრილმან ბედნიერებას, რომელიც საერთო ჯამში დიდი ბედნიერება იყო, მიჭირს საუბედურო დეტალების გაანალიზება.

ამასობაში 7 საათიც მოვიდა. მოუთმენლად ველოდებოდით სტუმრებს. უეცრად გამახსენდა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ძალლი უკვე ორი დღეა არავის გაუსეირნებია. იმ დილის შემდეგ, რაც ქალბატონ ნუნუს შევხვდი. სუფრას თვალი კიდევ ერთხელ გადავავლე და კარზე ზარიც გაისმა. მე და რატი ყოველთვის ერთად ვაღებდით კარს, რადგან ამ ზრდილობიანი ფორმით, ასე თუ ისე, ოჯახის მთლიანობას ვუსვამდით ხაზს, თუმცა, ახლაც გაურკვეველი მიზეზის გამო, ზარის გაგონების ხმაზე რატი წამოხტა და მითხრა, რომ კარს თავად გააღებდა.

შემოსასვლელი ოთახის კარები იღება და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ აქვს. შოკურ მდგომარეობაში შევცქერი ქალს, რომელსაც იმდენად იდეალური ვიზუალი აქვს, რომ „ყბა ჩამომივარდა“. ამას ძირითადად კაცებზე იძახიან ხოლმე, თუმცა, ზუსტად ეგ დამემართა. მსგავსად მოვლილი ქალი მხოლოდ ფილმებში მყავს ნანახი. შურიანი არ ვარ, თუმცა, იმ მომენტში, შურიც არა-საკმარისად მომეჩვენა. გონებაში გავივლე, რომ სწორედ ლანა უნდა ყოფილიყო ჩემი მოტივატორი, ქალი, რომლისთვისაც მინდოდა რომ მიმებადა და მასავით მომევლო საკუთარი თავისთვის.



როგორც იქნა, შოკურმა მომენტმა გამიარა და სახლში შემოვიპატიუჟე. ლანას ქმარი – ლევანი. ასევე, მოვლილი და მოწესრიგებული კაცი, თუმცა, ლანას ფონზე ის თითქმის არ ჩანდა. სუფრასთან დავსხედით და რატიმ ლანას წარდგენა დაიწყო. თურმე, როცა გასაუბრებაზე ლანა მისულა, შემთხვევით სხვა ოთახში შევიდა, სადაც მენეჯერის ვაკანსიაზე გასაუბრება მიმდინარეობდა. ლანას იდეალური სივით ყველა მოიხიბლა და ის იყო უკვე მენეჯერის პოზიციაზე უნდა გაეფორმებინათ, რომ იკითხა რატი ექიმი რომელი ხართო. ბოლოს გაირკვა, რომ მდივნის პოზიციის გასაუბრებაზე იყო მისული და კინალამ კლინიკის კარდიოქირურგიის განყოფილების მენეჯერი გახდა. ასე გააგზავნეს ლანა ერთი სართულით ზემოთ, ჩემი ქმრის კაბინეტში და იქ დაიწყო მათი თანამშრომლობა. მალევე მოშენინაურდი, და კომპლიმენტის სახით ვუთხარი, რომ ასეთი ლამაზი ვიზუალის ქალს, ნებისმიერი აიყვანდა სამსახურში. ლევანიც დამეთანხმა და აღნიშნა, რომ ძალიან გაუმართლა, ასეთმა ლამაზმა ქალმა ის რომ აირჩია და მასზე იქორნინა. შემდეგ ბავშვებზე ჩამოვარდა საუბარი. ლევანსა და ლანას შვილები არ ჰყავდათ. სამი წლის შეუღლებულები იყვნენ და არ ჩეარობდნენ. რატი და ლევანი ეზოში გავიდნენ და მე და ლანამ ცოტა წავიჭორავეთ. თემა დედამთილზე ჩამოვარდა და როგორც კარგ მეგობარს, ისე მომიყვა თავისი ისტორია. მის დედამთილს, ქალბატონ ეთერს, მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა ლანასთან. თურმე, ეხვეწებოდა, ბავშვი გაეჩინა და გაზრდის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე.



იღებდა, მაგრამ ლანა წინააღმდეგი იყო. ნანილობრივ, მესმოდა ლანასი, ნანილობრივ არა, რადგან ჩემთვის ამ გადმოსახედიდან წარმოუდგენელი იყო დედობის დათმობა. მეც მკითხა ქალბატონ ნანაზე. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან მინდოდა ერთი ადამიანისთვის მაინც მეთქვა, რეალურად როგორ არ მომწონდა მისი დამოკიდებულება და ხასიათები, თუმცა ვერ გავიმეტე. არა საკუთარი თავი, არამედ ადამიანი, რომელიც ჩემი ქმრის დედა იყო და სხვა თუ არაფერი მილიონი მადლობა უნდა გადამეხადა მისთვის, მარტო იმიტომ, რომ ქმარი მაჩუქა. ამიტომ ზედაპირულად ვუთხარი:

— ყველა რძალ-დედამთილს შორის არის რაღაც გაუგებრობა, თუმცა, ერთი ოჯახი ვართ და ერთ-მანეთი ცუდად არ უნდა მოვიხსენიოთ.

ამასობაში ბიჭებიც შემოვიდნენ, მე ჩემი საფირმო დესერტი გამოვიტანე და კვლავ სუფრასთან დავსხედით. ლევანმა შემოგვთავაზა, მოგვეყოლა ჩვენი გაცნობის ისტორია. მე დავიწყე და რატიმ დაასრულა. ჩვენი ისტორიის გახსენებისას, ყოველ ჯერზე, მიკვირდა როდის მოვასწარი ამდენი რამ ცხოვრებაში. მომენტებში ძალიან ვამაყობდი, მომენტებში კი პირიქით, გაქცევა მინდოდა, რადგან მეუცხოებოდა საკუთარი თავი. შემდეგ ლევანის და ლანას შევთავაზე მოეყოლათ თავიანთი ისტორია. აქ ლანამ სრულად დაუთმო სიტყვა ქმარს და ლევანმაც დიდი სიხარულით დაიწყო სასიყვარულო ისტორიის მოყოლა. ის ისეთი ანთებული თვალებით ყვებოდა წარსულ მოგონებას, რომ მარტივი შესამჩნევი იყო მისი ლანას მიმართ არსებული საოცარი სასიყვარულო დამოკიდებულება.



თურმე, ლანა ერთ-ერთ რესტორანში დაუნახავს მეგობრებთან ერთად. მთელი საღამო აკვირდებოდა, შემდეგ გამბედაობა მოიკრიბა და თავაზიანად გაცნობა შესთავაზა, მაგრამ ლანამ უარი უთხრა. რესტორნიდან გამოსულ ლანას ჩუმად გაჰყოლია სახლამდე და მთელი ერთი წლის მანძილზე, სახლთან უშედეგოდ ხვდებოდა, საჩუქრებს უგზავნიდა და ბოლოს, როგორც იქნა, ლანამ შეამჩნია და უფრო მეტიც, მისი გულიც მოიგო. სულ რაღაც ორ თვეში დაქორწინდნენ და დღემდე, ასე, ბედნიერად და სიყვარულით ცხოვრობენ. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, ლანამ ბევრი სასაცილო ამბავი მომიყვა და ჩვენი ვახშამიც დასასრულს მიუახლოვდა. სტუმრები მშვიდობიანად გავისტუმრე და მაგიდის ალაგება დავიწყე. არ ვიცი, ჩემმა ქმარმა მადლიერება გამოხატა თუ უბრალოდ სიყვარული მოაწვა, მაგრამ ისევ ჩამესუტა, ლოყაზე მაკოცა და ოთახში შევიდა. ყველაფრის დალაგების შემდეგ ძალაგამოცლილი დივანზე დავჯექი. გახდის თავიც არ მქონდა, უკვე შუალამე იქნებოდა. ჩემი ძალლი იმდენად უიმედო სახით შემომყურებდა, რომ მასაც და საკუთარ თავსაც დავპირდი, რომ ხვალ დილით აუცილებლად გავასეირნებდი. დღევანდელ სასიამოვნო საღამოზე ვფიქრობდი და ამასობაში, ელენემ მომწერა, აინტერესებდა როგორ ჩაიარა საღამომ. მეც მაშინვე ვუპასუხე, რომ ყველაფერი იდეალურად წარიმართა და ასევე, ვახსენე, თუ როგორ ვიყავი აღფრთოვანებული ლანას ვიზუალით. მაშინვე გადმომირეუკა. ყველაფერი დეტალებში მოვუყევი და დავემშვიდობე.



იმის მიუხედავად, რომ ძალიან გადაღლილი ვიყავი, მაინც ვერ დავიძინე. არც კი დავწოლილვარ. საძინებელში შევიხედე, რატის მშვიდად ეძინა, ამიტომ აივანზე გავედი და ჩემს ფიქრებში გადავეშვი. სრულიად უეცრად, წამიერად ლანას ვიზუალი დამიდგა თვალწინ და გამახსენდა ელენეს ნათქვამი. კაცი, რომელიც რატის მიამსგავსა ქერათქმიან გოგოსთან ერთად დაინახა. ლანას ქერათმები ჰქონდა. მომენტალურად, ელენეს მივწერე, მომდევნო დღეს ჩემთან ამოსულიყო, რაღაც საქმე მქონდა და ცალკე, სოციალურ ქსელში ლანას ფოტოებს დავაკვირდი. მართლაც, იდეალური ვიზუალის ქალი იყო, თუმცა, იმდენი გონებაში ვერ დავუშვი, რომ ჩემს ქმარს, ჩემს რატის, შეეძლო ჩემთვის გაეკეთებინა ასეთი რამ, რომ სხვა ქალისთვის შეეხედა. არა, კვლავ რაღაც მეშლება, მე არ მაქვს იმის საფუძველი მსგავსი რამ ვიფიქრო კაცზე, რომელიც რვა წლის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა უკმაყოფილო ჩემი გარეგნობით ან ხასიათით. ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ მას არავინ სჭირდება ჩემ გარდა, როგორი იდეალური ვიზუალიც არ უნდა ჰქონდეს. საკუთარ თავს შევატყვე, რომ უაზრო ფიქრები ამეკვიატა და დასაძინებლად წავედი.

მთელი ლამე ვიწვალე, თუმცა, ვერ დავიძნე. ალბათ, დილის ექვსი სააათი იქნებოდა, ჯერ კარ-



გად არ იყო გათენებული, რომ ჩავიცვი. სახლში ვერ ვჩერდებოდი, თერმოსში ყავა ჩავასხი და ძაღლი სკვერში გავიყვანე. კვლავ ჩემს საყვარელ ადგილას მოვყალათდი და ყავის სმა დავიწყე. გარშემო არავინ იყო, ჩემი ძაღლი კი ხარბად დარბოდა გაშლილ მინდოოზე. თავის პატარა ბურთს მომიტანდა, მეც მთელი ძალით გადავაგდები და მის მოსატანად ისე გარბოდა, თითქოს დასწრებაზე ყოფილიყო. გარკვეული დრო ასე ვთამაშობდით. ამასობაში, კარგად გათენდა, მზემ გამოანათა. რატის შეტყობინება გავუგზავნე, რომ ძაღლი სასეირნოდ წავიყვანე. დღეს სამსახურიდან ზარსაც ველოდებოდი. სიმართლე გითხრათ, არ ვნერვიულობდი, ახლა ის ფაქტი უფრო მანუხებდა, რომ შესაძლოა კაცი, რომელიც ელენემ დაინახა, ნამდვილად რატი იყო და ის ქერათმიანი გოგო, მის გვერდით, ლანა. ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, რომ ასეც რომ ყოფილიყო, რატი სახლში არ დაპატიჟებდა და არ გამაცნობდა. ელენეს ესემესი მომივიდა, სადაც ენერა, რომ ბავშვებს სკოლაში დატოვებდა და მაშინვე ჩემთან წამოვიდოდა. დღეს ქალბატონი ნუნუ არ გამოჩენილა, ალბათ, დასვენება და გამოძინება არჩია-მეთქი, გავიფიქრე. დილის ათი საათი ხდებოდა სახლში რომ დავბრუნდი. რატი უკვე წასული დამხვდა და კარზე ზარიც გაისმა. ელენე მოვიდა...

* * *

შემოვიდა თუ არა, მაშინვე შენიშნა და აღნიშნა, რომ სახლში, სხვა დღეებისგან განსხვავებით, სხვანაირი ატმოსფერო და აურა იგრძნობოდა. ყავა



გავუმზადე და კვლავ აივანზე დავჯექით. როგორც იქნა, ამოვილუღლუღე ჩემი ეჭვების შესახებ და მტკიცები, კატეგორიული, ისტერიკული უარიც მომაფრინდა სახეზე. ელენემ ჯერ მკაცრი ტონით ამიხსნა, რომ საკუთარ ქმარზე უფრო დაუმვებდა მსგავს რაიმეს, ვიდრე რატიზე და შემდეგ უსაფუძვლო ეჭვის გაქარწყლება დაპირა. ყავა მოსვა და შემდეგ, უკვე დაწყნარებული ტონით, ახსნა დაიწყო. დეტალებში მომიყვა იმ ღამით დანახული კაცის და ქალის შესახებ, გონებას ძაბავდა და ცდილობდა, გაეხსენებინა ზუსტად, თუმცა, შემდეგ დარწმუნებით მითხრა, რომ რატი არ იყო და ჩემს ეჭვებს სრულიად უსაფუძვლოდ ვაძლევდი საკუთარ გონებაში გაზრდის უფლებას. ცოტა დავმშვიდდი, თითქოს მძიმე ლოდი მომეხსნა და სხვა თემაზე გადავიტანეთ საუბარი.

მეგობრებთან მოყოლილი ამბები ძალიან კარგია, მაგრამ ცალკე სიამოვნებაა ერთ-ერთზე მოყოლილი ის ისტორიები, რაც შეიძლება მთლად ბოლომდე ვერ გაუღერდეს სამეგობროში. ერთი სიამოვნებაა გყავდეს მეგობარი, დასავით მეგობარი, რომელსაც შეგიძლია ნებისმიერ თემაზე ესაუბრო. ელენესთან თამამად ვწუნუნებდი ქალბატონ ნანაზე და ისიც ვახარე, რომ კვირას საყიდლებზე მივყვებოდი. მეგობრული წესისამებრ დამლოცა და ერთი-ორი სიტყვით პატარა ხრიკები მასწავლა, როგორ მეგრძნო თავი მშვიდად. თურმე, „იდეალური წამალი“ ყოფილა ყველა „მწარე სიტყვის“ მეორე მხრიდან დანახვა, დედამთილთან ყოფნის დროს. პოზიტიურად შეხედვა ნიშნავს იმას, რომ თუნდაც, უსაფუძვლო კრიტიკის გარეშე ძალიან მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება. წამიერად ბედნიერებაც კი ვიგრძენი ქალბატონი ნანა



ასეთი რომ იყო. ბოლო-ბოლო ერთი ისეთი ხომ უნდა იყოს, რომელიც შემახსენებს, რომ საკუთარ თავზე მეტი ვიმუშავო და არასდროს მივცე უფლება, ნინსვლა შევწყვიტო... დიდი ხანი ვილაპარაკეთ და ელენეს წასვლის დროც მოვიდა...

* * *

სახლს ხელი შევავლე, ჩემს საყვარელ გადაცემას ვუყურე, ძალლსაც ვაჭამე, დავბანე და ტელეფონის ზარიც გაისმა. ჩემმა უკვე უფროსმა, ბატონმა ერეკლემ, დამირეკა და მსგავსი წინადადებით მომმართა:

— გილოცავთ სამსახურში აყვანილი ხართ და სტაჟირებაზე გელოდებით ორშაბათიდან.

სიხარულისგან შევკივლე. დღევანდელი დღე, თითქოს, ძალიან მსუბუქი მომეჩვენა. ბავშვები ხვალამდე დედაჩემთან იქნებოდნენ და მეც ვიფიქრე, საღამოს რატისთან ნორმალურად ლაპარაკს შევძლებდი. ჯერ ბავშვებთან დავრეკე, მოვიკითხე დედაჩემს მოვუყევი ჩემი ახალი სამსახურის ამბები, რომელიც ნამდვილად არ აინტერესებდა და ძალით მოისმინა. შემდეგ დალაგებული სახლი სილრმისეულად დავალაგე და საღამოც მოვიდა. ისევ ენერგიით ვიყავი სავსე, როცა რატიმ დამირეკა და მითხვა, რომ დედამისას წნევა ჰქონდა და სამსახურის მერე მასთან გავლა მოუწევდა. წასვლა შევთავაზე, რომ არ დაპგვიანებოდა და შემდეგ თავადაც იქ მოვიდოდა, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა. სახლში ყოფნა და დასვენება მირჩია. არ ვიცოდი, რა მექნა, ჩავრთე სერიალი და მთლიან სეზონს ახლიდან ვუყურე.



* * *

ჩამძინებია... თვალები გავახილე და უკვე ბნელოდა. ძალლი დივანზე, იმავე ადიელაში იყო გადახვეული, რაც ზედ მეფარა. იდეალური სიჩუმე იყო და მივხვდი, რომ სახლში კვლავ მარტო ვიყავი. მოვიწყინე, არა უარესი დამემართა. გავპრაზდი, რადგან ერთი დღე სასწაულად გამოიძებნა ისეთი, როცა წესით საკუთარ ქმართან მარტო უნდა დავრჩენილიყავი და ეგეც დედამთილმა შეიწირა. არადა, დარწმუნებული ვარ, ოდნავ მომატებული ან ოდნავ დაბალი წევა ექნებოდა, მაგრამ რა ქნას? მარტოა, არავინ არ ჰყავს რატის გარდა, ასაკშია და ალბათ, შეეშინდა, მაგრამ ხომ შეიძლება ჩემთვის დაერეკა, როდის მითქვამს უარი რაიმეზე მისთვის.

როგორც იქნა, ორი ხანგრძლივი საათის შემდეგ რატი სახლში დაბრუნდა. ჯერ ქალბატონი ნანას ამბები ვკითხე და როგორც ვივარაუდე, ოდნავ მალალი წევა ჰქონია. შემდეგ დავჯექი და ახალი სამსახურის ამბები დეტალურად მოვუყევი. კვლავ უინტერესო მზერა და კვლავ გაყინული სახე. ბოლოს, სერიოზულად, მკაცრი ტონით დავიწყე ლაპარაკი და როგორც ჩანს, ეგ არ უნდა მექნა. ყველაფერს მოვედე, როგორც ქალებს სჩვევიათ, ჩემი პრეტენზიები ბოლომდე ამოვუშვი, ის კი უემოციო სახით მიყურებდა და ან მისმენდა ან, არა. მორჩა, მეტი აღარ შემიძლია-მეთქი ვთქვი. ბავშვები დედაჩემთან არიან, მეც წავალ და იქ დავრჩები-მეთქი. არც კი უცდია ჩემი შეჩერება. ასე უბრალოდ, ავდექი და წავედი.



არა, სულ არ წამოვსულვარ, უბრალოდ სასტიკად გაბრაზებული და ნაწყენი ვიყავი. დედაჩემთან მივედი და, როგორც ყოველთვის, ჩემი მხარე არ დაუჭერია. კვლავ მე მადანაშაულებდა იმაში, რომ რატი მართალი იყო და ჩემი საქციელები, რასაც ვაკეთებდი, სრულიად არ შეეფერებოდა ექიმი კაცის ცოლობას. ამ შემთხვევაში, ალბათ, ის იგულისხმა, რომ სამსახური არ უნდა დამეწყო. ისევ დამრიგებლური ტონით მითხრა, რომ გამეგრძელებინა ცხოვრება სამსახურის გარეშე, ბავშვები გამეზარდა და შემდეგ, როცა ისინი უკვე საკუთარი თავის მიხედვას ისწავლიდნენ, მერე მიმეხედა კარიერისთვის. დაუსრულებელი რატის შექება მესმოდა. ამ მოსმენამაც დამღალა და ჩემს ოთახში ავედი.

* * *

აქ ამოსვლისას, ყოველთვის ბავშვობა მახსენდება. ჩემი ოთახი ისევ მწვანე ფერისაა. ჩემი ბავშვობის და მოზარდობის ნახატები კიდია და ჩემი ნივთები, რომლებიც დაოჯახების შემდეგ თან არ წამილია, ყველაფერი თავის ადგილზეა. ბოლო რვა წლის განმავლობაში, ალბათ, ათჯერ თუ ვიქები ღამით აქ ნამყოფი. ყოველ ჯერზე, ჩემი ბავშვობის ფოტოებს ვათვალიერებდი და ვხედავდი, თანდათან, როგორ მემსგავსებოდნენ ჩემი შვილები გარეგნულად. საწოლზე ჩამოვჯექი და ერთი წამით წარმოვიდგინე ჩემი ცხოვრების შესაძლო სამომავლო სიუჟეტი. ოდესლაც ყველაფერი შეიცვლება. ჩემი შვილები გაიზრდებიან და თინეიჯერობის ასაკში აღარ მოინ-



დომებენ მშობლებთან ერთად ცხოვრებას. მეტი თავისუფლება მოუნდებათ და ამჟამინდელ მდგო- მარეობასთან შედარებით ბევრად რთულად იქნება საქმე. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი, რომ სა- დაც არ უნდა იყვნენ ჩემი შვილები, მე ყოველთ- ვის ვეცდები, მათი მხარე დავიჭირო და მათ სურვი- ლებს პატივი ვცე. მათი მეგობრები ჩემი მეგობრები იყვნენ და მათი მომავალი მეორე ნახევრები, არა „სიძეები“, არამედ შვილები. ფიქრებით შორს წავე- დი, შვილებთან სამომავლო ურთიერთობები იდე- ალურად დავგეგმე, თუმცა, რატი? რატიზე აღარ მითიქრია. შთაბეჭდილებას ვტოვებ, თითქოს, არ მი- ყვარს და ცხოვრებას მის გარეშე ვგეგმავ. საერთოდ არაა ასე. ჩემი ქმარია და, რა თქმა უნდა, ძალიან მი- ყვარს, თუმცა, იმდენად ვიყავი მიჩვეული რვა წლის მანძილზე, ასე თუ ისე, უპრობლემოდ ცხოვრებას, რომ უსიამოვნო მომენტები, თითქოს, ნელ-ნელა მჭამენ. ყველა ურთიერთობაში არის კრიზისი და, როგორც ჩანს, ჩემს ურთიერთობაში დაოჯახებიდან რვა წლის შემდეგ დაიწყო...

* * *

ისევ წვიმს. ისევ ისეთი შეხედულება მაქვს ადა- მიანებზე, როგორც დასაწყისში მქონდა, თუმცა, ერთი განსხვავებით. ადამიანი ყველაფრისგან შეი- ძლება განთავისუფლდეს, ბოროტების გარდა. თუ მასში ეს „კოდი“ შინაგანად არსებობს და ფესვგადგ- მულია, მას ვერცერთი წვიმის წვეთი ვერ ჩამო- რეცხავს.



ამდენი ხანია ვწერ და ამ დრომდე არ მომიყოლია ჩემი და რატის გაცნობის ისტორია. ერთ საღამოს გოგოებმა გადავწყვიტეთ ქალაქებარეთ აგარაკზე ნავსულიყავით. რა თქმა უნდა, ვინც დაოჯახებული იყო, ქმართან ერთად, ვისაც სასიყვარულო ურთიერთობა ჰქნოდა, თავიანთ მეორე ნახევართან, ხოლო მე, როგორც ყოველთვის, მარტო. ამას იმიტომ ვიძახი, რომ, იმ პერიოდში, ჩემი ოცნებები და მიზნები სრულიად სხვა გზით მიდიოდა და ჩემს სამომავლო გეგმებში კაცის ადგილი არ იყო. აგარაკზე გვიან ავედით და მაშინვე ყველაფერი გავამზადეთ. ჩემი მეგობრის ქმარი გვიან ამოვიდა და გამოიცანით ვინ მოიყვანა? რატი. მისი ბავშვობის მეგობარი. როგორც კი გავიცანი, მაშინვე ხუმრობით ვიკითხე, რატომ მიმალავდით ასეთ სიმპატიურ მეგობარს-მეთქი და სამზარეულოს დავუბრუნდი. სუფრა ეზოში იყო გაშლილი და თავიდან ყველა ერთად ვისხედით, შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, თითოეულმა მათგანმა რომანტიული გარემო მოიწყო და დავრჩით მხოლოდ მე და რატი. თავიდან მორიდებულად იყო, ძირითადად ჩემ მიერ დასმულ კითხვებს პასუხობდა, თუმცა, შემდეგ ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთს საუბარში კარგად ავყევით და დავმეგობრდით. რამდენიმე კვირაში სოციალურ ქსელში მიმოწერა დავიწყეთ, როგორც მეგობრებმა. შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს საერთო მეგობრების დაბადების დღეებზე, და ბოლოს, ისე გამოვიდა, რომ, ჩემ გარდა, ყველამ იცოდა რატის როგორ ვუყვარდი. მეც დაქალებს გავუმხ-



იღე. თურმე, გრანდიოზულ ამბავს აპირებდნენ, მაგრამ იმდენად სწრაფად განვითარდა მოვლენები და იმდენად მალე დამეხვა თავბრუ სიყვარულით, რომ ბოლოს გავიპარეთ ისე, რომ არავინ იცოდა. ჩუმად წავედით, მხოლოდ მეჯვარეებს ვუთხარით და დავქორწინდით. მეორე დღეს მთელმა სამეცნ-ბრომ, სანათესაომ და სრულიად მთელმა თბილისმა იცოდა, რომ მე რატის ცოლი გავხდი. საყვედურებს ვიგერიებდით და ზოგი საკმაოდ ძნელად შემოვი-რიგეთ, მაგალითად დედაჩემი. მოულოდნელი იყო მისთვის, რადგან ბოლო წუთამდე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი დაოჯახების. აი, რატის დედ-ის პირადად გაცნობას კი ნამდვილად არ ჩაუვლია კარგად. სტუმრად მეორე დღესვე მივედით და ჩემი გამომცხვარი ნამცხვარი წავიღე. ყველაფერში დავ-ეხმარე, რაშიც იმ მომენტში სჭირდებოდა დახმარე-ბა, თუმცა, მისი გული მაინც ვერ მოვიგე. ეს ყვე-ლაფერი რვა წლის წინ მოხდა და ამის გახსენებაზე თვალწინ დამიდგა ის გრძნობა, როცა სრულიად არ მანაღვლებდა ჩემი მომავალი როგორი იქნებოდა. ჯულიეტას როლი მოვირგე, რომელსაც თავისი რო-მეოს გარდა არავინ და არაფერი უნდოდა.

* * *

შაბათი დილა გათენდა და ცოტა უცნაურ გარე-მოში გავიღვიძე. ჩემი ბავშვობის ოთახში. ერთი უჩვეულო ფაქტით, რომ ოთახში მარტო არ ვიყა-ვი და ორი ბავშვი მეწვა გვერდით. დაახლოებით, ათი წლის წინ მსგავსი რამ ჩემთვის რომ ვინმეს ეთქვა, აუცილებლად ვეტყოდი, რომ ეს არ მოხდე-



ბოდა არასდროს. და, აი, მე, აქ ვწევარ ჩემს ორ შვილთან ერთად და სამზარეულოდან დედაჩემის წუნუნის ხმა მესმის. ჩავიცვი და გავედი. დედაჩემი დილით ყოველთვის წუნუნებდა და არც დღეს დაურღვევია ეს ტრადიცია, ამჯერად მეზობელს აკრიტიკებდა, რომელიც გვერდით სახლში რემონტს აკეთებდა და ბურღის ხმა სახლში უმნიშნვნელო ვიბრაციებს იწვევდა. ყავა ავადულე და ფანჯარასთან დავჯექი. დედაჩემმა ისევ გუშინდელი საუბარი გამიგრძელა, ამჯერად მშვიდად. კატეგორიულად, თუმცა, წყნარად ვუთხარი, რომ სამსახურს მაინც დავიწყებდი და ჩემს ქმარს ამაზე არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. ვუთხარი, რომ კამათი სხვა თემის გამო მოვივიდა და მას არ უნდა ენერვიულა, ამ თემას თავად მოვაგვარებდით, როგორც ზრდასრული, შემდგარი და ჩამოყალიბებული პიროვნებები. უკმაყოფილო სახით შემომხედა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია ამ თემაზე. თავის მეგობრებზე რამდენიმე ახალი ამბავი მომიყვა, შემდეგ ისიც კი გამიმხილა, რომ ახლო თუ არა, შორეულ მომავალში სოფელში საცხოვრებლად უნდოდა გადასვლა. შემომთავაზა სოფელში, რომელიც ძალიან ახლოს იყო, ბავშვებს მთელი ზაფხული დაიტოვებდა. გამეხარდა, რადგან არ მეგულებოდა ადამიანი, რომელთანაც ბავშვებს დავტოვებდი ისე, რომ გული არ გამხეთქვოდა. რამდენიმე წუთში ბავშვებმაც გაიღვიძეს და დედაჩემმა მაღაზიაში წაიყვანა. ამასობაში რატი მოვიდა, ისარგებლა ჩემი მარტო ყოფნით და ახსნა დაიწყო. აღმოჩიდა, რომ სამსახურში ერთ-ერთი გარდაცვლილი პაციენტის ოჯახთან უსიამოვნება მოუვიდა, დეტალებს არ ჩაღრმავებია, თუმცა, იმდენად სერიო-



ზული საქმე იყო, რომ სასამართლოში აპირებდნენ საჩივრის შეტანას. რატის კოლეგა, რომელიც მამად ეკუთვნის, ბატონი გურამი, ცდილობს, ეს ამბავი შეძლებისდაგვარად მოაგვაროს, თუმცა, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაა, რა მოხდება. დავინტერესდი და ვკითხე ეს ის პაციენტი ხომ არ იყო, რამდენიმე დღის წინ რომ დაეღუპა, მან კი, დანაღვლიანებული და სევდიანი სახით, თანხმობის ნიშნად, თავი ჩაღუნა. რა უნდა მექნა, მაშინვე გადამიარა ყველანაირმა გაბრაზებამ, მივედი და ბოდიში მოვუხადე გუშინდელი ინციდენტის გამო. ამასობაში, დედა-ჩემი და ბავშვები მაღაზიიდან დაბრუნდნენ. რატის დანახვაზე დედაჩემს გაბრნყინებული სახე ჰქონდა, ბავშვებს ისე გაეხარდათ მამის დანახვა, რომ ნახევარი საათი ვერც კი მამჩნევდნენ. საღამომდე იქ ვიყავით, შემდეგ გამახსენდა, რომ ქალბატონ ნანას მეორე დღეს მაღაზიებში, საყიდლებზე მივყებოდი, ამიტომ სახლში ერთად წავედით. ოღონდ უჩვეულო მოვლენა ის გახლდათ, რომ ორი მანქანით ვიყავით. მაშო ჩემთან იჯდა, ევა რატისთან. საღამო ყველამ ერთად, ოჯახურ გარემოში გავატარეთ. ჯერ თავიდან ბავშვების საყვარელ გადაცემას ვუყურებდით, მათი დაძინების შემდეგ კი ჩემი და რატის საყვარელი სერიალი ჩავრთე და გვიანობამდე ვუყურეთ.

წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორ არ მინდოდა, ეს დღე ასე მალე დამდგარიყო, რადგან შუადღის პირველ საათზე ვიყავი დაბარებული დედამთილთან, დილაადრიან ავდექი, რომ ძალი სასეირნოდ



გამეყვანა. თან ქალბატონ ნუნუზე მეფიქრებოდა. ბოლოს, რომ ვიყავი, ვერ ვნახე და იქნებ ახლა მაინც ყოფილიყო. კვლავ ჩემს საყვარელ ადგილას მივედი და ჩამოვჯექი. ჩემდა საბედნიეროდ, მალევე, ქალბატონი ნუნუც გამომჩნდა და გვერდით მომიჯდა. ახალი ამბები გამომკითხა, მეც ვახარე ჩემი სამსახურში აყვანის სიახლე. ძალიან გაეხარდა. ქალბატონი ნუნუ, ალბათ, ერთადერთი იყო, ვისაც მართლა გულით გაეხარდა ჩემი ამბავი. შვილებზე ვკითხე, შემდეგ მეუღლებზე და ბოლოს გაუაზრებლად ღალატზე ჩამოვაგდე საუბარი. ქალბატონ ნუნუს ვკითხე რას იზამდით მეუღლეს, რომ თქვენთვის ელალატა-მეთქი და, ჩემდა გასაკვირად, ასეთი ისოტრია მომიყვა: 90-იანი წლები იყო. ქალბატონი ნუნუ ბავშვს ელოდებოდა, როცა მის მეუღლეს საკმაოდ გავლენიანი საყვარელი ჰყავდა. ამის შესახებ იცოდა, თუმცა, მითხრა, რომ აზრი არ ჰქონდა ხმის ამოღებასაც კი. იმ დროს, როცა სამშობიაროში იყო, მისი ქმარი, თავის საყვარელთან ერთად, მოსკოვში ყოფილა გაპარული რამდენიმე დღით. ეს ყველაფერი მას შემდეგ გაუგია, როცა სრულიად მარტომ წამოიყვანა ბავშვი საავადმყოფოდან და იმ დღის შემდეგ, არა თუ გადაუყვარდა თავისი ქმარი, არამედ პატივისცემაც დაკარგა. სახლში რამდენიმე დღის შემდეგ მოსულა და ზუსტად იმ დროს გაუგია, რომ უკვე მამა გახდა. თავის გამართლება არც უცდია, უბრალოდ მისულა, ცოლისთვის მიულოცავს შვილის შეძენა, საკუთარი თავისთვისაც და ისევ წასულა. ასე წასვლა მოსვლაში 30 წელი გავიდა. არ დაშორებია, რადგან ის პიროვნება მისთვის არც კი არსებობდა. მთელი თავისი ყურადღება შვილებზე



გადაიტანა და დღემდე ასე მოაღწია. გაოცებულმა ვკითხე, თუ რატომ შეალია თავისი ცხოვრება და ახალგაზრდობა ასეთ არაკაცს და ასეთი პასუხი მი-ვიღე:

– როცა გავაანალიზე, რომ გვერდით მართლა არაკაცი მყავდა, უკვე დედა ვიყავი. უკვე საკუთარ თავზე მნიშვნელოვანი ადამიანი მყავდა და ვერ დავუშვებდი, რომ ის, რომელიმე მშობლის გარეშე გაზრდილიყო. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მამა-მისი, მისთვის იდეალური იყო. ეს ზრდასრულობაში გააცნობიერეს ჩემმა შვილებმა, რაც მე გამოვიარე, თორებ ის ბავშვობა, სწორედ იმიტომ ახსენდებათ ტკბილად, რომ ჩვენს ოჯახში არასდროს ყოფილა ჩხეუბი და არეულობა. ყოველთვის ჩემგან დადებითი ესმოდათ მამაზე და ღმერთია მოწმე, ისიც არ იძახ-და ჩემზე ცუდს არაფერს.

გაოცებული ვიყავი ქალბატონი ნუნუს ისტორი-ების მოსმენით. შემდეგ შვილებზეც მომიყვა ორიოდე სიტყვით. ორი ბიჭი ჰყავს, ჩემზე ცოტა უფროსები არიან. უფროსი საზღვარგარეთ ცხოვრობს და რო-გორც შეუძლია, იქიდან ეხმარება. რამდენიმე წელია მხოლოდ საოციალური ქსელით ესაუბრებიან ერთ-მანეთს. მეორე, პატარა, კი სხვა უბანში ცხოვრობს და ისიც ხშირად ნახულობს დედას, რომელმაც სა-კუთარი ცხოვრება შვილებს მიუძღვნა. საერთო ჯამში ორივე შვილს ცალი ხელი დედისკენ აქვს და როგორც შეუძლიათ, ისე გამოხატავენ მადლიერე-ბას და სიყვარულს მის მიმართ. სასიამოვნო ქალბა-ტონი იყო ნუნუ, მასთან ძალიან მომწონდა საუბარი, რადგან, გარკვეული თვალსაზრისით, სულიერად მამშვიდებდა. ამ საუბარში დრო როგორ გავიდა,



ვერც კი შევამჩნიე, ამიტომ სასწრაფოდ წამოვხტი, დავემშვიდობე და სახლში გამოვქანდი. კარგია, რომ სულ ცოტახნით მაინც დამავიწყდა იმდღევანდელი სიმძიმე. ვერ მივხვდი, რატომ ვგრძნობდი ხოლმე უსიამოვნოდ თავს ქალბატონ ნანასთან, ან იქნებ იმიტომ, რომ ნებისმიერ სიტყვაზე მეკინკლავებოდა და შენიშვნების მოცემა უყვარდა. ვიფიქრე, ადრე მივალ და მის თვალში ოდნავ პუნქტუალური გამოვჩინდები-მეთქი. სახლში დაპრუნებულს ყველა გაღვიძებული დამხვდა. რატის დღის განრიგი დავუტოვე, საჭმელი და ვთხოვე, ბავშვები გაესეირნებინა, სანამ მე დედამისთან ერთად საყიდლებზე ვიქნებოდი. ქალბატონ ნანასთან პირველი საათის მაგივრად თორმეტ საათზე ვიყავი. სამწუხაროდ, ვერ დავიმსახურე მისგან კომპლიმენტი, რადგან ადრე მისულს, ჩემთვის არც თუ ისე საუცხოო და გასაკვირი ფრაზა მომახალა: „რა გეჩქარებოდაო“. ბავშვებისთვის ვაშლის ღვეზელი გამოუცხვია და მითხრა, რომ როცა დავპრუნდებით, მაშინ გამატანდა. ერთს კი ნამდვილად ვერ დაუკარგავ ქალბატონ ნანას, იდეალურად აკეთებდა ცომეულებს და რაც არ უნდა გაეკეთებინა ყოველთვის უზომოდ გემრიელი იყო. ჩემს შემთხვევაში ფრაზამ: „ადრე წადი ადრე მოხვალ“-ო არ გაჭრა, ზუსტად პირველ საათზე გავედით სახლიდან და ალბათ, ყველა მაღაზია შემომატარა, რაც კი თბილისში ეგულებოდა. ახალი ფარდები, ახალი ჭურჭელი, ახალი ტანსაცმელი და ახალი ქოლგა იყიდა. იყიდა არა, შვილმა უყიდა, რადგან დილით რატიმ სახელფასო ბარათი გამომატანა და დამაბარა, ყველაფერი მეყიდა დედამისისთვის, რაც მოეწონებოდა. ნეტავ მეც მომცემდეს



ვინმე და მეტყოდეს, რაც გაგიხარდება ყველაფერი იყიდეო. არა, არაფერი არ მაკლია, ეს უბრალოდ ისე ვთქვი. პირველ საათზე გასულები, როგორც იქნა, საღამოს ექვს საათზე სახლში ვიყავით. ამდენი ხანი სიარული ჩემთვის უკვე მიღწევა იყო. ერთი სული მქონდა, როდის მეტყოდა: „შეგიძლია, სახლში წახვიდე და დაისვენოო“, მაგრამ არა. ჯერ ახალი ფარდები ჩამომაკიდებინა, შემდეგ ახალი ჭიქების გარეცხვა თავად შევთავაზე და ბოლოს, მოწყვეტით რომ დავეცი სამზარეულოს სკამზე, ვაშლის ღვეზელი გამომიღო, კონტეინერში გადამიხვია და უფლება მომცა, სახლში წამოვსულიყავი. დავემშვიდობე ქალბატონ ნანას, კარებში გამოსული არ ვიყავი, რომ მადლობა მომაძახა. გამოვედი და გამეღიმა. არც კი მახსოვს, როდის მითხრა ქალბატონმა ნანამ ბოლოს მადლობა. მესიამოვნა და შევამჩნიე, რომ დაღლას ველარ ვგრძნობდი. უფრო მეტიც, საკუთარი თავით ვამაყობდი კიდეც. შებინდებული იყო სახლში, რომ მივედი. ბავშვები უკვე დაძინებული დამხვდნენ და რატი დივანზე მელოდებოდა. მთელი დღის ამბები გამომკითხა, მეც სიხარულით მოვუყევი, როგორ შემაქო ქალბატონმა ნანამ და მადლობა გადამიხადა. ამ დღის წარმატებით დასრულებისთვის, რატიმ გადაწყვიტა იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუ შუა კვირაში ყველაზე მაგარ რესტორანში წავიდოდით. ღმერთო, როგორ მომენატრა სადმე გასვლა. განსაკუთრებით მასთან ერთად. ერთადერთი ბანქოს დღეები გვქონდა, სადაც მეგობრებთან ერთად ვიყავით უქმეებზე. ისე იმვიათად დავდიოდით სხვადასხვა ადგილზე ხშირად. ამჯერად, ქმარმა გამიკეთა ჩაი და სერიალსაც ერთად ვუყურეთ ისე,



რომ რატის არ ჩასძინებია. შემდეგ დასაძინებლად გაემზადა და მაშინ გამახსენდა, რომ ხვალ სტაურებაზე მივდიოდი. ეს ამბავი გავუზიარე და ჩემდა გასაკვირად, გამიღიმა და წარმატებები მისურვა. ასე დამთავრდა ეს კვირა. ხვალიდან ახალი გეგმები მაქვს, რასაც ხვალ გაგიზიარებთ. ახლა კი სასწრაფოდ სახლი უნდა მივალაგო და დავიძინო.

* * *

ორშაბათი დილა გათენდა და როგორც ყოველთვის, ძალი დილით სასეირნოდ, სკვერში გავიყვანე. ისევ შემხვდა ქალბატონი ნუნუ და ამჯერად, ზოგად-საკაცობრიო თემებზე ვისაუბრეთ. მალევე დამემშვიდობა, მითხრა, რომ დროდადრო წნევა ანუხებდა და სახლში უნდა წასულიყო. ყოველი შემთხვევისთვის, ტელეფონის ნომერი მივეცი და ვუთხარი, თუ რამე დასჭირდებოდა, ნებისმიერ დროს დაერეკა. კი, ვიცი, რომ იდეალური შვილები ჰყავს, თუმცა, მე შედარებით ახლოს ვცხოვრობდი და მათი შეწუხება აღარ მოუწევდა. ძალიან გაუხარდა, თბილად გადამეხვია, მადლობა გადამიხადა და წავიდა. სახლში დაბრუნებულს, რატიმ მითხრა, რომ ბავშვებს თვითონ წაიყვანდა, მე კი მოვმზადებულიყავი ახალი სამსახურისთვის და ვერავინ წარმოიდგენს, როგორ ბედნიერად ვგრძნობდი იმ მომენტში თავს. თითქოს, ყველანაირი, ყოფითი პრობლემა დამავიწყდა და ფიქრებით სრულიად სხვა სამყაროში გადავინაცვლე. დილის ათ საათამდე უკვე მარტო ვიყავით მე და ჩემი ძალლი სახლში და მეც ნელ-ნელა გამზადება დავიწყე. პირველ რიგში, ცივი აბაზანა მივიღე, შემდეგ



გემრიელი ყავა დავლიე, ტანსაცმელი გავაუთოვე, მსუბუქი მაკიაჟი გავიკეთე, გადამზადებისთვის ბუთქუჩა ბლოკნოტი და ლამაზი კალამი გავამზადე. ჩავიცვი, ჩემი საყვარელი, საქმიანი ქალის სუნამო, მივიპეურე და სახლიდან გავედი. მზიანი დღე იყო. ამ ქალაქში, როგორც ყოველთვის, იშვიათად თუ ნახავ მანქანის გასაჩერებელ ადგილს. წინასწარ ფსიქოლოგიურად მოვემზადე, რომ მანქანა შორიახლოს უნდა გამეჩერებინა, სადაც ადგილს ვნახავდი და სამსახურამდე ფეხით გამესეირნა. ოფისის წინ ვიდექი და ყველაფერი წინანდელთან შედარებით ისე მომეჩვენა, თითქოს, ეს ადგილი ჩემი მეორე სახლი იყო. ამაყად შევედი და თათიას მივესალმე. ისიც თბილად შემხვდა და თათახისაკენ გამიძლვა. მუქი ფერის ოთახი იყო, სადაც, ჩემ გარდა, რამდენიმე ქალი ჰყავდათ დაბარებული. მივესალმე და დავჯექი. ბატონი ერკულე ნახევარი საათი დაგვიანებით მოვიდა. გადამზადების პირველმა დღემ მშვენივრად ჩაიარა, სახემძღვანელოები მოგვცეს და ყველაფერში, ასე თუ ისე, გაგვარკვიეს. შემდეგ გვითხრეს, რომ გადამზადება ორი კვირა გაგრძელდებოდა, დღეში ოთხი საათი და ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, მოგვინევდა სიარული. ამოვისუნთქე, მეგობრების გარეშე კიდევ ორი კვირა ნამდვილად ვერ გავდლებდი, ამიტომ დიდი სიხარულით წამოვედი. ჩემდა საბედნიეროდ დღის 12 საათიდან, შუადღის 4 საათამდე გაგრძელდებოდა და ბავშვების წამოსაყვანად დროც დამრჩებოდა. ჩემს სამსახურთან ახლოს პატარა კაფე იყო. შევედი, ყავა შეუკვეთე და გარეთ დავჯექი. კაფის ეზოში, სუფთა ჰაერზე ვიჯექი, ისე, რომ ქუჩის ხმაური არ მანუხებდა. ესეც ასე, პირველმა დღემ მშვენივრად ჩაიარა,



ვამაყობ საკუთარი თავით და დარწმუნებული ვარ, ვინმეს, რომ აინტერესებდეს ჩემი სამსახურის ამბები, ისიც იამაყებდა ჩემით. აუცილებლად მოვუყვები ქალბატონ ნუნუს სამსახურში ჩემი პირველი დღის შესახებ. ამასობაში დრო იყო, ბავშვები ბალიდან გამომეუვანა და სასწრაფოდ გავიქეცი.

* * *

უკვე საღამოა, აღარ ვწუნუნებ რუტინული ცხოვრების გამო, რადგან ბავშვები ბალიდან რომ მომყავდა, ევამ აღნიშნა, რომ მისი დედიკო ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. ამაზე სასიამოვნო გრძნობა ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს. რამხელა ბედნიერებაა, როცა შვილი მსგავს რამეს გეუბნება და თან იცი, რომ ამას მხოლოდ ვალდებულების მოხდის მიზნით არ იძახის, მის თვალში მართლაც ლამაზი დედიკო ხარ. საღამოს, სანამ რატი მოვიდოდა ბავშვებმა მთხოვეს სასეირნოდ წავიდეთო, უარი ვერ ვუთხარი, უბრალოდ შევთავაზე, ჩვენი პატარა ოჯახის წევრიც, პატარა ცუგაც, სასეირნოდ თან წაგვეუვანა. ჩვენს სკვერში იშვიათად გამოვდიოდი საღამოს, თუმცა, ძალიან სასიამოვნო ყოფილა, საღამოს საათებში აქ დროის გატარება. მე მაინც დილა მირჩევნია და დარწმუნებული ვარ, ჩემს ძალლსაც, რადგან დაცარიელებულ სკვერში ბევრად უფრო თამამად დარბის ხოლმე, მაგრამ საღამოც მშვენიერი იყო. რატიმ დამირეკა, ვუთხარი სადაც ვიყავით, შევთავაზე, აქ მოსულიყო და ერთად წავსულიყავით, მაგრამ დაღლილი იყო და სახლში დარჩენა ამჯობინა. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა და სახლში



საღამოს რვა საათისთვის დავბრუნდით. ის იყო სახლის კარები უნდა გამეღო, რომ ლანას და რატის შევეჩეხე, გაკვირვებულმა და გაღიმებულმა ვკითხე:

– აქ რა გინდათ?

რატიმ მაშინვე მიპასუხა:

– ახალი პაციენტი გვყავს, ოპერაციას ვუკეთებთ ხვალ, საბუთები ოფისში დამრჩა და ლანამ ახლახან მომიტანა.

ნორმალური ქალი, ალბათ, სულ სხვა რაღაცას იფიქრებდა და ვერ დაიჯერებდა, რომ ქალი, რომელიც მართლა იდეალური იყო, ცოლის არყოფნის დროს კაცს სამსახურიდან საბუთებს მიუტანდა. თუმცა, ამაში განსაკუთრებული ნამდვილად ვერაფერი ვერ დავინახე. ძალიან მოკრძალებულად, აუღელვებლად, უშიშრად ეკავა რატის საბუთები ხელში და ლანაც არ ჰგავდა ნამდვილად დიდი ხნის მოსულს, ამიტომ ჩავთვალე, რომ მათი მონათხრობი ზუსტად შეესაბამებოდა არსებულ მდგომარეობას და ლანას შევთავაზე, ყავაზე დარჩენილიყო. თუმცა, მიპასუხა, რომ ეჩქარებოდა, რადგან ლევანი სახლში ელოდებოდა და წავიდა. იმ საღამოს რატიმ თავის თავზე აიღო ბავშვების დაბანაც და დაძინებაც. მე აივანზე ვიჯექი და წითელ ღვინოს ვწრუპავდი. რატიც გამოვიდა და მომაყოლა ყველაფერი, რაც სამსახურში მოხდა. შემპირდა, ხვალ ბავშვებს წავიყვანდა ბაღში და ოპერაციის დასრულების შემდეგ გამომივლიდა და რესტორანში წამიყვანდა. ეს დღე, ჩემი აზრით, იდეალურად დამთავრდა, რადგან ბედნიერების გარდა არანაირი გრძნობა არ მანუხებდა.



სამშაბათ დღეს ყველაფერი ზუსტად ისე წარიმართა, როგორც რატი დამპირდა. დილით, ტრადიციულად, ძალლი გავიყვანე სასეირნოდ, თუმცა, ქალბატონი ნუნუ არ შემხვედრია, ვიფიქრე, ალბათ, დაეზარა ადრე ადგომა-მეთქი. სამაგიეროდ, მე დიდი დრო მქონდა სახლში დავპრუნებულიყავი და ყველაფერი ისევ ისე გამეკათებინა, როგორც გუშინ. სამსახურიდან ეგრევე სახლში წამოვედი და მომზადება დავიწყე. ამასობაში, ქალბატონმა ნანამ დარეკა. თურმე, რატის დაურეკა, ბალიდან ბავშვების გამოყვანა და საღამოდე ჩვენთან დარჩენა უთხოვნია, აქაც მწარე ფრაზა გადმომიგდო:

— დღევანდელ დროს უმიზებოდ რესტორნებში არ დადიან.

გაკვირვებული ვარ, როგორ ახერხებს ეს ქალი ერთი წინადადებით გამამწაროს. ალბათ, მაგასაც ბუნებრივი ნიჭი სჭირდება. მოკლედ, ბავშვების დატოვების თემაც მოგვარებული იყო. რატის მივწერე მალე მოსულიყო და დედამისთან მარტო არ დავეტოვებინე, მაგრამ არ მიპასუხა. სასწრაფოდ, სახლი დავალაგე, იდეალურად გავაწკრიალე ყველაფერი, რომ ამაზეც შენიშვნა არ მოეცა და დაველიდე. დაახლოებით 6 საათი იქნებოდა სახლში რომ მოვიდნენ. ბავშვებს ვაჭამე, გავაფრთხილე, ბებო არ გაებრაზებინათ და მომზადება დავიწყე. აი ის კაბა ჩავიცვი, შავი, სამსახურის თემაზე, რომ მინდოდა პირველად რატისთან ლაპარაკი, ვახშამი რომ გავამზადე და არ მოვიდა. საბედნიეროდ, ოთახიდან გამოსულს, ჩემი ქმარი უკვე სახლში დამხვდა და მე-



ლოდებოდა. ქალბატონი ნანა ძალლებს ვერ იტანდა, იძახდა, რომ ალერგია ჰქონდა, არადა არაფერი არ სჭირდა, ამიტომ გასვლის წინ ჩემს ძალლს ბოდიში მოვუხადე, მოვეფერე და წავედი.

* * *

ულამაზესი საღამო გამოვიდა. ბევრი ვიცეკვეთ, ვილაპარაკეთ. თავი ისევ გაუთხოვარი, შეყვარებული გოგო მეგონა. ამასობაში, რატომ პატარა ყუთი ამოილო ჯიბიდან და მომანოდა. დავინტერესდი, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე, თუ რა იდო შიგნით, მან კი მიპასუხა:

— ის რაც ყოველთვის გინდოდა!

ყუთი ფრთხილად გავხსენი და შიგნით გასაღები აღმოვაჩინე. გაოცებულმა და დაბნეულმა შევხედე, ჩემი გამომეტყველებით მიხვდა, რომ აზრზეც არ ვიყავი, რისი გასაღები შეიძლებოდა, ყოფილიყო. ტელეფონი ამოილო და პირდაპირ მითხრა:

— სანამ დავქორწინდებოდით, ნათქვამი გქონდა დიდი აგარაკი მინდა, სადაც მეგობრებთან ერთად გავატარებდი უქმეებსო, ამიტომ გადავწყვიტე, რვა წლის შემდეგ ეს სურვილი ამეხდინა შენთვის და ქალაქთან ახლოს, კოჯორში, აგარაკი გიყიდე.

რამდენიმე წამი, სანამ ჩემი ტვინი გადახარშავდა ამ ემოციურ წინადადებას, გაშტერებული ვიჯექი. შემდეგ იმდენად დიდი ემოციების მოზღვავება ვიგრძენი, რომ ასე მეგონა გავსკდებოდი. ერთადერთი ის დავაზუსტე ნამდვილად ჩვენ გვეკუთვნოდა თუ არა სახლი. ემოციებმა წამომახტუნა. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ სულ გადამავინყდა ყველაფერი.



ყველანაირი წყენა, ბრაზი, რაიმე უსიამოვნო ეჭვიც კი გამიქრა. გახარებული მივვარდი და ჩავეხუტე. ისიც შემომთავაზა, ამ უქმეებზე მეგობრების საერთო შეხვედრაც მოგვეწყო. ლანა და ლევანიც დაგვეპატიუა და ორი დღე იქ გაგვეტარებინა. ახსნა და გადმოცემა არ შემიძლია იმ ემოცების, რა ემოციებსაც იმ მომენტში ვგრძნობდი. ზუსტად ასეთი ემოცია მახსენდება ქორწილის წინა დღეს, მოუთმენლად რომ ველოდებოდი, როდის გათენდებოდა. აღფრთოვანებული ვიყავი და არც მახსოვს, როგორ მივედით სახლში. მხოლოდ ქალბატონი ნანას უკმაყოფილო გამომეტყველება დამამახსოვრდა. სახლში რომ დავრუნდით, რატიმ დედამისი წაიყვანა თავის სახლში და მე, თუ სადმე ვინმე გამახსენდა, ყველას დავურეკე და გავაგებინე ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ. მეგობრების ჩათში მთელი ამბავი ავტეხე. დედაჩემსაც დავურეკე და მხოლოდ ის მითხრა, რომ მადლობელი ვყოფილიყავი ასეთი კარგი ქმარი რომ მყავდა და ასე მანებივრებდა. იმდენი ემოცია გავუშვი, რომ სრულიად გამოვიფიტე და მალევე მიმეძინა, ისე რომ ვერც კი დაველოდე რატის მოსვლას...

* * *

ოთხშაბათი დილა გათენდა. დაღლილობასა და სიამოვნებას ერთდროულად ვგრძნობდი. რატიმ კვლავ დამასვენა და ბავშვები ბალში წაიყვანა. ყავა გავაკეთე და აივანზე დავჯექი. ამასობაში ელენემ დამირეკა, გოგოები ყავის დასალევად გადიოდნენ და აინტერესებდა, რომელი საათისთვის მეცლებოდა, ვუთხარი, რომ ოთხი საათის შემდეგ თავისუფალი ვიქნებო-



დღ. სასწრაფოდ დედაქამა გადავურეკე და ვთხოვე, ბავშვები თავისთან წაყვანა, შემომთავაზა, რომ დღეს თვითონ დაიტოვებდა, ხვალ კი ბალს გააცდენდნენ და სახლში ეყოლებოდა, ან სადმე წაიყვანდა გასართობად. დავთანხმდი და სამსახურში წასასვლელად გავემზადე. საღამოს გოგოები ვნახე და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი, ელენემ აღნიშნა, რომ იდე-ალური ქმარი მყავდა და უნდა მეამაყა. დავიმორცხვე და გავიღიმე. ჩემი რამდენიმე მეგობარი ქმარს გაშორებული იყო, მათ შორის, ელენეც. მათთვის მაგალითი ყოველთვის რატი იყო და სულ მახსენებდნენ, რომ რატისნაირი კაცები იშვიათობაა. როგორც გუშინ ვახსენე, ამ უქმეებზე ჩემს ახალ აგარაკზე ვიკრიბებით და მეგობრების შეხვედრას იქ ვაწყობთ. როგორც კი ამ სიახლის შესახებ გოგოებმა გაიგეს, მაშინვე საქმეების გადანაწილება დაიწყეს. ამ დროს, ელენემ ახალი ამბავი გაგვაგებინა. მის პირად ცხოვრებაში სიახლეები იყო და უნდოდა აგარაკზე თავისი მეგობარიც წამოეყვანა. ოლონდ ელენეს თავისი პირადი ცხოვრება დაელაგებინა და ვისთან ერთადაც სურდა, იმასთან ერთად მოსულიყო. შემდეგ გოგოებმა დეტალებში მოაყოლეს, თუმცა, ვინაობა არ გაგვიმხილა, დანარჩენი ინფორმაცია უქმეებისთვის გადაგვიდო. გოგოებთან შეხვედრა სამი საათი გაგრძელდა და სახლში დავბრუნდი. ელენეს ამბავი ძალიან გამეხარდა. მოგიყვებით მის ისტორიასაც: 20 წლის ასაკში გათხოვდა. მანამდე, მის ყოფილ ქმარს ხშირად დავყავდით სამეგობრო სხვადასხვა ადგილზე, ხან ქალაქებარეთ ვიყავით, ხან რომელიმე ბარში ან რესტორანში, ხან კინოში და ხანაც კაფეში. ქორწილიც დიდი და ბრწყინვალე იყო. ელენემ და მისმა ყოფილმა მეუღლემ ერთად სამი



წელი იცხოვრეს, შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე გააგრძელეს ცხოვრება. დიდი ხნის განმავლობაში ვცდლობდით მეგობრები, შეგვერიგებინა, ხან სრულიად მოულოდნელად ვპატიჟებდით ორივეს ერთად სადმე, მაგრამ უშედეგოდ. ელენე კატეგორიულ უარზე იყო. ამბობდა, რომ ვერ იცხოვრებდა კაცთან, რომელიც აღარ უყვარდა. ბოლოს ჩვენც თავი დავანებეთ. ელენე სიყვარულის მაძიებელი ქალი იყო. ვალდებულების გამო არასდროს არაფერს აკეთებდა. რაც არ მოსწონდა ყოველთვის აპროტესტებდა და არასდროს ჩერდებოდა იქ, სადაც თვლიდა, რომ მისი ადგილი არ იყო. დროთა განმავლობაში ჩვენს სამეგობროს კიდევ რამდენიმე კაცი გამოაკლდა. დავფიქრდი და მივხვდი, რომ ჩვენს დროში ძალიან მარტივად ინგრეოდა ოჯახები. სიტყვა „სიყვარულ“-ზე ზედმეტი იყო საუბარი. იმდენად თამამად იღებდნენ ახალგაზრდები გადაწყვეტილებას, რომ გვერდიდან შემყურეს შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ძალით იყვნენ დაბმულები და დაშორება ერთადერთ თავისუფლებად მიაჩნდათ. არა, არც ის მიმაჩნდა სწორ საქციელად, რასაც ქალბატონი ნუუ იტანდა, თუმცა, ის მიზეზები, რის გამოც დღევანდელ დღეს ოჯახები ინგრევა ნამდვილად არ იყო შესაბამისი მიზეზი, ბავშვებისთვის ამხელა ტრავმა მიეყენებინათ. სადღაც წავიკითხე, მშობლების დაშორების შემდეგ, ბავშვები ყველაზე მეტად განიცდიან და დანაკლისს გრძნობენ. ხშირ შემთხვევაში, ვერ აანალიზებენ რა, რის გამო ხდება და შესაძლოა ეს ვითომ „უმნიშვნელო“ ამბავი, ცხოვრების მთავარ ტრაგედიად გადაიქცეს მათთვის. არც იმას ვეთანხმები, რომ ადამიანთან უსიყვარულოდ უნდა იცხოვრო და ვალდებულების გამო, იძულებით რამე



აკეთო, უბრალოდ იმ ფაქტს ვერ ვხვდები, ადამიანი, რომელიც გიყვარდა იმდენად, რომ ცხოვრება დაუკავშირე, შემდეგ ამდენი დღე, თვე, წელი, ამდენი სასიამოვნო მოგონება დააგროვე, როგორ შეიძლება გაიმეტო იმისათვის, რომ გადაიყვარო. მესმის და ვიცი, რომ დაოჯახების შემდეგ ეს სიყვარული ისეთი აღარ არის, როგორიც დასაწყისში, თუმცა, მთავარი ოჯახის სიმყარეში სწორედ ისაა, რომ ეს გრძნობა შეინარჩუნო იმ დონეზე, რომ შენი მეორე ნახევარი მართლაც მეორე ნახევრად აღიქვა და შეგრძნება გქონდეს, თითქოს მის გარეშე ვერც იარსებდე. სწორედ ასე, რომ ფიქრობდეს კაციც და ქალიც ნამდვილად მომრავლდება მტკიცე და მოსიყვარულე ოჯახები. ნეტა, ჩემს აზრებზე იყოს დამოკიდებული ყველაფერი, რამდენი კარგი რამის გაკეთებას შევძლებდი, რამდენ ადამიანს გავამხნევებდი, რამდენ ადამიანს მოვუგვარებდი არსებულ პრობლემას, რაც მთავარია რამდენ რძალ-დედამთილს ჩამოვყალიბებდი იდეალურ ურთიერთობას, რომელიც მე ჯერჯერობით არ მღირსებია და დიდი ალბათობით, არც მეღირსება.

* * *

ხუთშაბათმა დღემაც ისევე ჩაიარა, როგორც ნინა, მშვიდმა დღეებმა და დადგა ნანატრი პარასკევი დღე. საღამოს უნდა ავსულიყავით ჩვენს ახალ აგარაკზე და ყველაფერი მოგვენესრიგებინა. გოგოებმა კი შემომთავაზეს წამოსვლა და მოხმარება, თუმცა, უარი ვუთხარი, მინდოდა, ყველაფერი თავად გამეკეთებინა და ენერგია სწორად დამეხარჯა. ცალკე დედაჩემი რეკავდა ბავშვები ჩემთან



დატოვეთო, ცალკე ქალბატონი ნანა, ამიტომ მე და რატიმ მოვილაპარაკეთ და ვუთხარით, რომ ჩვენთან სახლში ორივე გამოსულიყო და ბავშვები ერთად დაეტოვებინათ. მოვიტყუები, რომ ვთქვა, იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ დედაჩემს და რატის დედას-მეთქი. არც ერთი არ იყო დამთმობი და ორივე თავისებურად კბენდა ერთმანეთს, თუმცა, თავის დროზე სასტიკად გავაფრთხილეთ, რომ ბავშვების თანდასწრებით საკუთარი აზრები გვერდით გაეწიათ და თუ მოხდებოდა ისეთი უკიდურესი შემთხვევა, როგორიც ახლა არის, მშვიდად და განონასწორებულად მოქცეულიყვნენ. რატიმ მითხრა, რომ სანამ წავიდოდით ლანასა და ლევანისთვის გაგვევლო, რადგან მანქანით არ იქნებოდნენ და ჩვენ წაგვეყვანა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი, მარტო არ მომინევდა ამდენი რამის ხვალამდე გაკეთება და თან, ცოტას წავიჭორავებდით მე და იდეალური ლანა. ბავშვების დატოვების პრობლემაც მოგვარებული იყო, დამტოვებლებს ჩავაბარეთ და სახლიდან გავედით. სანამ ლანასთან და ლევანისთან გავივლიდით, მანამდე საყიდლებზე წავედით. უამრავი რაღაც შევიძინე, სახლის დასალაგებლად ყველა საჭირო ნივთი, პროდუქტი, ცოტა დეკორაცია და ბოლოს, ჩვენს მგზავრებს გავუარეთ. ლანა, როგორც ყოველთვის, იდეალურად გამოიყურებოდა, სპორტული ტანსაცმელიც კი მის ტანზე იდეალურად იდგა. პირველ რიგში, მომილოცეს ახალი შენაძენი და წავედით. გზაში უამრავ ამბებს ვყვებოდით და თან ჩვენს მეგობრებს შორიდან ვაცნობდით, რომ თავი უცხოდ არ ეგრძნოთ.

მივედით დანიშნულების ადგილამდე და მანქა-



ნიდან სწრაფად გადმოვხტი. სახლის წინ ვიდექი და დავფრინავდი. ზუსტად ისეთი ვიზუალის სახლი იყო, როგორიც მინდოდა. პატარა ეზო, მწვანე ბალახი, ორსართულიანი, ცოტა სარემონტო სახლი და რაც ყველაზე მთავარია, სახურავის მაგივრად, დიდი ვერანდა. ეს იყო ბავშვობიდან ჩემი ოცნება, რომ სახლში დიდი ვერანდა მქონოდა. სამწუხაროდ, თბილისში ნაკლებად იშოვება კერძო სახლები ან შესაბამისი ზომის ნაკვეთი ისეთ უპნებში, რომლებიც მომწონს. აგარაკი იდეალურია, გონებაში გავთვალე, რომ მოვიდოდა დრო და ხანდაზმულობის ტკბილ ასაკს მე და რატი აქ, ამ სახლში გავატარებდით. რატი გვერდით დამიდგა, სიამაყით მკითხა:

- მოგწონს?
- იდეალურია.

გადავეხვიე და მადლობა გადავუხადე. სახლში შევედით, თავდაპირველად, ეზო დავათვალიერე, წინასწარ გავთვალე, სად, რომელ ყვავილს დავრგავდი, შემდეგ სახლი შემოვიარე და აქაც გონებაში წარმოვიდგინე, სად, რას გავაკეთებდი. შემდეგ სამზარეულოში შევედი, რატი და ლევანი ყველაფერს მაგიდაზე ალაგებდნენ. წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორი დაუჯერებელი იყო ფაქტი, რომ ეს სახლი ჩემი იყო, ჩემი და რატის და შემეძლო, ყველაფერი ჩემს გემოზე გამეკეთებინა. ბიჭები ეზოს დალაგებას შეუდგნენ, ჩვენ კი – სახლის დასუფთავებას. სანამ დალაგებას დავიწყებდით, ლანამ ყავა მოამზადა. დრო ხვალ საღამოს ექვს საათამდე გვქონდა, ამიტომ ჯერჯერობით არსად გვეჩარებოდა. ლანას მადლობა გადავუხადე ჯერ



იმისათვის, რომ წამოვიდნენ და შემდეგ იმისათვის, რომ ჩვენ გამოგვყვნენ და დალაგებაში ხელი შეგვიწყეს. სანამ შებინდდებოდა, მანამდე, დავალაგებდით, შემდეგ საღამოს, ჩვენ ოთხნი, კოცონთან დავჯდებოდით და ლამაზ საღამოს გავატარებდით. ასეც მოხდა. ჯერ რაც შეგვეძლო ყველაფერი დავალაგეთ, ლანამ ოთახების მოწესრიგება დაიწყო, მე სამზარეულოს მივხედე. ყველაფერი გავრეცხე, გავაწკრიალე, ფანჯრები ჩამოვწმინდე, საღამოს სამყოფი ვახშამი მე და ლანამ ერთად გავაკეთეთ, ამასობაში, ბიჭებმა ეზო დაალაგეს. მხოლოდ განათებების და ავეჯის დალაგება იყო დარჩენილი, რასაც ხვალ გააკეთებდნენ. გაგვიმართლა, რომ დიდი სახლი არ იყო, მეორე სართულზე მხოლოდ სამი საძინებელი იყო და აბაზანა, პირველ სართულზე მისაღები, სამზარეულო და კიდევ ერთი აბაზანა. არც ეზო იყო დიდი, დაახლოებით, 500 კვადრატამდე იქნებოდა. იდეალური, მყუდრო და მოსახერხებელი სახლი იყო. ვახშამმაც იდეალურად ჩაიარა და შემდეგ ეზოში გავედით. კოცონი დავანთეთ და ბევრი სახალისო რამ ვაკეთეთ. ჯერ უბრალოდ ვლაპარაკობდით, შემდეგ ლაპარაკი მოგვბეზრდა და კარტის თამაში გადავწყვიტეთ. ესეც, რომ მოვიბეზრეთ სხვადასხვა ისეთი თამაშით გავერთეთ, რაც ასე თუ ისე, ჩვენს ასაკს შეესაბამებოდა. შემდეგ მე და ლანა ვჭორობდით, ვუყვებოდი, რის გაკეთებას ვაპირებდი ამ სახლში, ავეჯი, ახალი დიზაინი, ეზოს მოწყობა და მისგან იდეალურ რჩევებს ვიღებდი. ამ ასაკში ახალი მეგობრის შეძენაზე სასიამოვნო არაფერი იყო. ისე გავატარეთ საღამო, რომ შეგრძნება მქონდა,



დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. რატი და ლევანი ცალკე გადაჯდნენ და ალბათ, კაცურ თემებზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ გოგოები ცალკე ვიყავით. უცებ რატი მოვიდა და გასეირნება შემოგვთავაზა. გამიკვირდა, ამ შუალამისას სად მივყავდი, თუმცა, ლანას მოეწონა ეს იდეა, აიჩემეს, მანქანით გასვლა და სხვა რა გზა მქონდა, დავთანხმდი. მთელი კოჯორი მანქანით შემოვიარეთ. რაც შესაძლებელი იყო, რომ ლამით გვენახა, ყველაფერი დავათვალიერეთ. ჩემს მეხსიერებაში, ეს დღე სამუდამოდ სასიამოვნო მოგონებად დარჩება. სათაურის დარქმევა რომ შეიძლებოდეს, ალბათ, „ერთ-ერთი საუკეთესო დღე ჩემს ცხოვრებაში“ ერქმეოდა. ძალიან მიხაროდა, რომ ასეთი კარგი წყვილი შემოუერთდა ჩვენს სამეცნიეროს. სახლში რომ დავბრუნდით, ლამის სამი საათი იქნებოდა. ყველას სახეზე გვეტყობოდა, რომ ძალიან დაღლილები ვიყავით. ლანას ვუთხარი, რომ ნებისმიერ ოთახში დაეძინა, რომელიც მას მოეწონებოდა. თეთრეულის გადაკვრაში მივეხმარე და მშვიდობიანი ლამე ვუსურვე. შემდეგ ჩემი და რატის ოთახში შევედი. ჩემი ქმარი საწოლზე ტანსაცმლით იწვა და იმის თავიც არ ჰქონდა, ტანსაცმელი გაეხადა. საწოლთან ჩავიცუცქე. სახეზე მოვეფერე და მაღლობა კიდევ ერთხელ გადავუხადე. გაეღიმა და მითხრა, რომ მე ყველაფერ საუკეთესოს ვიმსახურებდი. ისევ გამეღიმა. შემდეგ მეც დავწექი. ასე დამთავრდა ეს დღეც. უფროსწორად, ასე დაიწყო მეორე დღე. ცოტა გამოვიძინე და დილიდან შევუდექი ფუსფუსს.



ვერ ვიტყოდი, ოთხი საათი ძილი მეყო-მეთქი, თუმცა, მაინც ენერგიულად ვგრძნობდი თავს. 7 საათზე წამოვხტი და სანამ საქმიანობას დავიწყებდი, მანამდე ყავის გაკეთება დავიწყე. ჩემთან ერთად ლანასაც ადრე გაუღვიძია და სამზარეულოში მელოდებოდა. დავგეგმეთ მთელი დღის საქმეები. ამასობაში, ბიჭები ეზოში გავიდნენ და გუშინ დელი დაწყებული საქმის დასრულებას შეუდგნენ. ქალებმა ჯერ სასმელებს მივხედეთ, შემდეგ ისეთ საჭმელებს, რომლებიც მაცივარში უნდა შეგვენახა. ლანას დეტალურად ავუხსენი, როგორ ვაკეთებდი ლიქიორს, საფირმო ტორტს. სამწუხაროდ, ღუმელი არ იყო ჩვენთან, ამიტომ ყველაფერი გამზადებული ვიყიდე და მხოლოდ აწყობალა უნდოდა. არ ვიცი, როგორი გამოვა, მაგრამ ჩვენთან მეგობრები ნაკლებად ჭამენ, ძირითადად, სასმელი და ბევრი ლაპარაკი. ლანამ აღნიშნა, რომ თავად მას და ლევანს ასეთი სამეგობრო არ ჰყავდათ, მხოლოდ იშვიათად თუ გადაწყვეტდნენ სადმე გასვლას, ისიც, ხშირ შემთხვევაში, რომელიმე არ მოდიოდა. ასეთი შეკრებები ლანასთვის უცხო იყო და მომეჩვენა, რომ ცოტა ნერვიულობდა. დავამშვიდე, ვუთხარი, რომ ჩემი მეგობრები საუკეთესოები იყვნენ და ის ვერც კი იგრძნობდა დისკომფორტს. თან დავპირდი, რომ თუ დღევანდელი დამე კარგად ჩაივლიდა, მერე, კაცების გარეშეც მოვაწყობდით ერთ მაგარ საღამოს. მთელი დრო ჩემს ქებაში იყო, ყველაზე მეტად ის აკვირვებდა, ორი შვილით ამდენს როგორ ვასწრებდი. მეც ვუპასუხე, რომ დედაჩემი და რა-



ტის დედა ხშირად იტოვებდნენ ბავშვებს და ამის პრობლემა ნამდვილად არ გვქონდა. თანაც, ჩემს შვილებს ორივე ბები ძალიან უყვართ. ამ საუბარში ლიქიორი, წვენი და კოქტეილები მოვამზადეთ. მაცივარში შევაწყეთ და ადგილი აღარ დაგვრჩის სხვა რამისთვის. ლანას ვთხოვე, გაეხსენებინა, რომ ახალი საყინულე მეყიდა ან მეორე მაცივარი. ბიჭები მოშიებულები შემოვიდნენ, ჩვენც ყველაზე მარტივი ბურგერები გავუკეთეთ იმ პირობით, რომ სამზარეულოში არ დაჯდებოდნენ და სხვაგან შექამდნენ. ყველაფერი თავზე გვეყარა, ლანამ ბურგერების აწყობა დაიწყო, მე რაც შემეძლო, მალევე გავაკეთე, ტორტი ავაწყე, სხვა საჭმელებსაც მივხედე და როგორც იქნა, შუადღის სამ საათზე მოვრჩით სამზარეულოში ფუსფუსს. ახლა სახლი იყო ძირფესვიანად მოსაწესრიგებელი და ჩვენ სამი საათი გვქონდა დარჩენილი. გოგოებმა დამირეკეს, ექვსი საათისთვის აქ იქნებოდნენ. ცხელი პიცა ელენეს მოჰქონდა, დანარჩენი, სუფრის გასალამაზებლად, გოგოებმა გადაინაწილეს და თან მითხრეს, რომ ჩემთვის ძალიან მაგარი საჩუქარი ჰქონდათ. ამ ყველაფერს ლანაც ისმენდა და საუბრის დასრულების შემდეგ აღფრთოვანებულმა კიდევ გაამახვილა ყურადღება ჩემი მეგობრების იდეალურობაზე. მე და ლანა ერთად ვალაგებდით, ვიფიქრეთ, ასე უფრო მალე მოვრჩებოდით და დანარჩენი თუ რამე დაგვრჩებოდა, გოგოები მოგვეხმარებოდნენ. მეორე სართულიდან დავიწყეთ, ყველაფერი გავაწკრიალეთ, შემდეგ მისალებს მივხედეთ, ამასობაში, რატი და ლევანი შემოვიდნენ, გარეთ ყველაფერს მორჩნენ და მოხმარებაც შემოგვთავაზეს. მე და ლანამ ერთმანეთს



გადავხედეთ და შევთავაზეთ, ჭურჭელი დაერეცხათ. რა ექნათ, ერთი რეცხავდა, მეორე ამშრალებდა.

* * *

ყველაფერი, შეძლებისდაგვარად, რაც მოვასწარით, გავალამაზეთ. ისეთი დალლილი ვიყავი, შეგრძნება მქონდა, რომ ამ ღამეს მე ველარ გადავიტანდი. ლანა, ის ლანა, რომელიც ვიზუალურად და მემგონი შინაგანადაც იდეალური იყო, ისე გამოიყურებოდა, თითქოს, მთელი კვირა გადაბმულად ამუშავესო. ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეცინა. შევთავაზე, სასწრაფოდ საკუთარი თავებისთვის მიგვეხედა და ისლა დაგვრჩენოდა, მთელი ღამით გვესიამოვნა. დამპირდა, იდეალურ სახის ნიღაბს გამიკეთებდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ იცოდა, რადგან ლანას კანიც კი იდეალურად გამოიყურებოდა. ოთახში ავედი, ტანსაცმელი გავამზადე, სასწრაფოდ აბაზანაში შევედი და რატი შემომივარდა ფრაზით:

– დროის დავზოგვის მიზნით, ერთად ხომ არ ვიბანაოთ?

ისეთი სახით შევხედე, ხმა აღარ ამოუღია, ისე გავიდა აბაზანიდან. არა, საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, ბოლო-ბოლო ქმარია და იყო პერიოდი, როცა მართლა ერთად ვბანაობდით ხოლმე, თუმცა, იმდენად დაღლილი და დროში შეზღუდული ვიყავი, რომ იმის თავიც არ მქონდა, საკუთარი ტანი დამებანა. ჩემი ბანაობა, უფრო სწორად, გაფართხალება, სულ რაღაც 11 წუთის განმავლობაში გაგრძელდა, და როგორც კი აბაზანიდან გამოვედი, სამ კაციანი



რიგი დამხვდა. შევახსენე ქვემოთ მყოფი აბაზანის არსებობა და ჩავიცინე. ისიც შევახსენე, რომ სულ რაღაც ნახევარი საათი ჰქონდათ დარჩენილი და დროულად მოგვარებულიყვნენ. ლევანის კარგ ცოლ-თან ერთად, შესანიშნავი იუმორის გრძნობაც აღ-მოაჩნდა, რატის ერთად ბანაობა შესთავაზა, წყლის გადასახადის დაზოგვის მიზნით. ოთახში შევედი და რაღაც სასწაული მხიარულება ხდებოდა აბაზანის კართან. ისე იცინოდნენ და ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, რომ კინალამ შევცდი და თავი გავყავი. გუშინ, რომ ვახსენე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთე-სო დღეა-მეთქი, სწორედ ამ დამოკიდებულებით და ურთიერთობებით დავრწმუნდი, რომ სწორად მითქ-ვამს. ამასობაში, ელენემ მომწერა, რომ 20 წუთში აქ იქნებოდა. ჯამში, ნახევარ საათს მოვუნდი ჩატაბას, თმის მონესრიგებას, სამზარეულოში ჩავედი, სად-აც ლანა უკვე გამზადებული დამხვდა. ერთადერ-თი მოწყვეტით ვუთხარი, თუ როგორ ასწრებდა ასე მალე ყველაფერს, რომ ზარის ხმაც გაისმა.

ელენე მოვიდა. ძალიან გამიკვირდა მარტო რომ იყო. მისმა ახალმა ბიჭმა მოსვლა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოახერხა და ბოდიშიც გად-მოგვცა. მანქანიდან დაახლოებით ოცი ყუთი პიცა გადმოიღო, მეც მივებმარე და როგორც იქნა, სამზა-რეულოში შევიტანეთ. ლანა ფეხზე წამოდგა, ელე-ნეც გვერდით მედგა და დიდი სიხარულით გავაცანი ერთანეთს.

— ლანა გაიცანი ეს ელენეა და ელენე, გაიცანი ეს რატის ახალი მდივანია, ლანა.

ელენემ გალიმებულმა ხელი ჩამოართვა ლანას. აი, ლანა, ჩემი იდეალური ლანა, სახეზე ღიმილშე-



მხმარი იდგა და ელენეს გაკვირვებული უყურებდა. ელენეს ხმის გაგონებაზე რატი ჩამოვიდა და ისე ჩაეხუტა, კინალამ გადააყირავა. გიუდებოდნენ ერთმანეთზე, ფაქტობრივად, ელენეს დამსახურება იყო ჩემი და რატის ამბავიც. სხვებთან შედარებით ძალიან თბილი და რაღაც და-ძმური ურთიერთობა ჰქონდათ. ელენეს ლევანიც გავაცანით და ელენემ ჩუმად მითხრა:

- რა კაცი დაუთრევია ამ ჩვენს ლანას.

მკლავი გავკარი და გავაჩუმე, რომ არავის გაეგო. მაგრამ ლანა, ლანა ისეთი გაკვირვებული უყურებდა ელენეს, რომ ერთი პერიოდი ვიფიქრე, ხომ არ იცნობს-მეთქი. მივედი და ჩუმად ვკითხე:

- რამე ხომ არ მოხდა, თავს ცუდად ხომ არ გრძნობ.

- არა, ყველაფერი კარგად არის, ელენეს ვუყურებ და აშკარად, ერთ ნაცნობს მივამსგავსე ძალიან.

- ნუ ხარ ასეთი დაძაბული, ყველაფერი კარგად იქნება, თავი უცხოდ არ იგრძნო. მალე შეეჩვევი ყველაფერს და მეც არ დაგტოვებ უყურადღებოდ.

სტუმრები ნელ-ნელა ემატებოდნენ და ყველა სამზადისში იყო. გადარბენაზე ვიყავი, ყველა ერთდროულად მეკითხებოდა რაღაცას და როგორ გამიმართლა, რომ ლანა მყავდა გვერდით. ისე საყვარლად დაფუსფუსებდა, რომ ლევანის კი არა, კინალამ, მეც შემიყვარდა. ეს ხუმრობით. ლანას გარეშე, ამდენ რამეს ნამდვილად ვერ გავართმევდი თავს. საღამოს რვა საათისთვის ყველა ადგილზე იყო. არ ვიცი, რამდენი კაცი იყო, ოცი? ოცდაათი? არ დამითვლია, თუმცა, დავეჭვდი, ყველას ნამდვილად ვიცნობდი, თუ არა. ეზო სავსე იყო. ჩემმა მეგო-



ბრებმა ზოგმა და წამოიყვანა, ზოგმა ძმის ცოლი და ასე, სრული შემადგენლობით ოჯახები იყვნენ მოსულები. რაც მთავარია, ყველა ისეთი ლამაზი იყო და ისე მოუთმენლად ელოდებოდნენ ჩვენი საღამოს დაწყებას, რომ ცოტა აღლვებული ვიყავი. ჩემი ინიციატივით, მაგიდები ერთმანეთს მივაწყეთ, ასე ვთქვათ, შვედური მაგიდა გავაკეთეთ. შუაგულში ადგილი გავათავისუფლეთ საცეკვაოდ. შორიახლოს სხვადასხვა ზომის სკამები და მაგიდები გვედგა. რატიმ სახლი ავეჯით იყიდა, სრული შემადგნელობით, უბრალოდ მხოლოდ წვრილი ტექნიკა იყო საყიდელი. დიდად არ მიყვარდა ყველაფერი გამზადებული, რომ მხვდებოდა, საკუთარი მინდოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ყველაფერს განვაახლებდი. ლანა გვერდიდან არ მომიშორებია, ლევანი მალევე შეერია ბიჭებს და ეტყობოდა, რომ უხერხულად არ გრძნობდა თავს. სტუმრებთან მე და ლანა ერთად ჩავედით, ჯერ გოგოები გავაცანი, შემდეგ დანარჩენები და გოგოებმა თავის თავზე აიღეს ლანასთან კომუნიკაცია. საღამო იდეალურად მიდიოდა. ლევანის და ლანას თვალს არ ვაშორებდი, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ უხერხულად არ გრძნობდნენ თავს. თითქმის მთელი საღამო რატის ძებნაში გავატარე, თუმცა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და ბიჭებთან ერთად მოძრაობდა. მერე აიტეხეს, პოკერი უნდა ვითამაშოთო და სახლში შევიდნენ. მხოლოდ გოგოები დავრჩით ეზოში. ყველა თავისთვის საუბრობდა. ამასობაში, ელენემ გამომიჭირა და ლაპარაკი დამიწყო. სხვადასხვა თემებს მოედო. მომიყვა, რომ ყოფილი ქმარი ეხვეწებოდა ისევ შერიგებას, თუმცა, ის არ იცოდა, რომ ელენეს



უკვე სხვასთან ჰქონდა ურთიერთობა.

- ეგ არ უთხრა, არ გააგიურ.
- ჩემი პირადი ცხოვრება მას აღარ ეხება.

ახალი ამბებიც მომიყვა უფრო დაწყვრილებით ახალ შეყვარებულზე.

- მომიყევი როგორია.

შემდეგ კი იმდენად იდეალური კაცი აღწერა მანერებით, ხასიათითა და ქცევებით, რომ მეგონა დისნეის პრინცზე საუბრობდა. შემდეგ გოგოებმა თამაში შემოგვთავაზეს. ელენე თან გავაყოლე მე კი ბავშვების მოსაკითხად, დედაჩემთან დასარეკად, ქუჩაში გავედი. დავურეკე და ბოდიში მოვუხადე იმისთვის, რომ აქამდე ვერ მოვახერხე შეხმიანება. დედაჩემმა იწუნუნა, თურმე, ნანასთვის მოუტყუებია, რომ სამჯერ დავურეკე. შევაქე ასეთი წინდახედულობისთვის. მერე მოკლედ მოვუყევი ახალი ამბები. ბავშვებს უკვე ეძინათ, ქალბატონი ნანა ტელევიზორს უყურებდა, დედაჩემი კი ჩემი და რატის ოთახში ჩაის სვამდა. ვუთხარი, რომ გასულიყო და ცოტა დალაპარაკებოდა. დავემშვიდობე. გოგოებთან მივედი და გარკვევა დავიწყე, თუ რის თამაშს აპირებდნენ. აღმოჩნდა, რომ ნაწილს კარტის თამაში უნდოდა, ნაწილს სააზროვნო სამაგიდო თამაში, ამიტომ ორ ჯგუფად დავიყავით და ისე ვთამაშობდით. საათები წუთებივით გავიდა. შუალამე იყო, როცა რატიმ დამიძახა. გვერდით გავედით. აღმოჩდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი მეგობრის დედა გამხდარა ცუდად და აუცილებლად საავადმყოფოში უნდა ნასულიყვნენ. სამწუხაროდ, მანქანით არ იყვნენ და რატიმ მითხრა, რომ თბილისამდე ჩაიყვანდა. ნასვამი იყო და ნასვამ ქმარს საჭესთან



ხომ არ დავსვამდი. ბევრი ჯუჯლუნის შემდეგ დამთანხმდა, ამიტომ თავად ავიღე მანქანის გასაღები და ჩემი მეგობრები წავიყვანე. მთელი გზა ისე ნერვიულობდნენ, ძლივს ვაწყნარებდი. გზა იმაზე გრძელი მომეჩვენა, ვიდრე ნამდვილად იყო. თბილისში როგორც კი ჩავედით, ვუთხარი:

- მიგიყვანთ პირდაპირ საავადმყოფოში მაგრამ თავი გაიგიჟეს:
- ტაქსით წავალთ, ისედაც შეგანუხეთ ძალიან. და ახლა ჩემზე დაიწყეს ნერვიულობა:
- მარტო როგორ ჩახვალ იქამდე?
- როგორც ჩამოვედი. - ვუპასუხე და გამეცინა.
- თავს მიხედეთ! - ვუთხარი და წამოვედი.

ერთი გაფიქრება, გავიფიქრე, სახლში ხომ არ შემევლო, მაგრამ ისეთი დრო იყო, ყველას ეძინებოდა, ამიტომ გზა განვაგრძე. გზაში ისე მომერია ძილი, რომ ვერ აგიხსნით. ახლა ვიგრძენი, როგორი დალლილი ვიყავი. ფანჯარას ბოლომდე ჩავუწიე და როგორც იქნა, მივაღწიე დანიშნულების ადგილამდე. გარედან ჩემი ახალი სახლი კიდევ უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა. სახლში დალლილი შევედი, ხალხი შეცოტავებული მომეჩვენა. ძირითადად, ბიჭები სვავდნენ მისაღებ ოთახში და კვლავ აგრძელებდნენ პოკერის თამაშს. ჩემი ქმარიც მოვიყითხე და ლევანმა მითხრა, რომ ხუთი წინ ასულა ოთახში რაღაცის ჩამოსატანად. არაფრის თავი აღარ მქონდა და ვიფიქრე, ავიდოდი, ლანას შევხედავდი და შემდეგ იქნებ, მეც დამძინებოდა. ლანას ოთახში შევიხედე, სადაც მხოლოდ ჩემი გოგოები იყვნენ და ჭორაობდნენ. დამპატიუეს და განხილვაში ჩართვა შემომთავაზეს, მაგრამ ვთხოვე,



დამლოდებოდნენ, სანამ რატის ვიპოვიდი და შემდეგ შევუერთდებოდი. ლანაც ვიკითხე, ისიც ახლახან გასულა ოთახიდან. კარი გამოვეტე და დერეფანში სვლა განვაგრძე. ჩემი ოთახიდან კამათის ხმა მომესმა. ლანა იყო, თავიდან ვიფიქრე, რომ ტელეფონზე ლაპარაკობდა, ჯერ სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მივუახლოვდი, ის იყო კარები უნდა შემეხსნა, რომ რატის ხმაც გავიგე. დიალოგი ასეთი იყო:

– თუ შენ არ ეტყვი შენს ცოლს, რაც ხდება, ავდგები და მე ვეტყვი. ვატყუებთ და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თბილად მიმიღო, კარგად მექცევა და ვერ დავუშვებ, რომ ვატყუებდე.

– შენ მაგდენის უფლება არ გაქვს. როცა დრო მოვა თავად ვეტყვი ლალატის შესახებ, უბრალოდ ცოტა დრო მომეცი. კიდევ ცოტახანი და გპირდები, რომ მე თავად ვეტყვი ყველაფერს.

როცა ეს სიტყვები მოვისმინე, სიმწრით მინდოდა ოთახში შევვარდნილიყავი და არ ვიცი, რას გავაკეთებდი. ვერანაირად ვერ ვპოულობ ახსნას, რა ძალამ ამაყვანინა თავი ხელში, რომ უბრალოდ სახლიდან გამოვედი, გაქვავებული მზერით, ისე, რომ არავისთვის ხმა არ გამიცია. აუღელვებლად, მშვიდად ჩავჯექი მანქანაში და წავედი. სად წავედი? თავადაც არ ვიცი.



II ნაწილი

იმ ღამის შემდეგ, თითქმის, სამი თვე გავიდა. სამი თვის მანძილზე ფურცელზე არაფერი დამინერია. სანამ ამ მომენტამდე მოვიდოდი, უამრავი რამ გადავიტანე, თუმცა, მინდა, კიდევ ერთხელ ვკითხო საკუთარს თავს, ვარ თუ არა მზად ყველა დეტალი ხელახლა გავიარო გონებაში და აქ, ფურცელზე გადმოვიტანო?

მაშ ასე, იმ ღამით, როცა ეს ამბავი მოხდა და, ფაქტობრივად, პირდაპირ გავიგე ქმრის ღალატის შესახებ, ძალიან მშვიდად გამოვედი სახლიდან და მანქანაში ჩავჯექი. იმ მომენტში, ჩემი მთავარი მიზანი იყო, ხმის ამოულებლად გავცლოდი იქაურობას. არც ის მინდოდა, ვინმე გამომყოლოდა და ეძახა: „უი, ეს რა დაგმართნიაო“. არა, მთლად ასეთებიც არ იყვნენ ჩემი მეგობრები, მაგრამ მარტო ყოფნა, იმ მომენტში, იდეალური გამოსავალი იყო. საკუთარი თავი მარტოს უნდა „მეთრია“. მანქანა დავძარი და ოთხივე ფანჯარა ჩამოვწიე. ჰაერი მჭირდებოდა, ვტიროდი? არა, უბრალოდ მილიონი კითხვა ერთად მიტრიალებდა თავში და პასუხი არც ერთზე არ მქონდა. ტელეფონი, რომელიც მანქანაში ჩემს გვერდით სავარძელზე ეგდო, გაუჩერებლად რეკავდა. რამდენჯერმე გავთიშე,



თუმცა, იმდენად შემაწუხა ზარებმა, რომ ფანჯრიდან ვისროლე. დაახლოებით 15 წუთი ვიარე ასე, უმისამართოდ და ვგრძნობდი ნელ-ნელა, სუნთქვა როგორ მიჭირდა. რაც უფრო ღრმად ვსუნთქავდი, მით უფრო მიჭირდა რეალობის აღქმა. მანქანა გავაჩერე, შეუძლებელი იყო ასე გაგრძელება, გულისცემა ისე სწრაფად მესმოდა, თითქოს ათი წუთი შეუჩერებლად ვირბინე და როგორც იქნა, გავჩერდი. მანქანიდან გადმოვედი, კვლავ ღრმად ვსუნთქავდი, მომენტალურად კანკალი დავიწყე. ფიქრებმა გაურკვეველი გზით მიაღწია იმ მომენტამდე, რომ სიკვდილის გარდა ველარაფერზე ვფიქრობდი. ცხოველს ვგავდი, თავისუფლების მოყვარულ ცხოველს, ბუნებაში ცხოვრებას რომ არის მიჩვეული და უეცრად ოთხ კედელში გამოკეტავენ. აგონია მჭირდა, აქეთ-იქით გიჟივით დავდიოდი. შემეშინდა. შემეშინდა სიკვდილის, რომელიც უკვე წარმოდგენილი მქონდა. რამდენიმე წამი ასეთ აფექტურ მდგომარეობაში ვიყავი, თუმცა, ეს წუთები ჩემთვის საათის ტოლფასი იყო. ბოლოს, მანქანასთან ახლოს, გზაზე ჩამოვჯექი. როგორც იქნა, გამიარა აგონიამ და მხოლოდ მაშინ გადმომივარდა რამდენიმე ცრემლი, რომელიც არა სევდის, არამედ სიმწრის გამომხატველი იყო. მომენტალურად მანქანაში დავბრუნდი. სად უნდა წავსულიყავი? სახლში, სადაც ორი ბავშვი, დედა და დედამთილი იყო, თუ რომელიმე ნათესავთან? ორივე შემთხვევაში, მომიწევდა ყველაფრის მოყოლა და ახსნა. გონება გამინათდა, ვინ დამეხმარებოდა, თუ არა, გარდაცვლილი მამაჩემი...



თბილისში, ერთ-ერთ სასაფლაოზე მივედი, სა-
დაც მელოდებოდა კაცი, რომელსაც იმ მომენტში,
ჩემი დახმარება ყველაზე მეტად შეეძლო. ზოგადად,
ემოციებს მხოლოდ საკუთარ თავში ვინახავ. არ მი-
ყვარდა ზედმეტად შეცხადება, არც საჯაროდ რაიმე
ქმედების გამოხატვა. ყველაფერი მხოლოდ ჩემ-
ში ხდებოდა და ვიზუალურად არასდროს არაფერი
მეტყობოდა. ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობდი
თავს და ამ კომფორტმა ბევრი რამ გადამატანინა.
სასაფლაოზე ისე ვლაპარაკობდი, თითქოს პიროვნე-
ბა წინ მეჯდა, თუმცა, ხმას არ იღებდა. სწორედ
ეს მაწყნარებდა იმ მომენტში, როცა სავსე ვიყავი
და უბრალოდ გაზიარება მჭირდებოდა, ზედმეტი
კითხვების, რჩევების და გაკიცხვის გარეშე. სასაფ-
ლაოზე ვიჯექი, ხან ხმამაღლა, ხან ჩუმად, გონებაში
ველაპარაკებოდი და შეგრძნება მქონდა, თითქოს
ჩემი ერთადერთი დამშვიდებისა და იმედის ნა-
პერნკალი სწორედ ასე ჩნდებოდა. ყველაფერს ვი-
ტყოდი, რისი თქმაც მინდოდა და გამოსავალსაც
ასე ვპოულობდი. ახლაც ასე მოვიქცი. მივედი და
გათენებამდე ვლაპარაკობდი. ბოლო ორი კვირის
ამბები დაწვრილებით მოვყევი, ყველაფერი დეტა-
ლურად გავიხსენე და მიშველა. ცოტახნით კიდევ
გავჩერდი, დაველოდე როდის გათენდებოდა და თან
ხმამაღლა ვუზიარებდი მთელ სასაფლაოს ფიქრებს,
რომლებიც იმ მომენტში მახსენდებოდა. მაშინ საერ-
თოდ არც შევუწუხებივარ არაფერს, თავისუფლად
ვგრძნობდი თავს და მეგონა, რომ ყველაფერი კარ-
გად იქნებოდა. ასეც არის, ყველაფერი კარგად იქნე-



ბა, სანამ ადამიანს ამის სჯერა. გათენდა, გარშემო მიმოვიხედე და გამეღიმა. წარმოდგენაც არ გაქვთ, რამდენი ადამიანი მისმენდა. არა, არ გავგიუჟებულ-ვარ, უბრალოდ, ასე მეგონა, ჩემს ცხოვრებას მთელ სასალფაოს ვუყვებოდი, წარმოდგინე, როგორი ინტერესით მისმენდნენ. მათ წინ კი მამაჩემი იდგა, რომელიც მეუბნებოდა, რომ არ არსებობდა პრობ-ლემა, რომელსაც მისი შვილი ვერ გადალახავდა.

* * *

დილის 9 საათამდე მოვითმინე. შემდეგ მანქანა-ში დავბრუნდი. ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა მექნა. სახლთან მივედი და გამვლელს ტელეფონი ვთხოვე. დედაჩემს დავურუკე, შეშინებულმა მკითხა, თუ სად ვიყავი და ასევე მითხრა, რომ მთელი ღამის გან-მავლობაში რატი მექებდა. ჩამეცინა. ვთხოვე, რაიმე მოეფიქრებინა და გარეთ გამოსულიყო. ბავშვები და ძალლი გამოეყვანა და ვუთხარი სადაც დავხვდებო-დი. ვთხოვე, ცოტახნით მოეთმინა და მოგვიანებით თავად ავუხსნილი ყველაფერს დაწვრილებით. მანქა-ნაში დავბრუნდი და ველოდებოდი. მომენტალუ-რად, შეუძლებლად მომეჩვენა ყველაფრის ახსნა, დალაგება და გათავისება. არ მინდოდა, ბავშვებს სახეშეშლილი ვენახე. მანქანაში, მცირე კოსმეტი-კა მქონდა და სახე ოდნავ შევილამაზე. შორიდან მომავალი დედაჩემი, ძალლი და ბავშვები დავინახე. მანქანიდან გადმოვედი და მათკენ გავიქეცი, ისე ვეფერებოდი ბავშვებს და ჩემს ძალლს, თითქოს დიდი ხანია არ მინახავს. არადა, სულ რაღაც გუშინ-ნინ დავტოვე. დედაჩემს ერთადერთი ის ვთხოვე,



ოღონდ სახლამდე არაფერი ეკითხა და რასაც უნდოდა შევუსრულებდი. ბავშვები მანქანაში ჩავსვი, ისეთ მონატრებას ვგრძნობდი, რომ თავი ძლივს შევიკავე, არ მეტირა. გზაში ერთადერთი ის ვიკითხე, ქალბატონ ნანას როგორ გამოეპარეთ-მეთქი და აღმოჩდა, რომ დედაჩემს მოუტყუებია, რომ სკვერში გადიოდნენ ძალლთან ერთად. იცით რამხელა მხარდაჭერა ვიგრძენი? მხოლოდ იმის მოსმენაზე, რომ ჩემგამო მოიტყუა, ბავშვები და ძალლი გამოიყვანა, ჩემთან ერთად წამოვიდა და თხოვნაც შემისრულა, რომ სახლამდე არაფერს მკითხავდა. ვიცი, რომ დედაა და ასეც უნდა მოქცეიულიყო, მაგრამ იმ მომენტში, თითქოს ყველაფერს უკვე სხვანაირად ვაფასებდი. მცირე დეტალსაც კი ვაქცევდი ყურადღებას.

* * *

არ ვიცი, სახეზე მეტყობოდა, თუ დედაჩემმა დედობრივი ინსტიქტით იგრძნო, რომ სერიოზული ამბავი ხდებოდა, მაგრამ სახლში მისულებს, მთხოვა აბაზანაში შევსულიყავი, ცოტა დამესვენა, თვითონ ნანას დავურეკავდა, რომ არ ენერვიულა და შემდეგ მოვუყვებოდი ყველაფერს. ღმერთო, როგორ არ დამეფასებინა ამ წარმოუდგენლად რთულ დროს დედაჩემი. საბედნიეროდ, დედაჩემთან დიდი ჯაკუზი იყო. ბოლომდე ავავსე და ჩავწექი. იმდენი ხანი ვიწექი, რომ ბოლოს ცივმა წყალმა შემაწუხა. მომხდარზე ვფიქრობდი, იმას ვდარდობდი, დედაჩემისთვის როგორ მეამბო ეს ამბავი, ან რა რეაქცია ექნებოდა. დრო იყო აბაზანიდან გავსულიყავი და თვალი გამესწორებინა არა მარტო დედაჩემის,



არამედ ყველას წინაშე, არსებული რეალობისთვის. ყოველთვის, როცა სიტყვა „ლალატი“ მესმოდა, მეგონა, რომ ჩემგან ძალიან შორს იყო და მე არ გავხდებოდი ამის მსხვერპლი. შემდეგში, ზუსტად ვიცი, რომ არასდროს ვიტყვი არცერთ თემაზე, რომ მე არ დამემართება, რადგან ცხოვრებისგან ყველაზე დიდი დაცინვაა, როცა უდარდელად ზიხარ იმ იმედით, რომ მსხვერპლი არასდროს იქნები და წარმოდგენაც არ გაქვს რამხელა ამბავი გელოდება წინ.

აბაზანიდან გამოვედი, ჩავიცვი, ბავშვებს დავხედე, ერთმანეთთან მშვიდად თამაშობდნენ და ახალი ამბის მოსაყოლად მოვემზადე. დედაჩემი გამზადებული იჯდა და მელოდებოდა. ალბათ იცოდა, რომ არასასიამოვნო სიახლეები მქონდა, ამიტომ წინასწარ ჩაი გამიკეთა, დამამშვიდა, ნანას დაელაპარაკა და როგორც დედამ დედას, სთხოვა, ცოტა დრო მიეცა და თავად გააგებინებდა, თუ რა მოხდებოდა. არამგონია, ქალბატონ ნანას ჩემი აქ ყოფნის ამბავი დიდხანს შეენახა, თუმცა, წინასწარ დედაჩემს ვუთხარი, თუ რატი ახლა აქ მოვიდოდა ყველაფერი გაეკეთებინა, რომ მე არ მენახა. ამოვიოხრე, სკამზე დავჯექი, ჩაი მოვსვი და მოყოლა სულ თავიდან დავინყე. თავდაპირველად, მოვყევი ჩემს ეჭვებზე, მოუსვენრობაზე, ისიც მოვუყევი გაუცხოების შეგრძნებები რომ მაწუხებდა. მოვუყევი ლანაზე, ლევანიზე და ყველა დეტალზე, რაც მოხდა. აი ყველაზე ცუდად მოსასმენი, სულ ბოლოსთვის მოვიტოვე. დეტალურად ჩავუშალე რატის და ლანას თემა და ვგრძნობდი, როგორ ეცვლებოდა სახე,



ზიზღის მაგვარი ნილაბი გადაეფინა და როგორც კი, დავასრულე მოყოლა სიპრაზისგან წამოხტა. სხვა ოთახში გავიდა და ღმერთმა იცის რას გრძნობდა. მომენტალურად დავთიქრდი, თუ რას ვიზავმდი მის ადგილას, რომ ყოფილიყავი და ჩემი რომელიმე შვილი ალმოჩენილიყო ჩემს სიტუაციაში. პასუხი არ მქონდა, ალბათ, მთელი ჩემი ცხოვრება მისი მტერი გავხდებოდი და იმაზე ვიზრუნებდი, რომ ჩემი შვილი ბედნიერი ყოფილიყო. ამასობაში, დედაჩემი ოთახიდან გამოვიდა, დედაშვილურად გადამეხვია და ასეთი რამ შემომთავაზა.

— ჩემზე კარგად არავინ გიცნობს. ვიცი, რომ მარტო ყოფნა ახლა ყველაზე მეტად გჭირდება, ძლიერი ქალი ხარ და თავად დაალაგებ ყველაფერს, უბრალოდ საჭიროა ამისათვის მარტო იყო. აირჩიე, ან მე წავალ სოფელში ბავშვებთან ერთად, ან შენ წადი და დაისვენე.

ვერავინ წარმოიდგენს, ეს სიტყვები ჩემთვის რამდენს ნიშნავდა. მართლაც, დედაჩემი ყველაზე კარგად მიცნობდა. იცოდა, რომ მარტო მჭირდებოდა ყოფნა და საშუალება მომცა, სწორი, მტკიცე და კატეგორიული გადაწყვეტილება თავად მიმეღო. ვუთხარი, რომ მერჩივნა მე აქ დავრჩენილიყავი და თავად კი, ბავშვებთან ერთად, სოფელში წასულიყო. დედაჩემმა მაშინვე ბარგის ჩალაგება დაიწყო. ყველაფერი უცებ დამილაგა. ბალის მასწავლებელს თავად დაურეკავდა, ქალბატონი ნანას ზარებსაც თავის თავზე აიღებდა, ოღონდ დამაფიცა, რომ დღესვე ახალ ტელეფონს ვიყიდიდი და ნომერს მხოლოდ მას ვეტყოდი. დღეში მინიმუმ ორჯერ



დავრეკავდი და ვეტყოდი, რომ მშვიდობით ვარ და არაფერი მიჭირდა. გულში ვფიქრობდი, რომ მშვიდობა ჩემთან კიდევ დიდიხანი არ დადგებოდა. კიდევ კარგი, ბავშების ტანსაცმელები დედაჩემთანაც გვქონდა დატოვებული, თორემ ნამდვილად ვერ გავრისკავდი იქ წასვლას. ის სახლი, რომელიც აქამდე ჩემი საყვარელი ადგილი იყო, ახლა გახსენებაზეც მეზიზღებოდა. რაც ჰქონდათ ყველაფერი ჩავალაგეთ. მანქანის გასაღები ავიღე. დედაჩემმა კატეგორიულად გამომიცხადა, რომ ტრანსპორტით მიდიოდნენ და ჩემი წაყვანა არ სჭირდებოდათ. ასე ბავშებიც გაერთობოდნენ. თავიდან შევეწინააღმდეგე, მაგრამ დედაჩემთან შეუძლებელი იყო რამის გატანა. სიმართლე გითხრათ მესიამოვნა, რადგან ბოლო თორმეტი საათის მანძილზე, თითქმის, სულ გზაში ვიყავი. ერთი ის შევბედე დედაჩემს, რომ სადგურამდე მაინც მივიყვანდი და ბარემ ახალ ტელეფონს ვიყიდდი. ასეც მოვიქეცი, უბრალო ტელეფონი ვიყიდე, ახალი ნომერი და ჩემი მგზავრებიც დანიშნულების ადგილამდე მივიყვანე. სახლში წამოვედი. ვერ ვიჯერებდი, რომ ქალბატონმა ნანამ აქამდე არაფერი უთხრა რატის. თან შემეშინდა, იქნებ სახლთან მელოდებოდა. იცით რატომ შემეშინდა? იმიტომ, რომ არ მინდოდა, მის წინაშე თავი ისე დამემცირებინა, რომ შევცოდებოდი. ემოციები რომ ვერ მომეთოვა, ან უარესი, ტირილი რომ დამეწყო... არ მრცვენოდა ტირილის, უბრალოდ იქ, სადაც მე ვერც კი დავუშვებდი, რომ ჩემი ქმარი მიღალატებდა, კიდევ მე უნდა მეგრძნო თავი უსუსურად. ყველაზე მეტად რატიზე კი არა,



საკუთარ თავზე ვიყავი გაბრაზებული, რადგან ის-ეთი კაცი მიყვარდა, რომელსაც ღალატი შეეძლო. სახლში დავბრუნდი, როგორი დიდი და ცარიელი იყო აქაურობა. საბედნიეროდ, არავინ დამხვდა. აი, სწორედ ამ წუთიდან დაიწყო ჩემი ბრძოლა საკუთარ თავთან. ოდესმე, ხომ აუცილებლად მომიწევდა ქმართან შეხვედრა, საუბარი, მეგობრებთან გაზიარება და უამრავი რამ. ამისათვის კარგად უნდა მოვმზადებულიყავი და გადამეწყვიტა არა ჩემთვის, არამედ ჩემი შვილებისთვის, როგორ მოვქცეულიყავი და საუკეთესო გამოსავლის ძიება დამეწყო.

* * *

მოდით, ახლა იმას მოგიყვებით, თუ რა ხდებოდა ამ დღეს იქ, მას შემდეგ, რაც მე წამოვედი...

ჩემი წამოსვლის შემდეგ რატის მომენტალურად დაუძახეს და უთხრეს, რომ სადლაც წავედი. გაკვირვებია, რადგან ვერ გაეგო, სად ან რის გამო წავედი. შემდეგ, გოგოებს უთქვამთ, რომ მათთან შევიხედე, ლანას ვეძებდი და ისიც მაშინვე მიხვდა, რომ მისი და ლანას საუბარი მოვისმინე. იმ ღამით ყველა, ვისაც შეეძლო, მეძებდა. ზარებს რომ არ ვპასუხობდი, რატის დედამისთან დაურეკავს. შეფარვით კითხა ჩემზე, თუმცა, იმ მომენტისთვის, არც ქალბატონმა ნანამ არ იცოდა არაფერი. დედას დააბარა, თუ გამოვჩნდებოდი, მისთვის დაერეკა. ჩემი მეგობრები, ჩემი გოგოებიც, თურმე, მთელი ღამე უშედეგოდ მეძებდნენ. რამდენიმე მათგანი თბილისში მომენტალურად წამოვიდა. ძალიან დაძ-



აბული სიტუაცია ყოფილა. რატიც არ ჩანდა მთელი ღამე. გამთენისას დაბრუნებულა და პირდაპირ უთქვამს ყველასთვის, რომ ცოლს ღალატობდა. ჩემს გოგოებს სასტიკად გაულანდავთ. შემდეგ მანქანაში ჩამჯდარა და დედამისთან წასულა.

ბევრი ცდილობდა კონტაქტზე გამოსვლას, რამდენიმემ საღამოს დედაჩემის სახლშიც მომაკითხა, თუმცა, ხმა არავის გავეცი. ვითომ არც ვიყავი სახლში. საწოლზე ვიწერი და სანამ კარებზე კაკუნის ხმა იყო ვფიქრობდი. ძალიან ბევრს ვფიქრობდი, თუმცა, მზად არ ვიყავი არავისთან სასაუბროდ. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ დრო მჭირდებოდა და სანამ ბოლომდე მზად არ ვიქნებოდი, ამ პრობლემის წინაშე დავმდგარიყავი, მანამ კომიუნიკაცია არ მქონდა არავისთან. ასეც მოვიქეცი...

* * *

დილიდან საგონებელში ვიყავი. ძალა არ მქონდა, რომ სამსახურში გადამზადება გამეგრძელებინა. თან ვიცოდი, რომ ძალიან მჭირდება გასვლა, თუმცა, არ მქონდა ამის თავი, მთლად ასეთი გველეშაპიც არ ვარ. ინტერნეტში მოვიძიე ამ კომპანიის ნომერი, დავრეკე, მოვუბოდიშე, რომ ვეღარ განვაგრძობდი სიარულს ოჯახური პრობლემების გამო და დავემშვიდობე. ასე მარტივად, ერთი ზარით მოგვარდა სამსახურის ამბავი, რომლის გამოც ამდენი ვიწვალე.



ზუსტად ვიცოდი, ვერ ავცდებოდი რატის ნახვას და ეს დღეც დადგა. შუადღის ორი საათი იქნებოდა. კარებზე ზარი გაისმა, ფანჯრიდან გადავიხედე და რატის მანქანა დავინახე. „მშვენიერია-მეთქი“-გავი-ფიქრე და ვკითხე, რა უნდოდა. არ ვიცი, ვერ მივხვდი მსგავს სიტუაციაში, ასეთი ამბის შემდეგ კაცები რატომ მოდიან თავის გასამართლებლად? ან ბოდი-შის მოსახდელად... ნუთუ ასეთი უნამუსოა კაცის ბუნება, რომ სითავედე ყოფნის და დუმილის მა-გივრად აქეთ „გაპატ“ ბოლიშებით.

„უნდა დაგელაპარაკონ“ – მიპასუხა. მეც თამ-ამად კარი გავალე და შემოვუშვი. ღმერთო, რო-გორ მინდოდა, შუაზე გამეგლიჯა, როგორი აგრესია მაწვებოდა, როგორ მინდოდა, რაღაც დამერტყა და იქვე დამესრულებინა ყველაფერი, მაგრამ ბავშვები შემეცოდნენ. ასეთი უვარგისი მამაც საკმარისი იყო მათვის. რატიმ ახსნა-განმარტება დაიწყო:

– შენ ყველაფერი არასწორად გაიგე, მომისმინე და ყველაფერს აგიხსნი.

– მოიცა, ანუ რაც ლანამ ილაპარაკა ყველაფერი არასწორად გავიგე და თურმე არ გიღალატია ხო?

ისეთი მკაცრი ტონით ვკითხე, სახეზე დაბნეუ-ლობა შეეტყო.

– კარგი, ვაღირებ გიღალატე, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, გეფიცები უბრალოდ სრულიად შემთხ-ვევით მოხდა, გთხოვ, მაპატიე.

სიმწრით გამეღიმა და ირონიულად ვუპასუხე.

– ანუ იმის თქმა გინდა, რომ ერთხელ იგორავე შენს მდივანთან ერთად, რომელსაც ქმარი ჰყავს. მა-



ցրամ րաս նոშնազս Շեմտեզեզոտ մռեցա ? ցածուլա და ՌԵՆԿ ՍԵՎԱ გზա ար ցյոնճա, თუ Ռի՛մա Շեմոցիվար- ճա დա ԵՐԹԵԼ ցացուլացեծա Շեմրիշիկա, օֆոյշը?

Ռի՛մա մինույ, րոմ հիմո օրոնուլու քոնո տապագ մյ մալունիանեճճա, մացրամ տան ցամապոնճո.

ցակարացին բուլմա րագում մեծոլու ց մկութե
- լաճա?

մուս յաթրո տապու ցամարտլեճեծսա და մոցո-
նու և սուլլելլեծս տապո ազարու და վտեռու նասուլուց. արատու դաճանեցա, արամեց մուս եմու ցա-
ռեծապ ար մոնճուցա.

Ռի՛մա մուտպագ ցագում ալճա დա նազու. ցիամո մո-
ցաճաճյ, րոմ ծագմացեծո սուլլելի ոպանու დա նաեցա
նեճումույր գրու Շեյշլո.

Հայր սագ ցուցապո... ամ սալամու Շեմճեց դանինո
մտելու հիմո չոչուետո...

Օմ գլեսապ ազու րագու սուլլելի ծագմացեծտան.
Ջեճահիմմա րոմ դամուրյա տան մուցագուցա, տան նեց-
չաս օթոմացա. Շեմինեճուլմա ցութե երա արագյուրո
Այլոնճա նատյամո մուստու დա մուպասուեա:

- արա, տյացենո սայմեա დա տյացեն մոցարճուո.
Ջեճամենո կո վար, մացրամ ոչաճու პորագուլմի մյ ար
հացերեցո.

Վագասեճճո, ძալուան վագասեճճո. աხլա նամճացո-
լաց ար մյոնճա ჩիւճու տապո. პորոյիտ, սոնցնարյ-
մի մոնճուցա պոցնա. րամճենոմյ գլա րագու սակլտան
ամուգուցա, պայմանագու մոնճուցա ծուգուշեծս დա ուշե,
տապու սակլմի ծրանճեցուցա. վեցճեցուցա, րոմ մու



მიმართ ნელ-ნელა სიძულვილი მიმყარდებოდა და ყოველი დღე შედარებით მარტივი მეჩვენებოდა.

* * *

ვახსენე, რომ ჩემი მთავარი ჯოჯოხეთი ჯერ არიყო დამდგარი. ეგ „მშვენიერი“ დღეც გათენდა, როცა ჩემი ქმრის საყვარელი სახლში მესტუმრა. ქალბატონმა ლანამ გადაწყვიტა ჩემი მონახულება. კარის გაღება და იმის გაფიქრება, რომ უნდა მომეკლა, ერთი იყო. მისი დახრჩობა მინდოდა და გონებაში დეტალურად მქონდა წარმოდგენილი ყველაფერი. ჩემს თავს საშინელება ტრიალებდა. მის დანახვაზე აგრესიულად ვუყვირე:

- აქ რა გინდა
- შემომიშვი სალაპარაკო მაქვს, მართლა არასწორად გაიგე ყველაფერი
- ფაქტობრივად, კარებში „ვიბრძოდით“, შემოსვლას ცდილობდა და არ ვუშვებდი. ვეუბნებოდი წასულიყო. არ მინდოდა არც მისი და არც რატის დანახვა. ბოლოს, როგორც იქნა, გაჩერდა და მითხრა:
- აქ გეტყვი ყველაფერს, უბრალოდ მომისმინე და ეგრევე წავალ.
- ჩამეცინა.
- ახლა რა ტყუილი მოიფიქრეთ შენ და რატიმ
- გეფიცები, იმ ღამის შემდეგ რატი არ მინახავს. სიმართლე უნდა გითხრა.

გავჩერდი, ვუპასუხე:

- გელიდები, მალევე მითხარი და წადი.
- კიდევ ერთხელ გთხოვ, სახლში შევიდეთ და უფლება მომეცი, რომ ყველაფერი მოგიყვე.



რამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი, იმ მომენტში, არ ვიცი, მაგრამ გავიწიე და სახლში შემოვუშვი. წინასწარ გამაფრთხილა, რომ ახლა ყველაფერს დეტ-ალურად მომოყვებოდა და მთხოვა, არ მენერვიულა. კვლავ გამეცინა, ვუპასუხე:

– ახლა რაღა მიჭირს, რაც გასაგები და გადასატანი იყო, უკვე გავიარე.

ლანა სკამზე ჩამოჯდა, ერთადერთი ის მთხოვა, რომ ხელი არ შემეშალა მოყოლაში და დაიწყო:

– რატისთან მუშაობა რომ დავიწყე თავიდან ყველაფერი იდეალურად მიდიოდა. მართლა მარტივად დავმეგობრდით, თუმცა, ერთ დღეს სამსახურიდან გამაგზავნა რაღაც საბუთებზე სხვა კლინიკაში. მე არ მევალებოდა ამ საბუთების წამოღება, თუმცა, რადგანაც ასეთი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და თან შენთანაც ნამყოფი ვიყავი, ვიფიქრე, მერე რა, წავალ და წამოვიღებ-მეთქი. საბუთები, რომ ავიღე, უკან მომავალ გზაზე მანქანა გამიფუჭდა, რატის დავურეკე მანქანა გამიფუჭდა, ევაკუატორს ველოდები და ცოტა შემაგვიანდება-მეთქი. შემომთავაზა მე მოვალ დაგეხმარებიო, მაგრამ ვუთხარი, არ მინდა საქმეს მიხედე-მეთქი. მოკლედ ჩემი საქმეები მალევე მოვაგვარე და დროზე ადრე დავპრუნდი სამსახურში. კაბინეტის კარზე არც კი დამიკაკუნებია ისე შევედი და შევუსწარი ქალთან. მაშინვე წამოხტა რატი და ახსნა დაიწყო. ბოდიში მოვიხადე და ოთახიდან გამოვედი. დაახლოებით, ათ წუთში რატი შემოვიდა და მემუდარებოდა შენთვის არაფერი მეთქვა. დაიფიცა, ყველაფერს თავად მოვუყვები, უბრალოდ შენ არაფერი უთხრაო.



სახეზე ფერი გადამივიდა, ლანამ შეამჩნია და
მითხრა:

- გთხოვ, არ ინერვიულო.
- მითხარი ვინ იყო !
- მაცადე, დეტალურად მინდა, მოგიყვე ყველა-
ფერი.
- იმ დღის შემდეგ რატისადმი ყველანაირი და-
დებითი გრძნობა გამიქრა, ვეჩხუბებოდი, იდეალუ-
რი ცოლი გყავს და ასე როგორ მოექეცითო. ყოველ
ჯერზე მატყუებდა და მეუბნებოდა სულ რამდენიმე
დღეც და ყველაფერს თავად ვეტყვიო. ლევანისთვი-
საც არაფერი მითქვამს. ამდენი დღე ჩუმად ვიყავი იმ
იმედით, რომ რატი თავად მოვიდოდა და გეტყოდა.
იმიზეზებდა ურთიერთობა გაგვიცივდა და მეც სხვა
შემიყვარდაო. მის საქციელს არანაირი გამართლება
არ აქვს და არც ჩემსას, რადგან უნდა მოვსულიყა-
ვი და პირდაპირ მეთქვა, თუმცა, შემეშინდა, მესამე
პირი როცა ერევა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ყოვ-
ელთვის დიდი არეულობა მოჰყვება, ამიტომ მინდო-
და, რატის თავად ეთქვა. დამპირდა, რომ აგარაკზე
ყველაფერს მოგიყვებოდა. პირველ დღეს, როცა ჩავე-
დით შევახსენე და მიპასუხა, ხვალ აუცილებლად ვე-
ტყვი, დღეს ძალიან ბედნიერია და არ მინდა, ჩავაშხ-
ამოო, მაგრამ მეორე დღეს, როცა შენი მეგობრები
მოვიდნენ, შენ შეამჩნიე, რომ ძალიან შევიცვალე.
გეგონა, რომ თავს უხერხულად ვგრძნობდი, მაგრამ
ამის მიზეზი იყო ერთ-ერთი შენი მეგობარი, ქალი,
რომელიც ოფისში, რატისთან ერთად დავინახე იმ
დღეს. არ მინდოდა გული გტკენოდა, მაგრამ ქალი,
რომელიც რატის ოთახში სრულიად შიშველი იწვა,
ელენე იყო. მაშინვე ვიცანი. იმდენად გაკვირვებული



զոյսազո մե տաշաճ ոմ ջայլութ, րոմ յմարմա սապատակաց մեցոնքարտան ցոլալագիւ, րոմ զեր Շեզմակ ամուս ալ-իարշա. զոտմոնց, ծալուն ծեզրո զոտմոնց դա Շեմակ դրո զոխելու, սանամ Շեն ար ոյսազո. րագու ցըշը գուշանց դա Անոնքուն զուտեսարո, րոմ պատապաց տաշաճ ցալուն գուշանց, րոշորչ կո դաձրոնց ցոլուն. դամո-յարշ ցոխելու, մարտալու ածլա ցամունքանո դա ար յնձա ցոխելունց մենց-մետյու, մաշրամ ցայունքու սօմարտլու ցայունքուն. Շեն արա մարտու յմարմա, արամեց սապատա-սո մեցոնքարմաց ցոլալագիւ. Շենո յմրուս սապարելու Շենո մեցոնքարու ցալուն.

ցամեցոնձ.

- Րա սօնսուլուղեա, ցլենես ամգենո նյլուա զուց-նօծ դա ասետ րամես ար ցամունքատեծնուն. մարտալու ხար, ար ցենդոնձ, սուբրուսնորագ, ալար ցենդոնձ. լանա մանց օմեռորշեծնուն:

- Սօմարտլու ցայունքուն. ցլենես րագուս սապա-րելու դա արա մե.

ցամայնակալա, ցրտու նամուտ ցավունիրշ մուսու նատյ-ցամո դա հիազուպեց. ազգանկալուն, զարմանոնց, րոշոր մեցոնքուն սօսելու, րոշոր մոհերդունց ցոլուն դա րոշոր մանցունց այսենելու ցրմանձա, րոմել-սաց ցերչ սօնքրանց, ցերչ մենցեսարեծաս դա ցերչ նիծլս ցեր դաշարյմեց. յս սուբրու ամ սամո ցրմանուն նածազո ոյսո, րոմելուց օմ մոմենցնուն ցոցրմանուն. արա, ար ցոյշերեծնուն, րոմ հիմս ցլենես, հիմս սապատակաց ցլենես, րոմելունաց ամգեննուն ուստորուս մայն-ցմրեծնուն Շեյմակ հիմտաւու մեցավուս րամ ցայցատեծնուն. հիմս Շեյմակ ագրու ունոնց դա Շեմուն ուստորուս տամամաց ցոյշեր, րոմ օդալ-շրու մեցոնքուն ոյցնուն. րապանց մետյու ան րապանց ալ-



გამეკეთებინა, ქმარიც და მეგობარიც ერთიანად გა-
მომეცალა ხელიდან. ვისი იმედიც ყველაზე მეტად
მქონდა, სწორედ იმან მიღალატა და ხელი მკრა. ამ
ემოციის ფონზე წამოვიყვირე ვკვდები-მეთქი, კვლავ
გული ამიჩქარდა ისე, რომ მესმოდა, როგორ არა-
ნორმალურად ფეთქავდა. თვალებში ბინდი გადამე-
კრა, წამიერად ყველა ჩემმა მოგონებამ, სადაც რატი
იყო, თვალწინ ჩამიარა, ვხედავდი როგორ იწვოდა
ჩემი მოგონებები და საკუთარი სახლის ფანჯარაში,
როგორ ალდებოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც
ასე თვალდახუჭული ვენდობოდი. მომენტალურად
ყველაფერი გაშავდა...

* * *

თვალები რომ გავახილე სახლში, დივანზე ვი-
წექი. პირველი თვალში გაურკვეველი ფერის, ფორმ-
იანი ქალი მომხვდა, რომელმაც ხმამაღლა თქვა, –
„გაიღვიძა“. წამოვჯექი და მომენტალურად თავბრუ
დამეხვა. ვაკვირდებოდი, როგორ მოძრაობდა ორი
ექიმი და ლანა ჩემს მისაღებ ოთახში. გაკვირვებულ-
მა ვიკითხე:

– რა ხდება?

წითელთმიანმა ექიმმა მითხრა:

– მძიმე პანიკური შეტევა გქონდა, გული წაგი-
ვიდა შვილო. ახლა მე რაც საჭიროა ყველაფერს
ჩამოგინერ, თუმცა, აუცილებლად ნერვოპათოლოგს
ან ფსიქიატრს მიმართე. პანიკური შეტევა მუდმივი
პროცესია, მძაფრი ემოციების ფონზე და შესაბამისი
მედიკამენტების გარეშე მისი მართვა ცოტა გაგი-
ჭირდება.



– არასდროს მქონია პანიკური შეტევა, მხოლოდ გული მიცემს ხოლმე იმდენად სწრაფად, რომ მგონია გასკდება.

ექიმს გაეცინა და მიპასუხა:

– სწორედ ეგ არის პანიკური შეტევა.

ლანამ ექიმებს დანიშნულება გამოართვა და გაისტუმრა. დაბრუნებულს, კვლავ ვთხოვე, მოეყოლა ყველაფერი ახლიდან, თუმცა, მიპასუხა:

– ვიცი, რომ გახსოვს ყველაფერი. თავს ნუ იტანჯავ ამაზე ფიქრით.

ბოდიშებს მიხდიდა და მთხოვა:

– ლამით აქ დავრჩები, არ მინდა შენი მარტო დატოვება.

– ტელეფონი მომაწოდე, დედაჩემთან უნდა დავრეკო და ვუთხრა, რომ კარგად ვარ.

შემდეგ ფიქრი დავიწყე, ემოციები მერეოდა და ალარ ვიცოდი მეტირა თუ პირდაპირ მივსულიყავი რომელიმესთან და მთელი ჩემი სიბრაზე წინ დამედო. ლანა გვერდით მომიჯდა, აცრემლებული თვალებით ვკითხე:

– რა ვქნა?

თავი მუხლებზე დავადე და ისტერიკულად ამეტირა. იმ მომენტში ყველაზე უსუსური არსება ვიყავი, რომელიც შველას ითხოვდა. ლანამ მაშინვე მკაცრი ტონით მითხრა:

– ნუ დარდობ იმათზე, ვინც ამის ღირსი არაა, ახლა მოდი მე და შენ ჩაი დავლიოთ და ხვალ მოვიფიქრებთ, რა უნდა გავაკეთოთ.

მილიონი ბოდიში მოვუხადე ლანას.

იმ საღამოს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მის იდეალურობაში. საკუთარ თავთან მრცხვენოდა, რომ



ღალატი დავაპრალე. ეს ამბავი რომ გამსკდარიყო, ოჯახი მასაც დაენგრეოდა...

* * *

მომდევნო დღეს მე და ლანა მშვიდად დავჯექით და ვილაპარაკეთ. ვთხოვე, რომ რჩევა მოეცა. ასეთ სიტუაციაში მყოფი ქალების უმეტესობა ადგებოდა, ქმარსაც გამოლანდავდა, თავის „მეგობარსაც“ და უკან მოუხედავად წავიდოდა. მეტი მჭირდებოდა. ლანამ შემომთავაზა:

– თუ ასე ძალიან გინდა, ელენესთან მიდი. მშვიდად და აულელვებლად, თუ რაიმე გაქვს სათქმე-ლი ან რაიმეს კითხვა გინდა, ილაპარაკე და წამოდი. ჩემი აზრით, საერთოდ არ უნდა მიხვიდე, მაგრამ შენი ნებაა.

– არა, აუცილებლად უნდა ვნახო და თვალებში ჩავხედო. მაინტერესებს მისი დამოკიდებულება და აზრი.

– არამგონია, კარგი გადაწყვეტილება იყოს. მე წამოგყვები მაშინ და გარეთ დაგელოდები.

– შენი შეწუხება არ მინდა, ისედაც ძალიან მე-რიდება.

– მინდა, რომ გამოგყვე და შენს გვერდით ვიყო. ამიტომ მეც წამოვალ და როგორც გითხარი, გარეთ დაგელოდები.

მართლაც, მე და ლანა მაშინვე წავედით ელენესთან სახლში. მანქანა სახლთან მოშორებით გავაჩერე და ლანას ვუთხარი:

- აქ დამელოდე, თუ რამე იქნება, დაგირეკავ.
- გელოდები და ფრთხილად იყავი.



მანქანიდან გადავედი. გზად, პატარა საცხობი შემხვდა. მივედი და კარტოფილის ღვეზელი ვიყიდე. სადარბაზოს მივუახლოვდი და ღვეზელის ჭამა დავიწყე. კიბეებზე აუჩქარებლად ავდიოდი, ნელა ვჭამდი და თან ვფიქრობდი, შეცდომას ხომ არ ვუშვებდი, ასე რომ ვიქცეოდი. ელენეს ბინას მივადექი. მომენტალურად, ისევ ავკანკალდი და კინალამ გადავითიქრე დაკაკუნება. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „დააკაკუნე და გასაქცევი გზა აღარ დაგრჩება, მხოლოდ დაკაკუნება გაბედე“. როგორც იქნა, გამბედაობა მოვიკრიბე, კარებზე დავაკაკუნე და დაველოდე... კარები ელენემ გააღო და ისეთი სიხარულით გადამეხვია, ჩამეცინა. გაუნძრევლად ვიდექი და ის იძახდა:

– როგორ მიხარია, აქ რომ გხედავ. როგორ ვნერვიულობდი შენზე. ვერ გიკავშირდებოდი, საერთოდ რა მოხდა? შემოდი, კარგად მომიყევი.

დავუჯერე, ხმის ამოუღებლად სახლში შევედი, მისაღებში ელენე დივანზე ჩამოჯდა და მითხრა, მეც დავმჯდარიყავი და ყველაფერი მომეყოლა. ვიდექი, ხელში ჩემი ნაჭამი კარტოფილის ღვეზელი მეჭირა, რომელიც თავისივე ცელოფანში იყო შეხვეული, ცელოფნისგან გავათავისუფლე და ელენეს მისაღების მაგიდაზე დავაგდე. შეიძლება ჩემი მხრიდან უტაქტო საქციელი იყო, თუმცა, იმ მომენტში, არა გული, არამედ ტვინი რასაც მკარნახობდა, ის გავაკეთე. გაოცებული სახით მომაშტერდა ჩემი „მეგობარი“ და სწორედ აქ დავიწყე საუბარი:

– შენს პირფერობას აზრი არ აქვს. ყველაფერი დეტალურად ვიცი შენზე და ჩემს ქმარზე. უბრალოდ ვერ მოვისვენებდი აქ რომ არ მოვსულიყავი



და არ მეკითხა: რატომ? რამდენი წელია მე და შენ ერთმანეთს ვიცნობთ, რამდენი მოგონება გვაქვს, ყოველთვის შენს იმედზე ვიყავი და შვილი მოგანათლინე. ის ფაქტი გასაგებია, რომ ძალა არავიზე გამოგიყენებია, მაგრამ შენ, ჩემს საუკეთესო მეგობარს, რატიმ რამე გაიძულა?

ელენე გამშრალი სახით მიყურებდა. რამდენიმე ცრემლი გადმოაგდო. ლაპარაკის დაწყება სცადა, თუმცა, შევაწყვეტინე.

— არა, ახსნა განმარტებას არ გთხოვ, არც იმის უფლებას მოგცემ, თავი იმართლო. უბრალოდ რატის საქციელზე მეტად, შენმა საქციელმა გამანადგურა. მე არ ვიმსახურებდი ასეთ რამეს, მაგრამ რადგან სწორად ჩათვალე ჩემთვის გელალატა, დაე, იყოს ასე. ამის შემდეგ შენ ჩემს ცხოვრებაში აღარ იარსებებ. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა გიჭირდეს, ჩემი მხრიდან შენ ვეღარასდროს მიიღებ ელემენტარულ ყურადღებასა და მხარდაჭერას. საერთოდ ჩემი ხმის გაგონებასაც ვეღარასოდეს შეძლებ. შენთვის ესეც კი არაა საკმარისი, თუმცა, არ ვგავარ ისეთ ქალს, რომელიც ამ სიტუაციაში თმებში გწვდება და გაგლანდღავს. ეს უკვე ჩემი მინუსი იქნება. წასვლის წინ ერთ რჩევას მოგცემ: შენნაირი სულმდაბალი ქალი ცხოვრებაში ძალიან დაიჩაგრება, ამიტომ ცოლიანი კაცების დევნას თავი დაანებე, თორე ყველა ქალს ასე მარტივად ხელიდან ვერ დაუძვრები.

გამოვტრიალდი და წამოვედი. ხმა არ ამოუღია, ან რა უნდა ეთქვა. მანქანაში დავბრუნდი და ლანას დეტალურად მოვუყევი ყველაფერი.



ელენესთან ვიზიტის შემდეგ ლანა გავაცილე, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადე და სახლში დავბრუნდი. დედაჩემს დავურეკე, ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და დაბრუნებულიყო. საღამოს სოფელში მივაკითხე მანქანით და წამოვიყვანე. იმ ღამეს დედაჩემს დეტალურად მოვუყევი ყველაფერი, რაც მისი არყოფნის დროს მოხდა. ჩუმად მისმენდა, ხმა არ ამოუღია. მკითხა, რას ვაპირებდი რატისთან მიმართებით, რაზეც ვუპასუხე, რომ ამ ყველაფერს ხვალ დეტალურად ვეტყოდი, როცა რატის ვნახავდი.

მომდევნო დღეს ბავშვებს ხელი მოვკიდე და რატისთან წავიყვანე. კარი ისეთმა გაოცებულმა და ამავდროულად, გახარებულმა გააღო, რომ ალბათ, ბავშვებთან ერთად რომ დამინახა, იფიქრა, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა და სახლში, მასთან დავბრუნდი. აუღელვებლად, აუჩქარებლად ბავშვებს უფლება მივეცი მამასთან ეთამაშათ. ერთი საათი გარეთ აივანზე ვიჯექი, შემდეგ რატი გამოვიდა, წინ დამიჯდა და თავი ჩაღუნა. მეც იდეალური დრო ავარჩიე და საუბარი მშვიდად დავიწყე:

— ლაპარაკი მინდა, ამიტომ გთხოვ, რომ არ შემაწყვეტინო. თუ რაიმე კითხვა გაქვს ან ახლა დამისვი ან რომ დავასრულებ შემდეგ გიპასუხებ.

თანხმობის ნიშნად, თავი დამიქნია და კვლავ ძირს დაიწყო ყურება.



— პირველ რიგში, მინდა ჩემი გადაწყვეტილება გითხრა, ჩვენს ურთიერთობასთან დაკავშირებით. მინდა, რომ რაც შეიძლება მალე მოვაგვაროთ თემა და განქორნინება დავგეგმოთ.

ამის გაგონებაზე, რატიმ გაკვირვებულმა და ნალელიანმა შემომხედა. ისე მიყურებდა, საკუთარ თავს ვეხვენებოდი ოღონდ ახლა არ გატყდე, ყველაფერი გადაიტანე და გეშველება-მეთქი. კვლავ აულელვებლად ლაპარაკი განვაგრძე:

— ჩემი და შენი ურთიერთობა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ორი საერთო შვილი გვყავს და ორივე ვალდებულები ვართ ბავშვებს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ. მე შენგან არაფერი არ მჭირდება და არც მოგცემ იმის უფლებას, რომ ჩემ გამო რაიმე გააკეთო, მაგრამ რა დანაშუალიც არ უნდა გქონდეს ჩემთან, ეს ბავშვებს არ უნდა შეეხოს, ამიტომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ვადით მე მზად ვარ, უფლება მოგცე, ბავშვებთან სრულფასოვანი კომუნიკაცია გქონდეს. ჩემი და შენი ურთიერთობის დანგრევა, მათზე არ აისახება. შენთვის როგორც მოსახერხებელი იქნება, ნინასწარ გამაფრთხილებ ხოლმე და ნებისმიერ დროს შეგეძლება წაყვანა.

რატი გაჩუმებული მისმენდა და თანხმობის ნიშნად, მხოლოდ თავს მიქნევდა. კვლავ განვაგრძე:

— ლანა იყო ჩემთან მოსული, ყველაფერი დეტალურად მომიყვა და დიდი იმედი მაქვს, ეს მის სამსახურზე არ აისახება.

ჯერ გაკვირვებულმა და შემდეგ დარცხვენილმა მიპასუხა:

— ლანა სამსახურიდან თავად წავიდა ამ ამბების შემდეგ, ანუ ყველაფერი იცი ჩემზე და...



— კი, შენზე და ელენეზე.

ირონიულად ვუპასუხე, თუმცა, გული იმდენად მტკიოდა, რომ მეგონა ეს ყველაფერი ბოლოს მომიღებდა. არაფერს ვიმჩევდი, არანარი ემოცია არ მეტყობოდა სახეზე და რადგან ასე მშვიდად და წყნარად ვესაუბრებოდი, ჩათვალა, რომ მტკიცედ მქონდა ყველაფერი გადაწყვეტილი. ასეც იყო, უბრალოდ მენანებოდა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მენანებოდა ის ურთიერთობა, რომელიც რვა წელი ვაშენე.

— არ დაგიმალავ, ძალიან გამიკვირდა. არ ვიცი, შეიძლება დრო გასულიყო, ლანასთან ღალატიც კი მეპატიებინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი შენდამი გრძნობა იყო ნამდვილი, მაგრამ ელენე... ჩემი მეგობარი, რომელსაც ამდენი წელი ყველაზე მეტად ვენდობოდი. არ მინდა, ამ თემის ბოლომდე ჩაშლა, რადგან ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ მინდა იცოდე, რომ თქვენი ამბის გაგების შემდეგ ყველანაირი იმედი გადამეწურა იმის, რომ საერთოდ შესაძლებელი იყო ჩემი და შენი ურთიერთობის გადარჩენა. ელენესთანაც ვიყავი მისული, არ ვიცი, ალბათ, გეტყოდა. მასაც იგივე ვუთხარი, რასაც ახლა შენ გეუბნები. უბრალოდ ერთი განსხვავებაა, რომ შენთან ვალდებული ვარ, კონტაქტი შევინარჩუნო ჩემი შვილების კეთილდღეობისათვის.

რატიმ კიდევ ერთხელ სცადა „ყველაფერი აეხსნა“, მაგრამ აქაც სიმტკიცე შევინარჩუნე და პირდაპირ ვუთხარი:

— არა, არაა საჭირო რაიმეს ახსნა. არ მჭირდება არც სიბრალული, არც ზედმეტი ლაპარაკი ან მიზეზები, რა, რის გამო მოხდა. იტყვი შემე-



შალაო, მაგრამ ამ შეშლასაც ხომ თავისი მიზეზი ჰქონდა? იმ მომენტში, ხომ სწორად ჩათვალე შენი საქციელი. არავის არაფერი დაუძალებია არც შენთვის და არც ელენესთვის. ორივეს ინიციატივა იყო და ორივემ ის გააკეთეთ, რაც სწორად მიგაჩნდათ. აქ მთავარი ისაა, რომ მე ყველაფერი ვიცი და ჩემზეა დამოკიდებული, რას გადავწყვეტ. მაინც მოვედი და გეუბნები, რომ შენი შვილები მაინც თუ არის შენთვის პრივილეგია, მათ საკეთილდღეოდ ვალდებულებები მაინც გაგვაჩნია. აქ ჩემზე და შენზე უკვე ლაპარაკი ზედმეტია. მე შენს ცხოვრებაში არასდროს ჩავერევი და ანალოგიურს ვითხოვ, არა, მოვითხოვ შენგან. არ მაინტერესებს საერთოდ არაფერი, ამ სახლში შეგიძლია, დარჩე. მე დედაჩემთან გადავდივარ. ბავშვებიც მიმყავს, ძალლიც წაყვანილი მყავს. ჩემი ნივთების ასაღებად მოვედი, ჩავალაგებ და წავალ. ბავშვებს დავუტოვებ ტანსაცმელებს. უბრალოდ რამდენიმე დღე მომეცი, რომ ევას ყველაფერი ნორმალურად ავუხსნა.

შემენინააღმდეგა. კვლავ მთხოვდა მეპატიებინა, რომ შეცდომა დაუშვა და ძალიან ნანობდა, მაგრამ გვიანი იყო. იმის მიუხედავად, რომ ნანილებად ვიყავი დაშლილი და ემოციურად განადგურებული, მაინც არ გავტყდი. საკუთარ თავს კარგად ვიცნობ, როგორც არ უნდა მყვარებოდა, იმ მომენტში, ღალატს ვერასდროს ვაპატიებდი. მთელი ცხოვრება ეჭვებში ვერ ვიცხოვრებდი და ბავშვებს ვერ დავსტრესავდი. საბოლოოდ, მართლა ჩავალაგე ტანსაცმელი, ჩემი ყველა ნივთი წამოვიდე. სახლის რამდენიმე კუთხეს, რომ მივადექი



ცრემლებიც წამომიგიდა, თუმცა, ვერავინ გადამაფიქრებინებდა, რომ კვლავ დავრჩენილიყავი იქ, სადაც ჩემი ადგილი აღარ იყო. ბავშვები მანქანაში ჩავსვი და კიდევ ერთხელ შევავლე თვალი სახლს, სადაც ჯერ კიდევ იდგა „ოჯახური“ სურნელი. ეს იყო ჩემი ბოლო მისვლა სახლში, სადაც რვა წლის ნამძილზე ცოლის, დედისა და დიასახლისის სტატუსი მქონდა.

* * *

სახლში დავბრუნდი. გადაწყვეტილი მქონდა ევას დავლაპარაკებოდი და რაც შეიძლება მსუბუქად ამეხსნა ექვსი წლის ბავშვისთვის მშობლების განშორების ამბავი. ვნერვიულობდი, ძალიან ვნერვიულობდი, რომ მასზე ამ ამბავს ძალიან არ ემოქმედა. მაშო პატარა იყო, ვერც გაიგებდა, დიდად ვერც იგრძნობდა, თუმცა, ევას, ყველაზე მეტად მამა უყვარდა, ჩემზე მეტადაც კი რატისთან უნდოდა ყოფნა. მამის გვერდით თავს ყველაზე დაცულად გრძნობდა. ყოველთვის ბეჭნიერი იყო, როცა ის აძინებდა. მე, როგორც დედა, ვეცდები, რომ მარტივად გადალახოს ეს ფაქტი და არ მოაკლდეს არაფერი არც მას და არც მაშოს.

* * *

დედაჩემს ყველაფერი პირდაპირ ვუთხარი. გაელიმა. არ ვიცი, აქამდე ნანახიც არ მქონდა სევდიანი გალიმება როგორი იყო. არ ვიტყვი, რომ ამ გალიმებაში სიბრალული ერია ჩემდამი-მეთქი, თუმცა, თამამად შეხვდა ჩემს არჩევანს და გად-



აწყვეტილებას. გამხნევების მიზნით, ნინასნარ ყველაფერი მომიყვა რა, როგორ იქნებოდა. ბოლოს მითხრა, რომ ყველაფერში დამეხმარებოდა და ორ ანგელოზს ისე გამიზრდიდა, როგორც დედის გული ინატრებდა.

არ ვიცი, დედასთან ლაპარაკი ასე ძალიან შველის, თუ დედაჩემი იყო ასეთი, თუმცა, იმ მომენტში, როცა დეტალურად აღმინერა, როგორ აპირებდა შვილიშვილების გაზრდას, იმედი მომეცა. იმედი იმის, რომ, რაც არ უნდა ყოფილიყო, რა დაბრკოლებაც არ უნდა გამოჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში, დედაჩემი სანამ იქნებოდა, არაფრის უნდა შემშინებოდა.

მე ვარ ქალი, რომელმაც გამოიარა ღალატი, ტყუილი, უამრავი დაბრკოლება, მაგრამ მაინც ბედნიერებით აღსავსე. რაც გადამხდა, იმის კვალობაზე ვთვლი, რომ ბედნიერი და ძლიერი ქალი ვარ, რადგან მყავს შვილები და მზრუნველი ადამიანები გარშემო.

დიახ, მე არ გავტყდი, არ ვიცი რა ძალა ან რა მაგიური ენერგია დამეხმარა ამ ყველაფრის გადალახვაში, მაგრამ კვლავ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ.

მოკლედ მოგიყვებით, როგორ განვითარდა ჩემი ცხოვრება ამ ამბის შემდეგ.

მე და რატიმ მართლა მალევე მოვაგვარეთ განქორწინების ამბავი. ბავშვებს შეძლებისდაგვარად უკეთესად ავუხსენი არსებული სიტუაცია და დედაჩემის დახმარებით, ვეცადე, რომ მათთვის ძალიან მტკიცნეული არ ყოფილიყო. მათ მეხსიერებაში ბევრი ფერადი მოგონება და ისტორია დავტოვე. არას-



დროს მითქვამს დაშორების რეალური მიზეზი და არც მომავალში არ ვაპირებ.

მე მუშაობა კვლავ განვაახლე, გადამზადება გავიარე და გიდი გავხდი. ვმოგზაურობდი და ამ მოგზაურობამ ის ოცნებები, რომლებიც უკვე და-ლექილი იყო ჩემში და იმედიც არ მქონდა, რომ ოდესმე ახდებოდა, ავიხდინე. ბევრი ვიმოგზაურე, ნერა განვაგრძე და ვწერდი დაუსრულებლად.

დასასრულს მივმართავ ქალებს! ადამიანების ბუნება შეუცნობელია, თუ შესაბამისი ნიჭი არ გაქვს, შეუძლებელია, წინასწარ გაიგო, რისი გამკეთებელია ის პიროვნება, რომელიც ახლა იდეალურად გაჩვენებს თავს. ქალები, ისინი უნიკალური ქმნილებები არიან. მხოლოდ ქალს, შეუძლია, ცხოვრებაში ყველაზე მძიმე ტვირთის ზიდვას გაუძლოს და თავი ისე დაიჭიროს, თითქოს, ყველაფერი კარგადაა. ჩემს მიერ მოთხრობილი ისტორია მაგალითია ყველა ქალისთვის, ვინც თავს შეურაცხყოფილად, დაუცველად, დაჩაგრულად, მიტოვებულად და უიმედოდ გრძნობს.

არაუმავს... ქალის ძალა, სწორედ მის ქვეცნობიერში იმაღება. კრიტიკულ მომენტში, არაამ-ქვეყნიური სიძლიერე, სწორედ აქედან მოდის. თავიდან ზღვა ემოციები წამოვა, შემდეგ სინანული, დანაშაულის გრძნობა, საკუთარი თავის გაკიცხვა, სიბრაზე, ბოლმა, ეჭვი, მაგრამ გაივლის, ყველაფერი გაივლის.

ნარუმატებლობა, მხოლოდ დასაწყისია იმ წარმატების, რომელიც მომავალში გელოდება. არასდროს, არავის გამო, საკუთარი მიზნები, ოცნებები და ფიქრები არ დათმო, ვისაც უყვარხარ,



ის აუცილებლად მიიღებს ამას. ნდობა? საკუთარ თავსაც არ ენდოთ ბოლომდე. ალბათობის დაშვება დანაშაული არაა. ის გაჩვენებს შესაძლო მოვლენებს, რომ სწორად განსაზღვრო როდის, რა შეიძლება მოხდეს.

გარკვეული დროის განმავლობაში იქნები გაურკვევლობაში, მერე შენთვის ყველაფერი თანდათან დაიწყებს გაფერადებას და ეს იქნება საუკეთესო გრძნობა მთელ მსოფლიოში...

მე მქვია ქეთი და ეს არის ჩემი ამბავი.



କୋଣ କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଫାର୍ମାଚ୍ଯୁଟିକା ଡାକ୍ କମ୍ପ୍ୟୁଟର ପାଇଁ ଏକ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାଇଁ
ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଉପର୍ଦ୍ଧତି ଏବଂ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଉପର୍ଦ୍ଧତି ଏବଂ
ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଉପର୍ଦ୍ଧତି ଏବଂ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଉପର୍ଦ୍ଧତି ଏବଂ
ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଉପର୍ଦ୍ଧତି ଏବଂ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଉପର୍ଦ୍ଧତି ଏବଂ

ISBN 978-9941-8-5232-9



9 789941 852329 >